




გენდერული თანასწორობა საქართველოში:

ბარიერები და რეკომენდაციები

II ნაწილი

იანვარი, 2018



ამ დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში და შვედეთის მთავრობის დაფინანსების მეშვეობით. კვლევა მოამზადა UNDP-ის საერთაშორისო ექსპერტმა, ლორი მანმა UNDP-ის ადგილობრივი ექსპერტების თამარ თომაშვილისა და ნინო ჯანაშიას ფასდაუდებელი ნვლილითა და დახმარებით. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ექსპერტები და აქ წარმოდგენილი მოსაზრებები არ ასახავს გაეროს განვითარების პროგრამის, შვედეთის მთავრობის ან საქართველოს პარლამენტის შეხედულებებს.

სარჩევი

წინასიტყვაობა	4
მადლიერების ნიშნად	5
I. მოკლე მიმოხილვა	6
II. რეკომენდაციების ნუსხა	10
III. შესავალი	22
IV. ტერმინები	24
V. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება	25
ა. შრომისა და დასაქმების სფეროებში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელმოწერა და რატიფიცირება	27
ბ. გენდერული დისკრიმინაცია შრომით კანონმდებლობაში	28
გ. დეკრეტული შვებულება და ორსულობასთან დაკავშირებული პირობები	33
დ. შრომის ინსპექცია	36
ე. გენდერული თანასწორობა განვითარების, სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებისა და წარმოების სფეროებში	37
ვ. ქალთა აუნაზღაურებელი სამუშაო და მომსახურებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა	44
VI. გენდერული თანასწორობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	47
ა. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობა	47
ბ. ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მონყვლად ჯგუფებში	56
გ. სუროგატი დედების საკითხი	60
VII. საზიანო პრაქტიკა (გენდერული ნიშნით ძალადობა)	63
ა. იძულებით, ადრეული და ბავშვთა ქორწინება	63
ბ. ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება	66
გ. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკა/ვაჟიშვილის ყოლისათვის უპირატესობის მინიჭება	67
VIII. გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში	69
ა. სექსუალური და სხვა სახის შევიწროება განათლების სფეროში	70
ბ. გენდერული დისბალანსი აკადემიურ პერსონალს შორის და მმართველ და ადმინისტრაციულ პოზიციებზე	71
გ. არადისკრიმინაციული სახელმძღვანელოები და სწავლებისადმი მიდგომა ეროვნულ საგანმანათლებლო პროგრამებში	72
დ. გოგონათა დასწრება და ადრეული ქორწინების გამო სწავლის მითრევა	74
ე. სოციალურად დაუცველი და მარგინალიზებული ბავშვების დასწრება სკოლებში	77
ვ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების საგანმანათლებლო წინსვლა	78
ზ. ასაკის შესაბამისი პროგრამები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ	79
თ. გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკა	80
IX. გენდერული თანასწორობა სპორტის სფეროში	81
ა. ნორმატიული ჩარჩოსა და პოლიტიკის არარსებობა გენდერისა და სპორტის შესახებ	82
ბ. გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება სპორტის ყველა ასპექტზე	83
X. გენდერული თანასწორობა კულტურის სფეროში	84
ა. გენდერული თანასწორობა კულტურის კანონმდებლობასა და პოლიტიკაში	85
ბ. გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკა კულტურის სფეროში	87

წინასწორება

წინამდებარე პუბლიკაცია „გენდერული თანასწორობის საქართველოში - ბარიერები და რეკომენდაციები“ ორ ნაწილად შეიქმნა, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით. ამ საბჭომ 2017 წლის დასაწყისში, როდესაც მისი ახალი შემადგენლობა დამტკიცდა, მიზნად დაისახა კანონმდებლობისა და პოლიტიკის ანალიზი მტკიცებულებებზე დაფუძნებული გენდერული პოლიტიკის სანარმოებლად და, დონორ ორგანიზაციებთან ერთად, მრავლისმომცველი თვისებრივი კვლევის ჩატარების ინიციატივით გამოვიდა. კვლევა ნახევარ წელიწადზე მეტხანს მიმდინარეობდა და, შედეგად, გამოკვეთა როგორც გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული საკანონმდებლო ბარიერები, ასევე ხარვეზები უშუალოდ პოლიტიკის განხორციელების მხრივ.

კვლევის პირველი ნაწილი მოიცავს შემდეგ თემებს: გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმები, დისკრიმინაცია, ქალთა მიმართ ძალადობა, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა და ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება; მეორე ნაწილში კი გაერთიანდა ისეთი საკითხები, როგორცაა ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, შრომითი უფლებები, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გენდერული თანასწორობა განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროებში.

იდენტიფიცირებული ხარვეზებისა და ბარიერების გარდა, კვლევა გვთავაზობს რეკომენდაციებს გენდერული პოლიტიკის გასაუმჯობესებლად სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. სწორედ წინამდებარე კვლევას ეფუძნება საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მომავალი წლების სამოქმედო გეგმა და სახელმწიფო კონცეფცია გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის.

კვლევის მრავალმხრივობიდან გამომდინარე, თავიდანვე დავისახეთ მიზნად, მისი განხორციელების პროცესი ინკლუზიური ყოფილიყო. შესაბამისად, ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიისა და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

ამასთანავე, კვლევაში ჩართულნი იყვნენ როგორც ადგილობრივი მკვლევარები, ასევე საერთაშორისო ექსპერტები და, ასეთი თანამშრომლობის საფუძველზე, პუბლიკაცია თანაბრად ითვალისწინებს ადგილობრივ კონტექსტსაც და საერთაშორისო სტანდარტებსაც.

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ კვლევაში მონაწილე ყველა მხარეს, დონორ ორგანიზაციებს, სპეციალისტებს, სამოქალაქო საზოგადოებისა და შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებს, რომელთა ჩართულობის გარეშეც ის ვერ განხორციელდებოდა.

ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე კვლევით შემოთავაზებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმების გაუმჯობესებას, ასევე, ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებითი თანასწორობის მიღწევის გზაზე დაეხმარება საქართველოს პარლამენტსა და პოლიტიკის სხვა შემქმნელებს, რომ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა აწარმოონ ყველა სფეროში.

თამარ ჩუგოშვილი,
*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე*

მადლიერების ნიშნად

ამ კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა რამდენიმე ადამიანისა და ორგანიზაციის განსაკუთრებული ძალისხმევითა და ჩართულობის გარეშე.

პირველ რიგში, მადლობას ვუხდით საერთაშორისო ექსპერტს, ლორი მანს, და ადგილობრივ ექსპერტებს, ნინო ჯანაშიასა და თამარ თომაშვილს.

ასევე ვემადლიერებთ შვედეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს, რომელთა ფინანსური დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშეც ამ საქმეს თავს ვერ გავართმევდით.

აღსანიშნავია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლის მაკა მეშველიანის როლიც, რომლის ძალისხმევით, კოორდინაციისა და ჩართულობის გარეშეც ეს პუბლიკაცია ვერ შეიქმნებოდა.

განსაკუთრებულად ვუფასებთ ინიციატივასა და გამოჩენილ ლიდერობას საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს თამარ ჩუგოშვილს და ამ საბჭოს კოორდინატორებს თინათინ ავალიანსა და ანა წურნუშია-ზურაბაშვილს.

გარდა ამისა, გვინდა მადლობა გადავუხადოთ სამინისტროების წარმომადგენლებს, მთავრობის ადმინისტრაციასა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებს მონოდებული ინფორმაციისა და მოსაზრებებისათვის, ასევე, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ყველა თანამშრომელს, რომლებიც მხარს გვიჭერდნენ ამ კვლევის მომზადების, განხორციელებისა და გამოქვეყნების პროცესში.

I. მოკლე მიმოხილვა

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად საკანონმდებლო თუ პოლიტიკური რეფორმების კუთხით, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესაბამისად. წინამდებარე კვლევაში - *გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები (II ნაწილი)* - საქართველოს კანონმდებლობისა და პოლიტიკის სიღრმისეული შესწავლის შედეგად იდენტიფიცირებულია ხარვეზები მთელ რიგ სფეროებში, როგორცაა: ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, შრომითი ურთიერთობები, ჯანმრთელობის დაცვა, საზიანო პრაქტიკა (გენდერული ნიშნით ძალადობა), განათლება, სპორტი და კულტურა. ქალთა პოლიტიკური გაძლიერება, ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა, მშვიდობა და უსაფრთხოება, ასევე ურთიერთმკვეთი თემატური კანონები გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ ამომწურავად არის მიმოხილული კვლევის *გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები I ნაწილში*.

წინამდებარე კვლევა ეყრდნობა უწყებათაშორისი ორგანოების, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებსა და კვლევებს, სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებთან ინტერვიუებსა და მათ მოწოდებულ მონაცემებს. იგი შეიცავს რეკომენდაციებს იმ კონკრეტული ცვლილებების შესახებ, რომლებიც კანონმდებლებმა და პოლიტიკის შემუშავებლებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ზემოხსენებულ სფეროებში კანონმდებლობის გადახედვისას.¹ ამავე დროს, მათ უნდა გაითვალისწინონ საერთაშორისო სტანდარტები და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებისა თუ საგანგებო მანდატის მქონე ორგანოების შემუშავებული რეკომენდაციები. კვლევაში წარმოდგენილი რეკომენდაციები ასევე შეეხება გენდერული თანასწორობის ეროვნულ მექანიზმებს, როგორცაა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ახლადშექმნილი უწყებათაშორისი კომისია აღმასრულებელი შტოს ფარგლებში.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა იმ მიზნით, რომ ხაზი გაესვას კონკრეტულ დებულებებს, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებს ცვლილებას გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებელ პირთა მუშაობისთვის ხელშეწყობის მიზნით. საქართველოს მიერ ამ მიმართულებით აღებული ვალდებულება მისასალმებელია და მომდევნო წლების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პროგრესის ძირითად ელემენტს შეადგენს.

ქალების ეკონომიკური გაძლიერება

ეკონომიკური გაძლიერება ეფექტიანია, როდესაც ქალები სარგებლობენ თავიანთი უფლებებით, აკონტროლონ და სარგებელი მიიღონ რესურსებიდან, აქტივებიდან, შემოსავლებიდან და საკუთარი დროიდან. საქართველოს კანონმდებლობა და პოლიტიკა ითვალისწინებს გარკვეულ დებულებებს დასაქმების სფეროში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე, თუმცა მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო, მათი გამოყენება უმნიშვნელოა. ქალების და მამაკაცების ანაზღაურებას შორის 34.5%-იანი განსხვავება და აუნაზღაურებელი მუშაობა, სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის

¹ ანგარიშში არ არის მიმოხილული 2017 წლის ნოემბრის შემდეგ განვითარებული მოვლენები და შემუშავებული მასალები

ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა სრული პოტენციალის გამოყენებისათვის. სოფლის მეურნეობაში ჩართული სოფლად მცხოვრები ქალების მდგომარეობა და სოფლის განვითარება მოითხოვს პოლიტიკის სფეროში მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

საქართველოში ქალები დასაქმებულთა დისკრიმინაციის მრავალი ფორმის წინაშე დგანან, მათ შორისაა: შუშის ჭერის არსებობა სხვადასხვა სექტორში, ქალების კონცენტრაცია დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე, სამსახურიდან დისკრიმინაციული გათავისუფლება, ღიად დისკრიმინაციული განცხადება ვაკანსიის შესახებ და კანონმდებლობის არარსებობა, რომელიც უზრუნველყოფდა თანაბარ ანაზღაურებას თანაბარი ღირებულების შრომისთვის. აღნიშნულ სფეროში გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები არ არსებობს, რაც აბრკოლებს პრობლემების სრული სპექტრის გამოვლენას და მათ გადასაჭრელად მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას.

შრომის კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს ანაზღაურებადი შვებულება წინასამშობიარო სამედიცინო შემთხვევებისათვის. კოდექსი უნდა იცავდეს ყველა მშობელს დეკრეტული შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ დათხოვნისაგან როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში და განსაზღვრავდეს დაცული პერიოდის ხანგრძლივობას.

უთანასწორობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ქალთა ჩართულობის კუთხით შეიძლება ნაწილობრივ განპირობებული იყოს ძირითად სერვისებსა და სოციალურ ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობით და საკრედიტო ბარიერებით. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ სფეროებში სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა მიმართულია კონკრეტულად ქალთა საჭიროებებზე, პოლიტიკის მნიშვნელოვანი გენდერული მენისტრიმინგი ეროვნულ, რეგიონულ და სოფლის დონეზე არ ჩატარებულა. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო და სოფლის განვითარების პოლიტიკაში აშკარად საჭიროა გენდერული მენისტრიმინგი. მაგალითად, გენდერული მენისტრიმინგი უნდა გატარდეს საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიაში, მათ შორის, გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტის ანალიზისას, რათა განისაზღვროს ნებისმიერი ხარვეზი ქალთა საჭიროებებზე მორგების კუთხით და შეიქმნას ნიადაგი სასოფლო-სამეურნეო სექტორში გენდერული თანასწორობისათვის. იგივე შეიძლება ითქვას სოფლის განვითარების ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე, ასევე ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე. მეტიც, რეგიონული განვითარების სტრატეგიაში მეტწილად გამოტოვებულია გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული პრობლემები და კონკრეტული პრობლემების გენდერული განზომილებები. ამდენად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს აღნიშნულ საკითხს და შესაბამისად შეცვალოს პოლიტიკა.

ეკონომიკურ საქმიანობაში ფაქტობრივი მონაწილეობისათვის საჭიროა, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს ხელი მიუწვდებოდეთ საბაზისო სერვისებზე, მათ შორის, ბაგა-ბაღებზე და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებზე. ამ სფეროში გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები კრიტიკულად მნიშვნელოვანია პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად.

დაბოლოს, საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს რამდენიმე საერთაშორისო შრომით ხელშეკრულებას და მოახდინოს მათი რატიფიცირება: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ 1930 წლის კონვენციის 2014 წლის ოქმს, საერთაშორისო კონვენციას ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2000 წლის საერთაშორისო კონვენციას დედების დაცვის შესახებ (№183) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციას შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ (№158).

გენდერული თანასწორობა ჯანდაცვის სფეროში

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, კონტრაცეფციის თანამედროვე ფორმები, საქართველოში ძალიან შეზღუდულია და არ ითვლება პრიორიტეტულ მიმართულებად პოლიტიკის მოქმედ დოკუმენტებში. ხუთდღიანი ლოდინის პერიოდი უნდა გაუქმდეს

იმ ქალებისათვის, რომლებსაც სურთ აბორტის გაკეთება. მოზარდის სქესობრივი ჯანმრთელობა ინტეგრირებული უნდა იყოს შესაბამის ასაკობრივ სასწავლო გეგმებში. ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონი და სისხლის სამართლის კოდექსი საჭიროებს ცვლილებებს, რათა ქალიშვილობის ტესტი ჩაითვალოს სექსუალური იძულების დანაშაულად. არ არსებობს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც საერთაშორისო სუროგაციულ კონტექსტში დედათა და ბავშვთა უფლებებსა და დაცვის მექანიზმებს უზრუნველყოფს. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული რეფერალური მექანიზმი, რომელიც მოიცავს ჯანდაცვისა და რეპროდუქციული ჯანდაცვის პროვაიდერებს, დაკავშირებული უნდა იყოს ნარკოლოგიური მკურნალობის ცენტრებთან და პირიქით, რაც ხელს შეუწყობს ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი ქალების ეფექტიან მკურნალობას. ასევე ტრანსგენდერი ქალებისათვის ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია ტრანს-სპეციფიკური სამედიცინო პროცედურების შესახებ კლინიკური გაიდლაინების მიღება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საზიანო პრაქტიკა (გენდერული ნიშნით ძალადობა)

ტერმინი „საზიანო პრაქტიკა“ გამოიყენება ძალადობის რამდენიმე ფორმის აღსანიშნავად, რომელიც გამომდინარეობს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული ტრადიციული და კულტურული პრაქტიკებიდან. მათ აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა, რაც ქალებსა და გოგონებს ხელს უშლის, განახორციელონ მათი ფუნდამენტური ადამიანის უფლებები, როგორცაა უფლება ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, ქორწინებასა და ოჯახურ ცხოვრებაზე და დასაქმებასა და ეკონომიკურ შესაძლებლობაზე ხელმისაწვდომობაზე. საქართველოში საზიანო პრაქტიკის სახეობები - იძულებით, ადრეული და ბავშვთა ქორწინება და ქალის გენიტალიების დასახიჩრება - ხორციელდება ქალებსა და გოგონებზე, განსაკუთრებით სპეციფიკური ეთნიკური წარმომავლობის ქალებსა და გოგონებზე. ასევე სელექციური აბორტები, იგივე ბიჭი შვილის უპირატესობა, დამახასიათებელი პრაქტიკაა, განსაკუთრებით სპეციფიკურ რეგიონებში.

გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში

გოგონებს შორის წიგნიერების მაღალი მაჩვენებლისა და სკოლაში დასწრების კუთხით გენდერული პარიტეტის მიუხედავად, ყველა ქალსა და გოგონას განათლებაზე ხელი არ მიუწვდება, მაგალითად, სოციალურად დაუცველ ბავშვებსა და უმცირესობათა თემის წარმომადგენლებს. მეტიც, განათლების სფეროში ქალებისათვის არსებობს შუშის ჭერი. გენდერული მეინსტრიმინგის გამოყენება შესაძლებელია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით, რადგან პროგრამიდან ამოსაღებია ყოველგვარი დისკრიმინაციული მასალა, სანაცვლოდ შესატანია ცნობები სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, ასევე ქალების მიერ სხვადასხვა სფეროში შეტანილი წვლილის შესახებ. გენდერული თანასწორობა მოდულის სახით უნდა დაემატოს სამოქალაქო განათლების პროგრამებს, ხოლო გენდერული სენსიტიურობა გახდეს მასწავლებელთა მომზადების პროგრამების ძირითადი კომპონენტი.

განათლების სფეროში საჭიროა კონკრეტული ზომების მიღება სექსუალურ შევიწროებაზე, დაჩაგვრასა და დაშინებაზე რეაგირების კუთხით, მაგალითად, შესაძლებელია სექტორებსა და ინსტიტუციებზე მორგებული გასაჩივრების მექანიზმების შექმნა. გადასახედიან მოქმედი ბრძანებები და სამოქმედო გეგმები, რათა გამოირიცხოს სწავლის შეწყვეტა ადრეული ქორწინების გამო.

გენდერული თანასწორობა კულტურის სფეროში

კულტურის ხელმისაწვდომობა და კულტურაში მონაწილეობა ფუნდამენტური უფლებაა, ხოლო კულტურა და კულტურული მრავალფეროვნება იდეებისა და სამოგადოების ჩამოყალიბების კატალიზატორად მიიჩნევა. კულტურას გარდაქმნითი ძალა აქვს, რაც საზოგადოებაზე ახდენს გავლენას - ცვლის მის აღქმას და ხსნის სივრცეს სოციალური დიალოგისათვის. ამგვარად, კულტურას აქვს პოტენციალი,

შეარყოს დამკვიდრებული უთანასწორო სტერეოტიპები და დისკრიმინაციული სოციალური ნორმები. კულტურის შესახებ კანონის ძირითადი პრინციპები არ ითვალისწინებს გენდერულ თანასწორობას, ინკლუზიურობასა და დისკრიმინაციის აკრძალვას. საჭიროა ამ კანონის ცვლილება იმგვარად, რომ მისი ყველა დებულების გამოყენებისას უზრუნველყოს დისკრიმინაციის აკრძალვა და თანასწორობა გენდერის/სქესის, ისევე როგორც სხვა საფუძვლების გამო. კულტურის სტრატეგიასა და მის სამოქმედო გეგმაში 2025 წლამდე უნდა შევიდეს ცვლილება გენდერული მენისტრინგის გათვალისწინებით. გენდერული ასპექტები უნდა განიხილებოდეს მთლიანად დოკუმენტში და არა მარტო კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობასა და კულტურაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

გენდერული თანასწორობა სპორტში

საქართველოს კანონმდებლობა და პოლიტიკა არ ითვალისწინებს რაიმე დებულებებს სპორტის სფეროში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით. იგი არ შეიცავს დროებით სპეციალურ ღონისძიებებს ან სხვა პოლიტიკას სპორტში ქალთა თანაბარი მონაწილეობის ხელშესაწყობად. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი არ ეხება სპორტის სფეროს, ხოლო სპორტის პოლიტიკა შეიქმნა გენდერული ხედვის გარეშე. ქალთა ორგანიზაციების ჩართულობით, უნდა გადაიხედოს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა გენდერული მენისტრინგის რაკურსში. ცალკე მიზნად უნდა დაემატოს სპორტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა. ამასთან, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი უნდა შეიცვალოს და მასში აისახოს დებულებები თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად იმ ქალებისა და გოგონებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ სპორტში, მათ შორის, განათლების კონტექსტში.

რეკომენდაციები

კვლევა - *გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, (II ნაწილი)* - ითვალისწინებს რიგ რეკომენდაციებს იმ საკითხებზე, რომლებიც ზემოთ აღნიშნული არ არის და რომლებიც მიუთითებს კანონმდებლობის (კანონები, კანონქვემდებარე აქტები, დადგენილებები და ა.შ.), პოლიტიკის (სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები, კონცეფციები), პრაქტიკისა (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, სტატისტიკური მონაცემები და ა.შ.) და გენდერული მენისტრინგის ინსტრუმენტების (გენდერული ბიუჯეტირება, გენდერული ზემოქმედების შეფასება და ა.შ.) ცვლილების აუცილებლობაზე. რეკომენდაციების სრული სია მოცემულია ცხრილში.

II. რეკომენდაციების ნუსხა

კანონი ან პოლიტიკა	რეკომენდაცია	პასუხისმგებელი უწყება
ქალთა ეკონომიკური გაძლიერება		
	პრევენციის, დაცვისა და კომპენსაციის ზომების დანხების, ასევე, მონობის თანამედროვე ფორმების აღმოფხვრის მიზნით, მოხდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ კონვენციის (1930) 2014 წლის ოქმის რატიფიცირება.	პარლამენტი
	ხელი მოეწეროს საერთაშორისო კონვენციის ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების დაცვის შესახებ და მოხდეს მისი რატიფიცირება.	პარლამენტი
	ხელი მოეწეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №183 კონვენციის დედობის დაცვის შესახებ და მოხდეს მისი რატიფიცირება.	პარლამენტი
	ხელი მოეწეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №158 კონვენციის შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ და მოხდეს მისი რატიფიცირება.	პარლამენტი
შრომის კოდექსი	შრომის კოდექსს დაემატოს ნორმები, რომლებიც განმარტავს და მოითხოვს თანასწორ ანაზღაურებას თანაბარი ღირებულების შრომისათვის როგორც საჯარო ისე კერძო სექტორში, მათ შორის, მოიცავს ანაზღაურების განაკვეთების შეფასების მეთოდოლოგიურ კრიტერიუმებს. დებულებები უნდა ავალდებულებდეს ყველა იმ დამსაქმებლის, რომელთა მიერ დასაქმებულების რიცხვი დადგენილ მინიმუმს აჭარბებს, საქსტატს ყოველწლიურად წარუდგინოს გენდერული ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკა დასაქმებულების შესახებ.	პარლამენტი
ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა	გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ადამიანის უფლებების მომდევნო სამოქმედო გეგმებს ერთ-ერთ ამოცანად დაემატოს თანასწორი ანაზღაურება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით.	გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია
შრომის კოდექსი, ანტიდისკრიმინაციული კანონი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი	შრომის კოდექსი, ანტიდისკრიმინაციული კანონი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განმარტავდეს და კრძალავდეს სექსუალურ შევიწროებას, როგორც დისკრიმინაციის ფორმას. სამართლებრივი დებულებები კერძო და საჯარო დანესებულებებს აკისრებდეს შიდა პოლიტიკისა და საჩივრის პროცედურების შემუშავების ვალდებულებას, ხოლო საჩივარზე არაეფექტიანი რეაგირების შემთხვევაში, განსაზღვრავდეს ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხს.	პარლამენტი
შრომის კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი	შრომის კოდექსსა და საჯარო სამსახურის შესახებ კანონს დაემატოს დებულებები, რითაც აიკრძალება დისკრიმინაციული განცხადებები ვაკანსიების შესახებ და დისკრიმინაცია გასაუბრების ეტაპზე.	პარლამენტი

შრომის კოდექსი	შრომის კოდექსში მკაფიოდ განიმარტოს წინასახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლები, რათა მოიცვას განცხადებები ვაკანსიების შესახებ. კანონმდებლობა ცხადად კრძალავდეს ისეთი შეკითხვების დასმას, რომლებიც შეეხება განმცხადებლის ოჯახურ მდგომარეობას, ორსულობასა და სხვა პირად საკითხებს.	პარლამენტი
შრომის კოდექსი, ანტიდისკრიმინაციული კანონი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი	შრომის კოდექსის 38-ე მუხლში შევიდეს ცვლილება, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცების ტვირთის დამსაქმებელზე გადასვლას სავარაუდო დისკრიმინაციის ყველა საქმეზე და მის ჰარმონიზებას ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან.	პარლამენტი
შრომის კოდექსი	შრომის კოდექსიდან ამოსადებია მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი. კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომელიც დამსაქმებელს დაავალდებულებს, აპლიკანტს მისი მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მიზეზები, თუ რატომ ეთქვა უარი დასაქმებაზე.	პარლამენტი
შრომის კოდექსი	შრომის კოდექსის 38-ე მუხლში შევიდეს ცვლილება, რომელიც შრომითი ხელშეკრულების სავარაუდო დისკრიმინაციული ნიშნით შეწყვეტის საქმეებში უზრუნველყოფს მტკიცების ტვირთის ყოველთვის დამსაქმებელზე დაკისრებას.	პარლამენტი
შრომის კოდექსი	შრომის კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომელიც უზრუნველყოფს ანაზღაურებად შვებულებას ანტენატალური სამედიცინო გამოკვლევებისათვის და დამატებით შვებულებას შებლდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დაბადებისა და მათზე ზრუნვისათვის.	პარლამენტი
საჯარო სამსახურის შესახებ კანონი	საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შევიდეს ცვლილება, რომელიც გაითვალისწინებს დეკრეტული შვებულების დამატებით დღეებს შებლდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დაბადებისა და მათზე ზრუნვისათვის.	პარლამენტი
შრომის კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი	შრომის კოდექსის დებულებებში დეკრეტული შვებულების შესახებ შევიდეს ცვლილებები, რომლებიც ასეთი შვებულების შემდეგ დაბრუნებულ ყველა მშობელს დაიცავს სამსახურიდან გათავისუფლებისა და დაქვეითებისაგან - როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში - და განსაზღვრავს დაცვის პერიოდის ხანგრძლივობას. ეს პერიოდი ჰარმონიზებული უნდა იყოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონში განსაზღვრულ ვადასთან.	პარლამენტი
საჯარო სამსახურის შესახებ კანონი	საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შევიდეს ცვლილება, რომლის საფუძველზეც იგი გავრცელდება საჯარო სექტორში დასაქმებულ ყველა პირზე.	პარლამენტი
შრომის კოდექსი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის დებულება	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მანდატში შევიდეს ცვლილებები, რომლებითაც ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინსპექცია სავალდებულო ფუნქციად განისაზღვრება, მისი გადაწყვეტილებები კი შესასრულებლად სავალდებულო გახდება, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში აღსრულებადი სანქციების მითითებით. ადამიანური რესურსების დეპარტამენტების მანდატი გაფართოვდეს და მოიცვას სექსუალური შევიწროების ფაქტები, როგორც ეთიკური სტანდარტების დარღვევის შემთხვევები.	პარლამენტი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
სახალხო დამცველის შესახებ კანონი	შეიქმნას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შრომის ინსპექცია, რომელიც მონიტორინგს გაუწევს დასაქმებულთა უფლებებსა და დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე.	პარლამენტი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საჯარო სამსახურის შესახებ კანონი	ამოქმედდეს დროებითი სპეციალური ზომები, მათ შორის, აფირმატიული პრაქტიკა დასაქმებისა და დაწინაურების პროცესში, რათა საჯარო სამსახურის ყველა დონეზე გაიზარდოს ეთნიკური და სხვა უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების სამსახურში აყვანა.	პარლამენტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ	საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის გენდერული შეფასება/მეინსტრუმენტი, რაც მოიცავს გენდერული ბიუჯეტის ანალიზს, რათა გამოვლინდეს ნაკლოვანებები ქალთა საჭიროებების ასახვის კუთხით და შეიქმნას ხელსაყრელი გარემო გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელშესაწყობად სოფლის მეურნეობის სფეროში.	პარლამენტი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 და სამოქმედო გეგმა	შეიცვალოს სოფლის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რათა სავალდებულო გახდეს შიდა პერსონალის სწავლება გენდერული მეინსტრუმენტის საკითხებზე, მომდევნო სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში ქალთა საჭიროებებისა და გენდერის ეფექტიანი ინტეგრირების მიზნით.	სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სოფლის განვითარების სტრატეგია 2017 - 2020 და სამოქმედო გეგმა	სოფლის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დებულებებში აისახოს ქალთა სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები, როგორცაა კოოპერატივებში მათი ჩართულობის გაზრდა და მხარდაჭერა მცირე თუ საშუალო მენარმეობის კუთხით.	სოფლის მეურნეობის სამინისტრო
შრომის ბაზრის ფორმირების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	ბაზრის ფორმირების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გენდერული მეინსტრუმენტის შეფასების შემდეგ, შევიდეს ცვლილება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ქალთა განსხვავებული კატეგორიების მდგომარეობა შრომით ბაზარზე.	საქართველოს მთავრობა
გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ კანონი, ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმა	კანონი გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ და ადამიანის უფლებათა მომდევნო ეროვნული სამოქმედო გეგმა, შიდა პოლიტიკისა და საქმიანობის გენდერული შეფასების/მეინსტრუმენტის, მათ შორის, შესაძლო პრობლემათა გამოვლენის მიზნით, სამინისტროებს უნდა უწესებდეს მოთხოვნას შიდა გენდერული შესაძლებლობების შეფასებაზე. სამინისტროების პერსონალს უნდა მოეთხოვებოდეს გენდერული მეინსტრუმენტის ტრენინგის გავლა	პარლამენტი, გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია
გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ კანონი, ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმა	ეროვნული სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები ითვალისწინებდეს გენდერული ბიუჯეტის - როგორც გენდერული მეინსტრუმენტის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალების - დანერგვას ყველა სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში, რესურსებზე ქალების წვდომის გასაუმჯობესებლად.	პარლამენტი, გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია
ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმა სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმა	გენდერული თანასწორობის საბჭოსა და სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმებს დაემატოს მიზანი - ქალი ფერმერების კვალიფიკაციის ამაღლება მათზე მორგებული ტრენინგების, ან საუნივერსიტეტო განათლების და კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებათა ხარისხის გაუმჯობესების თუ ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ასევე მიზნად დაისახოს ქალთა შესაძლებლობების გაზრდა ადვოკატირების უნარის განვითარების მხრივ, ადგილობრივი დაგეგმარებისა და ბიუჯეტირების პროცესზე გავლენის მოსახდენად.	პარლამენტი, გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 და სამოქმედო გეგმა; ადამიანის უფლებების ეროვნული სამოქმედო გეგმა	ეროვნულ სამოქმედო გეგმებს დაემატოს ქალთა კოოპერატივების ხელშეწყობა, რაც მათში მონაწილეობის ზრდას და მათთვის შემოსავლიანი საქმიანობის შესაძლებლობათა მატებას ემსახურება. პოლიტიკის დოკუმენტებში შევიდეს ცვლილება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება უფასო იურიდიული დახმარება სოფლებში მინის საკუთრებისა და რეგისტრაციის საკითხებზე; ამ კუთხით განსაკუთრებული აქცენტი სოფლად მცხოვრებ ქალებზე უნდა გაკეთდეს.	გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონი	საქართველოს კანონში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ შევიდეს ცვლილება, რომელიც ქალებს მისცემს მიწის კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების უფლებას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ორივე მეუღლე რეგისტრირებული ფორმალურ მესაკუთრედ ან თანამესაკუთრედ.	პარლამენტი
სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ, ადამიანის უფლებების ეროვნული სამოქმედო გეგმა	ეროვნულ სამოქმედო გეგმებში შევიდეს დამატებები, რათა კომპეტენტურ ორგანოებსა და სამინისტროებს დაევალოთ სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეების მონაცემებს სქესის, ასაკის, ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, მათ შორის სოფელში მცხოვრების ქალების რაოდენობას, რომელთაც ერთობლივ საკუთრების უფლება აქვთ, სეგრეგირებული ასაკის, ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.	სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტრო, გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია
ადამიანის უფლებების ეროვნული სამოქმედო გეგმა	საბანკო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს სპეციალური პროგრამები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდის ქალთა წვდომას ფინანსურ რესურსებზე, იმ პირობებით, აშუამად არსებულ დაბრკოლებებს რომ მიემართება.	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, ეკონომიკის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 წწ ადამიანის უფლებების ეროვნული სამოქმედო გეგმა	სტრატეგიული პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები, მათ შორის, სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიამ მოიცავს კონკრეტული მიზნები სოფლად მცხოვრები ქალებისათვის ძირითად მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რაც მთავარი ნაბიჯია ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისაკენ.	გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სოფლის განვითარების სტრატეგია, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი	საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავდეს სოფლებში საბავშვო ბაღების მშენებლობასა და გარემონტებას, რაც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებდეს მკაფიოდ განსაზღვრულ ვალდებულებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღების საჯირო რაოდენობით უზრუნველყოფაზე.	პარლამენტი, სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობები
გენდერული თანასწორობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში		
საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგია	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ბრძანების საფუძველზე განსაზღვროს 2017-2030 წლების დედათა და ახალშობილთა სტრატეგიისა და მისი სამწლიანი სამოქმედო გეგმის კოორდინაციის, შეფასებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტი ან კონკრეტული პირი.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგია	დედათა და ახალშობილთა სტრატეგიით გათვალისწინებული „განხორციელებისა და მართვის მექანიზმების“ შესრულების მიზნით შეიქმნას უწყებათაშორისი ხასიათის მექანიზმი.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მთავრობა
საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგია	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განაგრძო დედათა და ახალშობილთა ჯანდაცვის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხარჯები და უზრუნველყოს ოჯახის დაგეგმვის და რეპროდუქციული მომსახურების ხარჯების ეტაპობრივი დაგეგმარება სამინისტროს ბიუჯეტში. მთავრობამ და ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყონ ჯანდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის გაზრდა.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობა
საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგია	სტრატეგიის მეორე მიზნის მისაღწევად შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ უზრუნველყოს ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ტრენინგის მოდულის, პროტოკოლებისა და სტანდარტული საოპერაციო პროცედურების მიღება სამედიცინო პერსონალისთვის. სამინისტრომ ეტაპობრივად გადაამზადოს სამედიცინო პერსონალი. ტრენინგის მოდულები, პროტოკოლები და სტანდარტული საოპერაციო პროცედურები უნდა იყოს გენდერულად სენსიტიური და ითვალისწინებდეს პაციენტის პირადი ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალურობის უფლებას.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგია	შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ განსაზღვროს ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმი, მათ შორის, კერძო ჯანდაცვის დაწესებულებებთან მიმართებაში.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა	მთავრობამ განსაზღვროს პირველადი ჯანდაცვის პროგრამებში ოჯახის დაგეგმვის მომსახურების ინტეგრაცია, რაც ამასთანავე მოიცავს მონყველადი ქალების, მოზარდების და ახალგაზრდების, აგრეთვე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ქალებისთვის ოჯახის დაგეგმვის კონსულტაციის და კონტრაცეფციამზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. მარგინალიზებული ქალებისთვის რეალურად ხელმისაწვდომი გახდეს თანამედროვე კონტრაცეფციის გრძელვადიანი და მუდმივი მეთოდების ოპტიმალური რაოდენობა საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. რეპროდუქციული ჯანმრთელობის ამ საბაზისო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, მთავრობამ და ფინანსთა სამინისტრომ გამოყოს ადეკვატური ფინანსები.	საქართველოს მთავრობა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგია	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებმა შეიმუშაონ და განახორციელონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული კამპანიები და საგანმანათლებლო პროგრამები ოჯახის დაგეგმვის და თანამედროვე კონტრაცეფციის მნიშვნელობაზე, დედათა და ახალშობილთა სტრატეგიის შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სოფლად მცხოვრები ქალების და ეთნიკური უმცირესობის ქალების ინფორმირებას, ენობრივი ბარიერების და კულტურული მგრძობელობის გათვალისწინებით.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ესენციური მედიკამენტების ნუსხა	სოციალურად დაუცველი ქალებისთვის ამ მომსახურების უფასოდ უზრუნველყოფის მიზნით, ჯანდაცვის სამინისტრომ ესენციური მედიკამენტების ნუსხაში გაითვალისწინოს თანამედროვე კონტრაცეფციის მეთოდები, მათ შორის, საგანგებო კონტრაცეფცია.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ჯანმრთელობის შესახებ კანონი ბრძანება # 01-746	ჯანმრთელობის შესახებ კანონში და ჯანდაცვის მინისტრის #01-74N ბრძანებაში შევიდეს ცვლილება 5 დღიანი ლოდიის პერიოდის გაუმჯობესების მიზნით, რაც უზრუნველყოფს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის დარღვევის თავიდან აცილებას.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს პარლამენტი
ორსულობის უსაფრთხო შეწყვეტის პროტოკოლი აბორტის პროცედურის შესახებ პროტოკოლი	გადაიხედოს ორსულობის უსაფრთხო შეწყვეტის და აბორტის პროცედურის შესახებ პროტოკოლები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მტკიცებულებებზე დაფუძნებული კონსულტირების სტანდარტების დამკვიდრების მიზნით.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
კანონი ჯანმრთელობის შესახებ	გაუმჯობესოს ჯანმრთელობის შესახებ კანონში არსებული მოთხოვნა 12 კვირის ვადის გასვლის შემდეგ გაუპატიურების ფაქტის სასამართლოს მიერ დადგენის წესი.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს პარლამენტი
საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა	ჯანდაცვის სამინისტრომ გააუმჯობესოს დედათა ჯანდაცვის მომსახურების ფართო სპექტრის ხელმისაწვდომობა საყოველთაო ჯანდაცვის და სოფლად მცხოვრები ქალებისთვის განკუთვნილი ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში. კერძოდ, სამინისტრომ უზრუნველყოს, რომ პერინატალური ჯანდაცვის ცენტრები ადეკვატურად იყოს აღჭურვილი და დაკომპლექტებული მაღალი დონის მომსახურების გამწვანების მიზნით. აღნიშნული საჭიროება განსაკუთრებით მწვავეა სოფლად მცხოვრები ქალების შემთხვევაში, გადაუდებელი დახმარებისა და პაციენტის ცენტრალურ დონეზე რეფერირების/გადამისამართების უზრუნველყოფისას.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა	ჯანდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს მოზარდის საჭიროებებზე ორიენტირებული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების ინტეგრირება ჯანდაცვის სისტემაში, სასურველია პირველადი ჯანდაცვის დონეზე.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ეროვნული სასწავლო გეგმა	განათლების და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს ასაკის შესაბამისი ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლების განვითარება და ეფექტიანი განხორციელება ეროვნული სასწავლო გეგმის 2018-2024 შესწორებით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს იმ პედაგოგთა შესაბამისი გადამზადება, ვინც წარმართავს სქესობრივი განათლების შესახებ გაკვეთილებს.	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგია	დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგიასა და მის სამოქმედო გეგმაში აისახოს მონაცვლადი ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევები და დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების შემთხვევაში არსებული ფიზიკური ხელმისაწვდომობის, ენისა და სხვა სახის ბარიერები.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა	ჯანდაცვის სამინისტრომ ოჯახის დაგეგმვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების შემცველ პროგრამებში გაითვალისწინოს შშმ ქალების საჭიროებები, მათ შორის, გინეკოლოგიური პალატების ადაპტირება ეტლის მომხარებელი ქალებისთვის. ჯანდაცვის სამინისტრომ სამედიცინო პერსონალის ტრენინგ მოდულების და პროტოკოლების შემუშავებისას გაითვალისწინოს შშმ ქალების მიმართ სენსიტიურობა, მათ შორის, სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მინოდება განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ გაეროს კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ეროვნული რეფერალური მექანიზმი	ჯანდაცვის სამინისტრომ ოჯახის დაგეგმვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების შემცველ პროგრამებში გაითვალისწინოს შშმ ქალების საჭიროებები, მათ შორის, გინეკოლოგიური პალატების ადაპტირება ეტლის მომხარებელი ქალებისთვის. ჯანდაცვის სამინისტრომ სამედიცინო პერსონალის ტრენინგ მოდულების და პროტოკოლების შემუშავებისას გაითვალისწინოს შშმ ქალების მიმართ სენსიტიურობა, მათ შორის, სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ გაეროს კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ეროვნული რეფერალური მექანიზმი	ქალთა მიმართ ძალადობის რეფერირების მექანიზმი, რომელიც ჯანდაცვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროვაიდერებს მოიცავს, უნდა ითვალისწინებდეს ნარკოლოგიურ ცენტრებთან მიმართვიანობას.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
კვლევა ქვეყნის მასშტაბით	ჯანდაცვის სამინისტრომ და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოსთან თანამშრომლობით განახორციელონ კვლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით, წამალდამოკიდებული ქალების ოდენობის იდენტიფიცირების და მათზე მიმართული გენდერულად სენსიტიური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მკურნალობის დაგეგმარების მიზნით.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ნარკომანიასთან ბრძოლის ენცებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო
საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა (ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია)	ჯანდაცვის სამინისტრომ ჯანმრთელობის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისას გაითვალისწინოს ლესბოსელი, ბისექსის და ტრანსგენდერი ქალების, როგორც მიზნობრივი/მონყვლადი ჯგუფის, საჭიროებები თუ თავისებურებები. ჯანდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ჯანდაცვის პროვაიდერების ინფორმირება და გადამზადება ლგბტ პირების საჭიროებათა და სენსიტიურობის გათვალისწინებით.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
კლინიკური გაიდლაინები	ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კლინიკური გაიდლაინები სქესის შეცვლის/გარდამავალი პროცედურების შესახებ ტრანსგენდერი ქალების ჯანმრთელობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა (ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია)	ჯანდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს სექს-მუშაკებზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანია სგვდ-ს მკურნალობის მეთოდების და რეგულარული შემოწმების საჭიროების შესახებ.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
დადგენილება # 63	ცვლილება შევიდეს სასჯელაღსრულების მინისტრის #63 ბრძანებაში ბრალდებული / მსჯავრდებული ქალების მიმართ სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის რიგითობის განსაზღვრისას გენდერული სენსიტიურობის გათვალისწინების მიზნით.	სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს
უწყებათაშორისი მექანიზმი სუროგაციის საკითხზე	ამოქმედდეს სუროგაციის მარეგულირებელი მექანიზმი იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულებების მონიტორინგისა და სუროგატი დედისა და ბავშვის ექსპლუატაციისგან დასაცავად. მექანიზმის მიერ უნდა გადამოწმდეს პერსპექტიული მშობლების შესახებ ინფორმაცია და განისაზღვროს მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის საკითხი ბავშვის მათთან გაყვანის შემთხვევაში. კანონი არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ერთსქესიან წყვილებთან მიმართებაში. მექანიზმის მთავარ მიზანს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა უნდა წარმოადგენდეს.	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საზიანო პრაქტიკა (გენდერული ნიშნით ძალადობა)		
#437 მთავრობის დადგენილება	მთავრობის დადგენილებას #437 დაემატოს ცვლილება, რომელიც მკაფიოდ სავალდებულოს გახდის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეფერალს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისათვის ბავშვის ძალადობის, მათ შორის, ადრეული და იძულებითი ქორწინების შემთხვევებში. #437 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები, ასევე უნდა უზრუნველყოფდეს იმ პირის კონფიდენციალობის დაცვას, ვინც გააკეთა შეტყობინება.	საქართველოს მთავრობა
ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ სამოქმედო გეგმას გენდერული თანასწორობის საბჭოს უწყებათაშორისმა კომისიამ დაამატოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელიც გამოიყენება ბავშვთა ქორწინების შემთხვევაში. ასევე რეგიონის სპეციფიკურობის გათვალისწინებით შეიმუშაოს მიდგომა ბავშვთა ქორწინების შემთხვევაში დაკავების, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების შესახებ, მათ შორის, სამართალდამცავებისა და ბავშვის რეფერალში ჩაბმული სერვისის მიმწოდებლების მიერ კოორდინირებული რეაგირების უზრუნველსაყოფად.	გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისია
ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმა	გარდა სისხლის სამართლის სანქციებისა და შეტყობინების ვალდებულებისა, გენდერული თანასწორობის საბჭოს უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშაოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანია ბავშვთა/ადრეული/იძულებითი ქორწინების საზიანო შედეგების შესახებ, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგი სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლებას: ა) მშობლები; ბ) გავლენის მქონე თემი და რელიგიური ლიდერები, ისევე როგორც გ) თავად გოგონები მსგავსი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით. განათლების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ბავშვთა უფლებების, ისევე როგორც ქალთა უფლებების შესახებ სწავლების გათვალისწინება 2018-2024 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში.	გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგია	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ქორწინებაში მყოფი არასრულწლოვანი გოგონების მხარდაჭერა ნაადრევი ორსულობის თავიდან აცილების, ხოლო ორსულობის შემთხვევაში, აგრეთვე მშობიარობისა და პოსტნატალურ პერიოდში (მათ შორის, ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე) უფასო სერვისების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობით. ამასთან, დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში აღნიშნული არასრულწლოვანი გოგონები ჩაითვალოს ერთ-ერთი მონყვლად ჯგუფად.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
კანონი იურიდიული დახმარების შესახებ	პარლამენტმა გადასინჯოს „უფასო იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რათა იძულებითი და ბავშვთა ქორწინების მსხვერპლ გოგონებს გაენიოთ უფასო იურიდიული დახმარება.	პარლამენტი

<p>ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმა</p>	<p>გენდერული თანასწორობის საბჭოს უწყებათაშორისმა კომისიამ მოახდინოს ისეთი თემების იდენტიფიცირება, სადაც ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება კვლავ წარმოადგენს ჩვეულ პრაქტიკას, შეაგროვოს ინფორმაცია და შეიმუშაოს ინდივიდუალური ინტერვენციის/ჩარევის პოლიტიკა ქალთა მიმართ ძალადობის სამომავლო სამოქმედო გეგმაში. შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვროს ძირეული მიზეზები, ასევე კულტურულ ტრადიციებსა ან რელიგიურ შეხედულებებთან პოტენციური კავშირი, რათა შემუშავდეს პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ინდივიდუალური მიდგომა. ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს ადგილობრივი საზოგადოებისა და რელიგიური ლიდერების, მისაბაძი პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების და სხვა მსგავსი პირების კოორდინაციას, რაც ხელს შეუწყობს ცვლილების თემის შიგნიდან ინიცირებას და წარმართვას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2018-2024 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაითვალისწინოს ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების საზიანო შედეგების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.</p>	<p>გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია საქართველოს განათლების სამინისტრო</p>
<p>ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა</p>	<p>გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ახალი სამოქმედო გეგმები ითვალისწინებდეს სოციალური და დემოგრაფიული კვლევის ჩატარებას ოჯახებში ვაჟიშვილის ყოლისათვის უპირატესობის მინიჭების მიმართ დამოკიდებულების შესწავლის მიზნით, რათა: ა) გამოკვლეული იქნას გამომწვევი მიზეზები და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ თემებში სელექციური აბორტის დანერგვაზე; და ბ) შემუშავდეს პრობლემაზე მორგებული საგანმანათლებლო კამპანიები, რომლებიც ფოკუსირებული იქნება იმ რეგიონებსა და თემებზე, სადაც სქესის შერჩევის პრაქტიკა ჯერ კიდევ შეიმჩნევა.</p>	<p>გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია</p>
<p>გაიდლაინი ან სახელმძღვანელო მითითება</p>	<p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მოითხოვოს სქესის დადგენის ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენება, შესაბამისი სამედიცინო პროფესიული ასოციაციების ჩართულობით, ისევე როგორც სამედიცინო პერსონალისათვის სახელმძღვანელოს შემუშავებით, მათ შორის, პროფესიული სანქციების დანესებით.</p>	<p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>
<p>გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში</p>		
<p>განათლების შესახებ კანონი, გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ კანონი, ანტიდისკრიმინაციული კანონი</p>	<p>სექსუალური და სხვა სახის შევიწროება განათლების სფეროში აიკრძალოს ცვლილებების შეტანით განათლების, ანტიდისკრიმინაციულ და გენდერული თანასწორობის საბჭოს კანონებში. სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს საგანმანათლებლო დანესებულებათა შიდა გასაჩივრების მექანიზმები და საჩივრის შეტანის სამართლებრივი საფუძვლები, ასევე, ნათლად განისაზღვროს პასუხისმგებლობა.</p>	<p>პარლამენტი</p>
<p>სამინისტროს სტრატეგია ან გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ ახალი სტრატეგიის შემუშავება</p>	<p>სახელმწიფომ მიიღოს დროებითი სპეციალური ზომები, მათ შორის, დაამკვიდროს აფირმატული პრაქტიკა (დროებითი სპეციალური ღონისძიებები) დასაქმებისა და დანიშნულების პროცესში, ან კვოტები, რათა განათლების სფეროს ყველა დონეზე უზრუნველყოს გენდერული ბალანსი მასწავლებლებსა თუ ადმინისტრატორებს შორის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა შექმნას პროფესიული მობილობის დამატებითი შესაძლებლობები, რომლებიც „შუშის ჯერის“ პრობლემას მოაგვარებს.</p>	<p>განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>ზოგადი განათლების შესახებ კანონი, გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ კანონი</p>	<p>შეიცვალოს ზოგადი განათლების შესახებ კანონი, საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, რითაც სავალდებულო გახდება გენდერული მენსტრუაციის გათვალისწინება ეროვნულ სასწავლო პროგრამაში.</p>	<p>პარლამენტი</p>

ეროვნული სასწავლო გეგმა	გაიზარდოს სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმისაწვდომობა და არსებულ სამოქალაქო საგანმანათლებლო პროგრამებს დაემატოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მოდული.	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
განათლების პროფესიული სტანდარტები	პროფესიულ სტანდარტებს დაემატოს მოთხოვნა, რომელიც მასწავლებლებისა და სხვა აკადემიური პერსონალის ტრენინგებში გენდერული სენსიტიურობის მოდულის დამატებას გაითვალისწინებს.	პარლამენტი
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172 ⁶ მუხლში შევიდეს ცვლილება, რომელიც ბავშვთა ქორწინებისა და მათზე ძალადობის სხვა ფორმების შეტყობინებისა თუ რეფერირების კუთხით, მკაფიოდ გაითვალისწინებს მის გამოყენებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში და, პროფესიულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამის პროფესიულ სანქციებს დააწესებს.	პარლამენტი
საქართველოს მთავრობის #437 დადგენილება	შეიცვალოს საქართველოს მთავრობის #437 დადგენილება, რათა საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაეკისროთ ადრეული და იძულებითი ქორწინების რეფერირების ვალდებულება (ამჟამინდელ რედაქციაში საუბარია უფლებამოსილებაზე), ასევე იმ პირის ვინაობის კონფიდენციალობის დასაცავად, ვინც სახელმწიფო სტრუქტურების ინფორმირებას მოახდენს.	საქართველოს მთავრობა
განათლების შესახებ კანონი	შესწორდეს განათლების შესახებ კანონი, რათა საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული იყვნენ, მოახდინონ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება ადრეული ან იძულებითი ქორწინების შესახებ.	პარლამენტი
ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მომდევნო სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს მხარდაჭერას და სააგენტოს მხრიდან თარჯიმანთა ჩართულობას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებში მუშაობისას თარჯიმანთა ჩართვის კუთხით. გარდა ამისა, გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სოციალური მომსახურების სააგენტოებში ისეთი ფსიქოლოგების დასაქმებას, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების ენებს მშობლიური ენის დონეზე ფლობენ.	გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, სოციალური მომსახურების სააგენტო
განათლების შესახებ კანონი	განათლების შესახებ კანონს დაემატოს პუნქტი, რომელიც გულისხმობს დაქორწინებული და/ან ფეხმძიმე გოგონების სკოლაში დაბრუნების მონიტორინგის პროგრამებს.	პარლამენტი
ზოგადი განათლების შესახებ კანონი	ზოგადი განათლების შესახებ კანონი განათლების ყველა დონეზე ითვალისწინებდეს ორენოვან მასწავლებელთა რაოდენობის გაზრდას.	პარლამენტი
ეროვნული სასწავლო გეგმა	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს სპეციალური კურსი რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე - რომლებიც კულტურულ კონტექსტსა და მონაცვლეთა ასაკს გაითვალისწინებს - და შეიტანოს სასკოლო პროგრამებში. მასწავლებლებისათვის შეიმუშავდეს სპეციალური სასწავლო პროგრამები. ეს ტრენინგები უნდა მოიცავდეს მოდულებს გენდერული თანასწორობის საბჭო, ასევე, განათლებისა და ოჯახის დაგეგმვის უფლებათა შესახებ.	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ზოგადი განათლების შესახებ კანონი	სხვადასხვა პროფესიულ სფეროში გენდერული ბალანსის ხელშეწყობი პოლიტიკის შესამუშავებლად, განათლების სექტორში შეგროვდეს გენდერულად სეგრევირებული მონაცემები.	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სპეციალური პროგრამების შემუშავება	სხვადასხვა სფეროში ნაკლებად წარმოდგენილ პირთა კატეგორიების მხარდასაჭერად, ჩამოყალიბდეს სტიპენდიის პროგრამები.	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

გენდერული თანასწორობა სპორტის სფეროში		
გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ კანონი	გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ კანონში შევიდეს ცვლილება, რომელიც ქალებისა და გოგონებისათვის სპორტში მონაწილეობის თანასწორ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს, მათ შორის, განათლების კონტექსტშიც.	პარლამენტი
სპორტის ეროვნული პოლიტიკა	სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტსა და სამოქმედო გეგმაში შევიდეს ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს გენდერულ მეინსტრიმინგს, ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობით. ამ დოკუმენტებს დაემატოს ცალკე ამოცანა სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ.	სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
ცალკე მდგომი სტრატეგიის შემუშავება	ცალკე სტრატეგია შემუშავდეს გენდერულ თანასწორობაზე სპორტის სფეროში, რომელიც მოიცავს კონკრეტულ და გამოვლენად მიზნებს, როგორ უნდა შეეწყოს ხელი გენდერულ თანასწორობას და ქალთა გაძლიერებას სპორტში და სპორტის საშუალებით. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში დაინიშნოს საკონტაქტო პირი გენდერის სფეროში, რომელიც გაივლის შესაბამის სწავლებას და უხელმძღვანელებს რეკომენდებულ პროცესებსა და შემდგომ ნაბიჯებს.	სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ კანონი	გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ კანონში შევიდეს ცვლილება, რომელიც დაანებს მოთხოვნას ოფიციალური მონაცემების გენდერულ სეგრეგირებაზე. ამგვარი მონაცემები საქართველოში სპორტის ყველა ასპექტის შესახებ უნდა შეგროვდეს.	პარლამენტი
	<p>სპორტის სამინისტრომ ან/და პარლამენტის სპორტის კომიტეტმა ჩაატარონ კონკრეტული ვლევები/შეფასებები გენდერისა და სპორტის სფეროში, უპირველესად კი - საბაზისო ვლევა, რომელიც მიემართება სპორტის სფეროში გენდერულ დისკრიმინაციასთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებს. მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობა სპორტის მართვაში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე; • ქალებისა და მამაკაცების მიერ დომინირებული სპორტული ფედერაციების წვდომა სახელმწიფო დაფინანსებაზე; • ქალთა და მამაკაცთა ეროვნული გუნდების წვდომა სახელმწიფო დაფინანსებაზე; • ქალებისა და მამაკაცების ზოგადი ჩართულობა სპორტსა და ფიზიკურ აქტივობაში; • ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობა ორგანიზებულ სპორტში (რომელი სპორტით ვაგდებიან და ვის მიერ); • ქალთა დაბალი მონაწილეობის მიზეზები (მაგ: დროის ნაკლებობა, ბავშვზე ზრუნვა, უსაფრთხო და ადეკვატური ობიექტების ნაკლებობა, ინფორმაციის სიმწირე და ა.შ.); • ქალებისა და მამაკაცების დასწრება სპორტულ ღონისძიებებზე; • ქალთა და მამაკაცთა სპორტის გაშუქება მედიაში. 	სპორტის სამინისტრო, პარლამენტის სპორტის კომიტეტი
გენდერული თანასწორობა კულტურის სფეროში		
საქართველოს კანონი კულტურის შესახებ	საქართველოს კანონში კულტურის შესახებ შევიდეს ცვლილება, რომელიც მისი ყველა დებულების გამოყენებისას აღმოფხვრის დისკრიმინაციასა და უთანასწორობას გენდერის/სქესისა თუ სხვა ნიშნებით.	პარლამენტი
კულტურის სტრატეგია	კულტურის სტრატეგიაში 2025 წლამდე შევიდეს ცვლილება, რომელიც დოკუმენტში გენდერულ მეინსტრიმინგს უზრუნველყოფს. გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა დოკუმენტის დასაწყისშივე განისაზღვროს მის მთავარპრინციპად. გენდერული ასპექტები გათვალისწინებული იქნას მთლიან დოკუმენტში და არა მხოლოდ კულტურის ხელმისაწვდომობისა და მასში ჩართულობის კუთხით.	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

<p>კულტურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ კანონი</p>	<p>განხორციელდეს კულტურული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის გენდერული მეინსტრიმინგი და შედეგი აისახოს შესწორებულ დოკუმენტში, სადაც გენდერი ინტეგრირებულია დოკუმენტის ყველა მიზანსა და ამოცანაში. აღნიშნული მოთხოვნილი უნდა იქნას გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ კანონით.</p>	<p>გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, პარლამენტი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო</p>
<p>კულტურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ კანონი</p>	<p>გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები სისტემატურად უნდა შეგროვდეს და გავრცელდეს კულტურის ყველა სექტორთან მიმართებით, რაც გაამყარებს მტკიცებულებას ამ სფეროში გენდერული ხარვეზების არსებობის შესახებ. აღნიშნულ მოთხოვნას გენდერული თანასწორობის საბჭოს კანონში შეტანილი ცვლილებები უნდა აწესებდეს.</p>	<p>გენდერული თანასწორობის საბჭოს, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, პარლამენტი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო</p>
	<p>კულტურის სხვადასხვა სფეროში მიზნობრივი კვლევები უნდა ჩატარდეს გენდერის შესახებ. სხვადასხვა პოლიტიკური ინიციატივებისა და პროგრამების გავლენა გენდერულ თანასწორობაზე უნდა გაიზომოს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გამოყენებით, მათ შორის, გენდერული ზემოქმედების შეფასებით.</p>	<p>გენდერული თანასწორობის საბჭოს, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო</p>

III. შესავალი

საქართველო ადამიანის უფლებათა ბევრი საერთაშორისო დოკუმენტის, მათ შორის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) ხელმომწერი მხარეა. აქედან გამომდინარე, აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ფაქტობრივი თანასწორობა მამაკაცებსა და ქალებს შორის. კონვენციის მე-2 მუხლი კრძალავს ქალთა დისკრიმინაციას და სახელმწიფოებს ავალდებულებს, შესაბამისი პოლიტიკა სისრულეში მოიყვანონ ყველა შესაძლო საშუალებით. ასევე გადადგან კონკრეტული ნაბიჯები დისკრიმინაციული კანონმდებლობის, პრაქტიკისა და წესების ეროვნულ დონეზე აღმოსაფხვრელად. საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებაც საქართველოსგან მოითხოვს ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

2015 წელს გაერომ მიიღო მიზნების ჩამონათვალი, რომლებიც სიღარიბის დასრულებას, პლანეტის დაცვასა და საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფას ეხება. ეს ჩამონათვალი ახალი მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილია. მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან თითოეულს თავისი ნიშნული აქვს, რომლებიც მომდევნო 15 წლის განმავლობაში უნდა შესრულდეს. მიღწეული შედეგების გასაზომად ყოველი ნიშნულისთვის ინდიკატორებია განსაზღვრული. მართალია, გენდერული თანასწორობის ელემენტი ყველა ამ მიზანშია გათვალისწინებული, თუმცა, მე-5, როგორც ცალკე მდგომი და დამოუკიდებელი, მიზანი უშუალოდ „გენდერული თანასწორობის მიღწევას და ყველა ქალისა თუ გოგონას გაძლიერებას“ ეძღვნება. აღნიშნული მიზანი 9 ნიშნულს შეიცავს. ესენია: ქალების და გოგონების მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის დასრულება, ქალების და გოგონების მიმართ ყველა ფორმის ძალადობის დასრულება, საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორცაა ადრეული, იძულებითი და ბავშვთა ქორწინება, ქალების სრული და ეფექტიანი მონაწილეობა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადანყვეტილების მიღების ყველა დონეზე ლიდერობისთვის თანაბარი შესაძლებლობები; აგრეთვე მკაფიო პოლიტიკის ჩამოყალიბება და შესრულებადი კანონმდებლობის მიღება, რისი მიზანიც იქნება გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა თუ გოგონას გაძლიერება სხვადასხვა დონეზე. წინამდებარე ანგარიშში, საჭიროებისდა მიხედვით, კვლავ მივუთითებთ მდგრადი განვითარების მიზნებსა და მათ შესაბამის ნიშნულებზე.

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზების მიზნით. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არსებობს ხარვეზები კანონმდებლობასა თუ ქცევის ნორმებში. წინამდებარე დოკუმენტი სწორედ ამ ხარვეზების დაფიქსირების მცდელობაა ზემოაღნიშნული ვალდებულებებიდან გამომდინარე. ამ ნაბიჯებიდან ყველაზე ახალია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება და მასთან დაკავშირებული რიგი ცვლილებების ამოქმედება ეროვნულ კანონმდებლობაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს თანასწორობის უფლებას და დისკრიმინაციის აღმოფხვრას, თუ ეს კანონმდებლობა პრაქტიკაში ეფექტიანად არ განხორციელდება. ზოგადად, მთელი საქართველოს მასშტაბით პრობლემურია არსებული უფლებებისა და დაცვის მექანიზმების რეალურად აღსრულება, თუმცა ეს საკითხი წინამდებარე კვლევის საგანს არ წარმოადგენს.

საქართველომ უკვე გააძლიერა ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმები ქალთა თანასწორობის მონიტორინგისა და ხელშეწყობისთვის. დღესდღეობით გენდერული თანასწორობის მექანიზმებში მოიაზრება პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ცოტა ხნის წინ შექმნილი უწყებათაშორისი კომისია გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე და სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობას ავსებს ახალი უწყებათაშორისი კომისია ისეთი ფუნქციებით, როგორცაა უწყებათაშორისი კოორდინაცია, აღმასრულებელ ხელისუფლებაში კანონმდებლობის შესრულებაზე მონიტორინგი და ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავება გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, აგრეთვე ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე. სახალხო დამცველის აპარატი კი გადამწყვეტ როლს ასრულებს, როგორც დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანო გენდერული საკითხების ფართო სპექტრზე.

წინამდებარე დოკუმენტი დალაგებულია საგნობრივად და ეხება შემდეგ საკითხებს: ქალების ეკონომიკური გაძლიერება, ჯანდაცვა, საზიანო პრაქტიკა (გენდერული ნიშნით ძალადობა) და გენდერული თანასწორობა განათლების, ჯანდაცვის, სპორტისა და კულტურის სფეროებში. დოკუმენტში ხაზგასმულია ის საკითხები, რომლებზეც საქართველოს პირდაპირ მიუთითეს გაეროს სახელმძღვანელო ორგანოებმა და სხვა უფლებამოსილმა სტრუქტურებმა. დოკუმენტი გენდერულ თანასწორობას განიხილავს, როგორც გამჭოლ საკითხს იმისათვის, რომ ყველა ქალმა თანასწორად ისარგებლოს კანონისმიერი დაცვით, ხოლო კანონმდებლობა, თავის მხრივ, მხედველობაში უნდა იღებდეს მათ სხვადასხვაგვარ იდენტობას, ცხოვრებისეულ ეტაპებს, გამოცდილებას, მაგალითად, ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების, მდებარეობითი სქესის ბავშვებისა თუ მოზარდების, ასევე სხვა კატეგორიების გამოცდილებას.

ანგარიში იძლევა რეკომენდაციას გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების გამოყენებაზე. ეს ინსტრუმენტებია გენდერული მენისტრიმინგი, გენდერული ბიუჯეტირება და სპეციალური ღონისძიებები. საქართველოს ჯერჯერობით არ დაუსრულებია მუშაობა არც კონცეფციასა და არც სპეციალურ პოლიტიკაზე, რომელიც პოლიტიკის შექმნის პროცესში სავალდებულოს გახდის გენდერულ მენისტრიმინგსა და გენდერულ ბიუჯეტირებას. ჯერჯერობით არც ამ ინსტრუმენტთა სასწავლო მოდულებია შექმნილი სახელმწიფო მოხელეებისთვის.

გენდერული თანასწორობის მისაღწევად აუცილებელია ამ ინსტრუმენტების გამოყენება. სხვადასხვა სექტორში არსებული ეროვნული სამოქმედო გეგმების ზერეფე ნაკითხვითაც კი ამკარაა გენდერული მენისტრიმინგის ნაკლებობა. კვოტები მხოლოდ ერთ-ერთი ღონისძიებაა, არადა გასათვალისწინებელია სხვა დროებითი სპეციალური ზომებიც, როგორცაა პოზიტიური ქმედება და საჭიროებებზე მორგებული პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების მონაწილეობას.

კანონმდებლობაში არსებულ კონკრეტულ ხარვეზებთან ერთად - მაგალითად, სექსუალური შევიწროების შესახებ კანონმდებლობის არარსებობა - ანგარიში უთითებს სხვა, ნაკლებად თვალშისაცემ ნაკლოვანებებზეც როგორც კანონმდებლობაში, ისე პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში. ფართომასშტაბიანი რეფორმების განხორციელებისას გასათვალისწინებელია შემდეგი არსებითი საკითხები, რომლებიც თვალშისაცემ გავლენას იქონიებს გენდერულ თანასწორობაზე: მნიშვნელოვანი ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში პროპორციული წარმომადგენლობის მიმართულებით, კერძო სექტორში დასაქმებულ ქალთა უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების გათანაბრება საჯარო სექტორში დასაქმებულ ქალებთან ორსულობის, ბავშვის გაჩენის, ბავშვზე ზრუნვის, დეკრეტული შვებულების და კომპენსაციის მიმართულებით, აგრეთვე გენდერული სენსიტიურობის გათვალისწინება სოფლის მეურნეობის რეფორმებში.

IV. ტერმინები

პოზიტიური ქმედება/პრაქტიკა - პოლიტიკა, რომელიც მიმართულია უკანონო დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, არსებული დისკრიმინაციის შედეგების გამოსწორებასა და მომავალში დისკრიმინაციის თავიდან აცილებაზე. ხშირად ასეთი ღონისძიებები იგეგმება საგანმანათლებლო პროგრამაში შესარჩევ პროცესთან დაკავშირებით და პროფესიული დასაქმების სფეროში.

გენდერული გავლენის შეფასება - კანონის, პოლიტიკის ან პროგრამის წინასწარი შეფასება ან განალიზება, რათა წინასწარ დადგინდეს ამა თუ იმ გადაწყვეტილების გავლენა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობაზე.

გენდერული მენისტრიმინგი - გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და იმპლემენტაციის პროცესი, მამაკაცებსა და ქალებს შორის კარგად დამკვიდრებული თუ ახლადწარმოქმნილი უთანასწორობების გამოვლენა და მათი გამოსწორება. ეს გულისხმობს პოლიტიკის შექმნის, იმპლემენტაციისა და შეფასების პროცესში ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას. ყოველი პოლიტიკა უნდა შეფასდეს გენდერული თანასწორობის ჭრილში და მიზნად დაისახოს არსებული უთანასწორობის გამოსწორება გენდერულად სენსიტიური მიდგომების გზით.

გენდერული ბიუჯეტი - საბიუჯეტო პროგრამების ანალიზი გენდერული პერსპექტივიდან და გენდერული ნიშნით გამოვლენილი განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება ბიუჯეტის შემუშავებისას. ეს არის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც გენდერული თანასწორობის პრინციპები გათვალისწინებულია საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე.

ობიექტური გარემოებებით განპირობებული პროფესიული საჭიროება - გამონაკლისი პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციული მოპყრობიდან, როდესაც დისკრიმინაციული მოპყრობა განპირობებულია ამა თუ იმ პროფესიული საქმიანობიდან ან მისი შესრულების კონტექსტიდან გამომდინარე, თუკი მიზანი ლეგიტიმურია და აღნიშნული მოპყრობა - პროპორციული.

შუშის ჭერი - უხილავი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ქალებსა და უმცირესობებს მაღალი თანამდებობების დაკავებაში, შესაბამისი მიღწევებისა და კვალიფიკაციის მიუხედავად.

გონივრული მისადაგება - სამუშაო ან სასწავლო გარემოს შესაბამისი ცვლილება ან მისადაგება, რომელიც საშუალებას მისცემს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, შეასრულოს ძირითადი შრომითი ფუნქციები, ან ჰქონდეს თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლებაზე.

V. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ქალები ეკონომიკურად ძლიერები არიან მაშინ, როდესაც სარგებლობენ რესურსების, ქონების, შემოსავლის, ასევე, საკუთარი დროის კონტროლისა და გამოყენების უფლებით, ამასთანავე, აქვთ შესაძლებლობა, მართონ რისკები და გაიუმჯობესონ ეკონომიკური სტატუსი თუ მდგომარეობა.² ქალთა ეკონომიკური გაძლიერება აუცილებელია სიღარიბის გრძელვადიანი დაძლევისა და ადამიანის უფლებათა მთელი სპექტრის რეალიზებისათვის.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ზრდის მათ შესაძლებლობას, ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობა მიიღონ თანასწორი უფლებებითა და შესაძლებლობებით და ჰქონდეთ საკუთარი რესურსების, შემოსავლისა და ქონების კონტროლის საშუალება - როგორც ოჯახში, ისე პროფესიულ სივრცეში. ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია სხვადასხვა სფეროში. გაეროს გენერალური მდივნის მაღალი დონის პანელი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ აღიარებს, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება „არა მხოლოდ სწორი გადაწყვეტილებაა ადამიანის უფლებათა საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებების კუთხით, არამედ ჭკვიანურიც - განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით“.³

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება იზომება ბაზარზე თანასწორი მონაწილეობითა და პროდუქტიულ რესურსებზე თანაბარი წვდომით. პირველი გულისხმობს გლობალურ და ადგილობრივ ბაზარზე ქალების თანასწორ ჩართულობას, ხოლო მეორე - ორივე სქესის თანასწორ უფლებებს ქონებასა და საკუთრებაზე.⁴

საქართველოში 2016 წელს უმუშევრობის დონემ 11.8% შეადგინა, რაც ბოლო ხუთი წლის მონაცემებთან შედარებით ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.⁵ 2016 წელს სამუშაო ძალის ეკონომიკურად აქტიურ ნაწილად ითვლებოდა ქალების 58% და მამაკაცების 78%.⁶ საქართველოში დასაქმებული მოსახლეობის უმეტესობას ზოგადი საშუალო განათლება აქვს, დაუსაქმებელი ქალების დიდ ნაწილს კი (47 პროცენტს) - უმაღლესი.⁷

ქართული ეკონომიკა ხასიათდება როგორც *ჰორიზონტალური სეგრეგაციით*, რომლის პირობებშიც ქალები, ძირითადად, ეკონომიკის ნაკლებმომგებიან სექტორებში არიან დასაქმებულნი, ისე ვერ-

² „ოქსფამი“, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფცია, 2017, ხელმისაწვდომია შენდევ ბმულზე: <https://policy-practice.oxfam.org.uk/publications/oxfams-conceptual-framework-on-womens-economic-empowerment-620269>

³ გაეროს გენერალური მდივნის პანელი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ, 2016 წლის იანვარი. ხელმისაწვდომია: <http://www.unwomen.org/~media/headquarters/attachments/sections/news/stories/2016/unhlp-womenseconomicempowerment-overview.pdf>.

⁴ ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტი, საჯარო მართვის სკოლა, „ქალთა გაძლიერების ინდიკატორები განვითარებად ქვეყნებში“, 2013.

⁵ საქსტატი, „დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში“, 2016.

⁶ საქსტატი, „ქალი და კაცი საქართველოში“, 2017

⁷ საქსტატი, „ქალი და კაცი საქართველოში“, 2017.

ტიკალური სეგრეგაციით, როცა ქალები, ძირითადად, დაბალ და ნაკლებანაზღაურებად პოზიციებზე მუშაობენ, ვიდრე იმავე სექტორში დასაქმებული მამაკაცები. ამგვარი სეგრეგაციის შედეგად, ქალების შემოსავალი, საშუალოდ, მამაკაცთა შემოსავალზე ნაკლებია.⁸ საქართველოში ქალების ძირითადი ნაწილი დასაქმებულია დაბალ და ნაკლებანაზღაურებად პოზიციებზე. ისინი დომინირებენ განათლების, სოციალური მომსახურებისა და ჯანდაცვის სფეროებში მაშინ, როდესაც მამაკაცთა სიმრავლეა მმართველ პოზიციებზე, როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორში, განსაკუთრებით, ენერჯეტიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინჟინერიის სფეროებში.⁹

2014 წელს მთავრობამ შეიმუშავა 2014-2016 წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთ მიზანი გახლდათ ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა. ეს გეგმა დისკრიმინაციას დასაქმების ხელისშემშლელ დაბრკოლებად არ ასახელებდა. მასში გათვალისწინებული იყო არსებული სიტუაციის კვლევა და ქალთა მონაწილეობის მხარდამჭერი საქმიანობები პროფესიული თუ ბიზნესგანათლების გზით.¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმა ცალკე აღარ არსებობს, 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა მოიცავს სექციას გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების შესახებ. 13.1.4 ამოცანა მიემართება ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერას, რაც მოიცავს დახმარებას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესში შესაბამისი განათლებისა და შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით. აღნიშნული მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის კოოპერატივებსა და სოფლის განვითარების პროცესში ქალთა ჩართულობის გაზრდას.¹¹ 13.1.4 ამოცანა არ ეხება დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე, მათ შორის, თანასწორი ანაზღაურების შესახებ კანონმდებლობას, დისკრიმინაციულ განცხადებებს ვაკანსიასთან მიმართებით, შრომის ბაზარზე გენდერულ სეგრეგაციას, საბაზისო მომსახურების ნაკლებობასა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების დამაბრკოლებელ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კერძოდ, მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი ეხება ქალთა დასაქმების შესაძლებლობებსა და თანასწორი ანაზღაურების უფლებას, ასევე, „ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხო პირობების, მათ შორის, ასევე სამუშაო ადგილზე რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის უფლებას“. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს ორსულობისა და ოჯახური მდგომარეობის საფუძვლით დისკრიმინაციას და ოჯახური და სამსახურებრივი მოვალეობების შესათავსებლად აწესებს დეკრეტული შვებულებისა და სოციალურ პროგრამებზე წვდომის უფლებას. მე-13 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები სახელმწიფოებს მოუწოდებს:

აღმოფხვრან ქალთა მიმართ დისკრიმინაცია ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უზრუნველყონ ქალებისა და მამაკაცების თანასწორი უფლებები, კერძოდ:

ა) საოჯახო დახმარების უფლება;

ბ) სესხის, მისი უძრავი ქონების გირაოთი მიღებისა და სხვა ფორმის ფინანსური კრედიტების უფლება.

მდგრადი განვითარების მე-10 მიზანი უთანასწორობის შემცირების შესახებ სახელმწიფოებს მოუწოდებს, „შეიმუშაონ პოლიტიკა, განსაკუთრებით, ფისკალური და ანაზღაურებასა და სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის თანმიმ-

⁸ ათასწლეულის გამონვევის ფონდი - საქართველო, „სოციალური და გენდერული ინტეგრაციის გეგმა“, 2014.

⁹ საქსტატი, „ქალი და კაცი საქართველოში“, 2017

¹⁰ იხ: ამოცანები 3.1.1 - 3.1.3., 2014-2016, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის სამოქმედო გეგმა.

¹¹ იხ: ამოცანები 13.1.4.1-13.1.4.5, ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა 2016-2017.

დევრულ მიღწევას, ასევე, „უზრუნველყონ თანასწორი შესაძლებლობები და შეამცირონ სამუშაოს შედეგების კუთხით უთანასწორობა, მათ შორის, დისკრიმინაციული კანონმდებლობის, პოლიტიკისა თუ პრაქტიკის აღმოფხვრით და ამ მხრივ სათანადო კანონმდებლობის, პოლიტიკისა თუ საქმიანობის ხელშეწყობით“.

ა. შრომისა და დასაქმების სფეროებში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელმოწერა და რატიფიცირება

საქართველოს მიერ ჯერ კიდევ არ არის რატიფიცირებული რამდენიმე საერთაშორისო კონვენცია შრომითი ურთიერთობების შესახებ.

1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ (1930)

ბავშვებით ვაჭრობის, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი სახელმწიფოს მოუწოდებს, მოახდინოს იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ კონვენციის (1930) 2014 წლის ოქმის რატიფიცირება.¹²

რეკომენდაცია: პრევენციის, დაცვისა და კომპენსაციის ზომების დაწესების, ასევე, მონობის თანამედროვე ფორმების აღმოფხვრის მიზნით, მოხდეს იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ კონვენციის (1930) 2014 წლის ოქმის რატიფიცირება.

2. საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების დაცვის შესახებ

რეკომენდაცია: ხელი მოეწეროს კონვენციას ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების დაცვის შესახებ და მოხდეს მისი რატიფიცირება.

3. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №183 კონვენცია დედობის დაცვის შესახებ (2000 წ.)

დასკვნით შენიშვნებში საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს დედობის დაცვის №183 კონვენციის (2002) რატიფიცირებისაკენ.¹³

რეკომენდაცია: ხელი მოეწეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №183 კონვენციას დედობის დაცვის შესახებ და მოხდეს მისი რატიფიცირება.

4. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №158 კონვენცია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ

რეკომენდაცია: ხელი მოეწეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №158 კონვენციას შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ და მოხდეს მისი რატიფიცირება.

¹² A/HRC/34/55/Add.1, პუნქტი 82 (ა).

¹³ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, პუნქტი 29(გ).

ბ. გენდერული დისკრიმინაცია შრომით კანონმდებლობაში

1. დებულებები თანასწორი ანაზღაურების შესახებ

საქსტატის მონაცემების თანახმად¹⁴, 2015 წელს კაცის საშუალო თვიური ხელფასი 1074 ლარს შეადგენდა, ქალის კი - 693 ლარს. „მამაკაცის საშუალო ხელფასის დონე 381 ლარით, ანუ 1.54-ჯერ აღემატება ქალის საშუალო ანაზღაურების მაჩვენებელს“.¹⁵ წინა წლების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ „მამაკაცთა და ქალთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასიდან 2013 წლის პირველ კვარტალში ქალებმა მამაკაცთა შემოსავლის 62.3% მიიღეს, რაც ამ უკანსკნელთა სასარგებლოდ 37.7%-იან გენდერულ სახელფასო სხვაობას გულისხმობს“.¹⁶ ორგანიზაცია ასევე მიუთითებს, რომ „შრომით ბაზარზე გენდერული სეგრეგაცია ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს, რადგან, კვალიფიკაციისა და განათლების მიუხედავად, ქალები დომინირებენ ნაკლებშემოსავლიან სფეროებში, სადაც ანაზღაურება დაბალია“.¹⁷

გარდა ამისა, ქალებისათვის თანასწორი ანაზღაურების ხელმისაწვდომობაზე დამატებით უარყოფით გავლენას ახდენს სტრუქტურული დისკრიმინაცია.

დასაქმებული ქალები უმეტესად დაბალკვალიფიციურ საქმეს ასრულებენ, მიუხედავად მათი განათლების ხარისხისა. უდიდესი ნაწილი წარმოდგენილია არა გადამწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე, არამედ ქვედა რგოლის მუშაკად. მართალია, ქალები ხშირად ყველაზე შრომატევად საქმეს ასრულებენ, მაგრამ ისინი ნაკლებად ჩანან და ნაკლებად ხდება მათი დანიშნულება თავიანთი შრომისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.¹⁸

საერთაშორისო სამართალი ნათლად ადგენს თანაბარი ღირებულების შრომისათვის თანასწორი ანაზღაურების უფლებას. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №100 კონვენცია თანასწორი ანაზღაურების შესახებ სახელმწიფოებს მოუწოდებს, „უზრუნველყონ თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის ქალი და მამაკაცი მუშაკების თანასწორი ანაზღაურების პრინციპი“.¹⁹ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის „ა“ პუნქტის პირველი ქვეპუნქტის მიხედვით, „სამართლიანი ხელფასი და ტოლფასი შრომისათვის თანასწორი ანაზღაურება, რაიმე ნიშნით განსხვავების გარეშე, ქალებისათვის ქმნის შრომის ისეთი პირობების გარანტიას, რომელიც მამაკაცის შრომის პირობებზე უარესი არ იქნება, და თანაბარი ღირებულების შრომისათვის თანასწორი ანაზღაურების შესაძლებლობას“. მდგრადი განვითარების მე-8 მიზანი დასაქმებისა და ღირსეული სამუშაოს შესახებ მიზნად ისახავს „თანაბარი ღირებულების შრომისათვის თანასწორ ანაზღაურებას“.

ევროკავშირის 2006 წლის 5 ივლისის 2006/54/EC დირექტივის 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ მისი მიზანია „ქალთა და მამაკაცთა თანასწორი შესაძლებლობებისა და მოპყრობის პრინციპის უზრუნველყოფა დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის საკითხებში“, რომელთა შორისაა „შრომის პირობები, ანაზღაურების ჩათვლით“.²⁰

¹⁴ საქსტატი, ქალი და კაცი საქართველოში, 2017

¹⁵ USAID, 42-ე მუხლი, გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, 2014, გვ. 54

¹⁶ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, პირდაპირი მოთხოვნა (CEACR), 103-ე ILC სესია, 2014, ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:13100:0::NO::P13100_COMMENT_ID:3145921

¹⁷ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, პირდაპირი მოთხოვნა (CEACR), 103-ე ILC სესია, 2014.

¹⁸ USAID, 42-ე მუხლი, გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, 2014, გვ. 61.

¹⁹ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, კონვენცია თანასწორი ანაზღაურების შესახებ, 1951 (№ 100).

²⁰ ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2006 წლის 5 ივლისის დირექტივა 2006/54/EC დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის საკითხებში მამაკაცთა და ქალთა თანასწორი შესაძლებლობებისა და მოპყრობის

დასკვნით შენიშვნებში საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი გამოთქვამს შემოთავაზებას:

ქალთა უმუშევრობის არაპროპორციულად დიდი მაჩვენებლის, გენდერის მიხედვით სახელფასო განსხვავებისა და შრომით ბაზარზე ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის შესახებ, რომლის ფარგლებშიც ქალები, ძირითადად, დაბალანაზღაურებად პოზიციებზე არიან წარმოდგენილნი.²¹

კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს:

მიიღოს ზომები თანაბარი ღირებულების შრომისათვის თანასწორი ანაზღაურების პრინციპის განსახორციელებლად, რათა შესაძლებელი გახდეს გენდერის მიხედვით სახელფასო სხვაობის აღმოფხვრა და მუდმივად შეფასდეს ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურება ყველა სფეროში.²²

დასკვნით შენიშვნებში ადამიანის უფლებათა კომიტეტი საქართველოს მოუწოდებს, „აღმოფხვრას სახელფასო სხვაობა გენდერული ნიშნით და გადადგას ნაბიჯები დასაქმების სფეროში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის წინააღმდეგ“.²³

რეკომენდაცია: შრომის კოდექსს დაემატოს ნორმები, რომლებიც განმარტავს და მოითხოვს თანასწორ ანაზღაურებას თანაბარი ღირებულების შრომისათვის როგორც საჯარო ისე კერძო სექტორში, მათ შორის, მოიცავს ანაზღაურების განაკვეთების შეფასების მეთოდოლოგიურ კრიტერიუმებს. დებულებები უნდა ავალდებულებდეს ყველა იმ დამსაქმებლის, რომელთა მიერ დასაქმებულების რიცხვი დადგენილ მინიმუმს აჭარბებს, საქსტატს ყოველწლიურად წარუდგინოს გენდერული ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკა დასაქმებულების შესახებ.

რეკომენდაცია: გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების მომდევნო სამოქმედო გეგმებს ერთ-ერთ ამოცანად დაემატოს თანასწორი ანაზღაურება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით.

2. სექსუალური შევიწროება

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-19 რეკომენდაცია სექსუალურ შევიწროებას ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის ფორმად განმარტავს. რეკომენდაციაში ნათქვამია:

დასაქმების სფეროში თანასწორობა მნიშვნელოვნად იზღუდება, როდესაც ქალები გენდერული ნიშნით ძალადობის, მათ შორის, სამუშაო დაწესებულებებში სექსუალური შევიწროების მსხვერპლნი არიან.

სექსუალური შევიწროება მოიცავს უსიამოვნო სექსუალურ ქცევას, მათ შორის, ფიზიკურ კონტაქტსა და სხვა მცდელობებს, სექსუალური შინაარსის განცხადებებს, პორნოგრაფიის ჩვენებასა და სექსუალური ხასიათის მოთხოვნებს; მნიშვნელობა არ აქვს, ის ვერბალურადაა გამოხატული თუ ქმედებით, მსგავსი პრაქტიკა დამამცირებელია და შესაძლოა გამოიწვიოს პრობლემები ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

შესახებ, 1(ბ) მუხლი.

²¹ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, 28-ე პუნქტი.

²² ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, პუნქტი 29(ბ).

²³ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, CCPR/C/GEO/CO/4, 2014 წლის 19 აგვისტო, პუნქტი 7(გ).

დისკრიმინაციულია ქმედება, თუ ქალს აქვს გონივრული ეჭვი, რომ ამ ქცევის გაპროტესტება უარყოფით გავლენას მოახდენს მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე, მათ შორის, სამსახურში აყვანასა თუ დანიშნულებაზე, და ასეთი პროტესტის შედეგად მტრული სამუშაო გარემო შეიქმნება.²⁴

საქართველოს შესახებ ერთ-ერთ ანგარიშში ნათქვამია, რომ „სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის ერთ-ერთ ყველაზე ტაბუდადებული თემაა, მაშინაც კი, როდესაც ხდება შემთხვევის იდენტიფიცირება. მსხვერპლი უარს ამბობს სასამართლოსათვის მიმართვაზე, ვინაიდან არ აქვს საქმის მოგების იმედი და ერიდება ძლიერი სტიგმის ატანას დარჩენილი ცხოვრების მანძილზე“.²⁵ მნიშვნელოვანი სამართლებრივი აკრძალვის არარსებობის გამო, სექსუალურ შევიწროებაზე სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს.

დასკვნით შენიშვნებში საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი შემოთავაზებდა აღნიშნავს „სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებასა და დედობის დაცვის კანონმდებლობის სუსტ აღსრულებაზე, რაც სახელმწიფოში შრომითი ინსპექციის ან აღსრულების მსგავსი მექანიზმების ნაკლებობის შედეგია“.²⁶ რეკომენდებულია, სახელმწიფომ „გააძლიეროს ძალისხმევა სამუშაო ადგილზე ქალთა სექსუალური შევიწროების პრევენციისა და აღმოფხვრის კუთხით, რაც გულისხმობს შრომის ინსპექციების ჩამოყალიბებას შესაბამისი კანონმდებლობის სათანადო აღსრულებისა და ეფექტიანობისათვის.“²⁷

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფო ადმინისტრაციული და თვითმმართველი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანის შესაბამის პასუხისმგებლობას, რაც პოტენციური საფუძველია იმისათვის, რომ პასუხისმგებლობა სექსუალური თუ სხვა სახის შევიწროების გამო დაეკისროთ არა მხოლოდ ცალკეულ პიროვნებებს, არამედ სახელმწიფო ორგანოებსაც. თუმცა, არ არსებობს კერძო სექტორში პასუხისმგებლობათა ჯაჭვის განმსაზღვრელი სპეციალური კანონმდებლობა.

რეკომენდაცია: შრომის კოდექსი, ანტიდისკრიმინაციული კანონი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განმარტავდეს და კრძალავდეს სექსუალურ შევიწროებას, როგორც დისკრიმინაციის ფორმას. სამართლებრივი დებულებები კერძო და საჯარო დაწესებულებებს აკისრებდეს შიდა პოლიტიკისა და საჩივრის პროცედურების შემუშავების ვალდებულებას, ხოლო საჩივარზე არაეფექტიანი რეაგირების შემთხვევაში, განსაზღვრავდეს ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხს.

3. დისკრიმინაციული განცხადებები ვაკანსიის შესახებ

ევროპის საბჭოს 76/207/EEC დირექტივა ქალთა და მამაკაცთა მიმართ თანასწორი მოპყრობის შესახებ კრძალავს დისკრიმინაციას წინასახელშეკრულებო შრომით ურთიერთობებში. მე-3 მუხლში მითითებულია, რომ დირექტივა გამოიყენება „ყველა ადამიანის მიმართ, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში“ და მოიცავს „როგორც სამუშაოზე ხელმისაწვდომობას, თვითდასაქმების ან საქმიანობის კუთხით, ისე სელექციის კრიტერიუმებსა და შერჩევის პირობებს“.²⁸

²⁴ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია №19, მე-17 და მე-18 მუხლები.

²⁵ USAID, 42-ე მუხლი, გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, 2014, გვ. 92 (რომელშიც აღნიშნულია, რომ ლბტ ქალები რისკგუფს წარმოადგენენ).

²⁶ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, 28-ე პუნქტი.

²⁷ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, პუნქტი 29(დ).

²⁸ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ევროპის საბჭოს 2002 წლის 23 სექტემბრის 2002/73/EC

ერთ-ერთი კვლევაში ნაჩვენებია, რომ საქართველოში ვაკანსიის განცხადებები, როგორც წესი, მოიცავს შემოთავაზებას „სტაბილური“, „სასიამოვნო გარეგნობის“, „დასაოჯახებელი“²⁹ ქალებისათვის და აკონკრეტებს სასურველ სქესს, იმის მიუთითებლად, რამდენად აუცილებელი მოთხოვნაა სქესი საქმიანობისათვის.³⁰

შრომის კოდექსში მკაფიოდ და დაზუსტებულად არ არის მითითებული დისკრიმინაციის აკრძალვა ვაკანსიის განცხადებებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ცალსახად კრძალავს დისკრიმინაციას წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, იგი არ განმარტავს, რას მოიცავს ეს ურთიერთობები და მხოლოდ მათი დასრულების დეფინიციას განსაზღვრავს. კოდექსის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნულია, რომ: „კანდიდატთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულებულად ითვლება მხარეთა მიერ შრომითი ხელშეკრულების დადებით, ან დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებით“.

საჯარო სამსახურის მიმდინარე რეფორმა, რომელიც მთავრობამ 2014 წელს დაამტკიცა, მოიცავს ზოგად პრინციპებს სამსახურში აყვანის შესახებ, როგორცაა: გამჭვირვალობა, დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევა და ვაკანსიის განცხადებები. მიუხედავად მოითხოვნისა, რომ ვაკანსიაში აღწერილი იყოს პოზიცია, აუცილებელი კვალიფიკაცია, ხელფასი, არ არსებობს მოთხოვნა გენდერულ ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია: შრომის კოდექსსა და საჯარო სამსახურის შესახებ კანონს დაემატოს დებულებები, რითაც აკრძალვას დისკრიმინაციული განცხადებები ვაკანსიების შესახებ და დისკრიმინაცია გასაუბრების ეტაპზე.

რეკომენდაცია: შრომის კოდექსში მკაფიოდ განიმარტოს წინასახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლები, რათა მოიცვას განცხადებები ვაკანსიების შესახებ. კანონმდებლობა ცხადად კრძალავდეს ისეთი შეკითხვების დასმას, რომლებიც შეეხება განმცხადებლის ოჯახურ მდგომარეობას, ორსულობასა და სხვა პირად საკითხებს.

4. მტკიცების ტვირთის გადასვლა

სქესის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეებზე მტკიცების ტვირთის შესახებ ევროპის საბჭოს 1997 წლის 15 დეკემბრის 97/80/EC დირექტივაში, კერძოდ, მისი მე-4 მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნულია:

როდესაც პირები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ დაირღვა მათ მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპი, სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს წინაშე წარადგინენ ფაქტებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ივარაუდო პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაცია, მოპასუხე მხარეს ეკისრება პასხისმგებლობა, დაამტკიცოს, რომ თანასწორი მოპყრობის პრინციპი არ დარღვეულა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, კერძოდ, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ასევე ითვალისწინებს, რომ „შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მართებული მიზეზის არსებობის მტკიცების ტვირთი“ დაეკისროს დამსაქმებელს, რაც აფართოებს დისკრიმინაციის შესახებ საჩივრების სფეროს.

დირექტივა ქალთა და მამაკაცთა მიმართ თანასწორი მოპყრობის შესახებ შრომასა და დასაქმებაში.

²⁹ USAID, 42-ე მუხლი, გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, 2014, გვ. 14-17, (სადაც აღნიშნულია, რომ 2010-2014 წლებში დასაქმების ორ ვებგვერდზე განცხადებების 34% გენდერულ მოთხოვნაზე მიუთითებდა), ხელმისაწვდომია: http://article42.ge/wp-content/uploads/2016/03/Gender_Discrimination_in_Labor_Relations.pdf.

³⁰ იხ: ევროპის საბჭოს 2002 წლის 23 სექტემბრის 2002/73/EC დირექტივა ქალთა და მამაკაცთა მიმართ თანასწორი მოპყრობის შესახებ შრომასა და დასაქმებაში, მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.

ანტიდისკრიმინაციული კანონისგან განსხვავებით, შრომის კოდექსი მტკიცების ტვირთის გადასვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, თუ საჩივარი შრომითი ურთიერთობის უკანონო შეწყვეტას ეხება;³¹ ამდენად, მტკიცების ტვირთის გადანაწილება ყველა საქმეში, რომლებიც ეხება დისკრიმინაციას შრომითი ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე, არცერთ დებულებაში არ არის გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363¹⁻⁶ მუხლები სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებზე სარჩელის შეტანის პროცედურებს აწესებს. 363³ მუხლი მტკიცების ტვირთის გადასვლას ითვალისწინებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარჩელე prima facie მტკიცებულებას წარმოადგენს.

რეკომენდაცია: შრომის კოდექსის 38-ე მუხლში შევიდეს ცვლილება, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცების ტვირთის დამსაქმებელზე გადასვლას სავარაუდო დისკრიმინაციის ყველა საქმეზე და მის ჰარმონიზებას ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან.

5. უარი დასაქმებაზე

შრომის კოდექსის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, „დამსაქმებელი ვალდებული არ არის, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ“. ეს დებულება ძალას უკარგავს მტკიცების ტვირთის გადასვლის პრინციპს, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა და ანტიდისკრიმინაციული კანონის შესაბამისად,³² დამსაქმებელს ავალდებულებს, დაასაბუთოს დასაქმების გადაწყვეტილების არადისკრიმინაციულობა.

რეკომენდაციები: შრომის კოდექსიდან ამოსაღებია მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი. კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომელიც დამსაქმებელს დაავალდებულებს, აპლიკანტს მისი მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მიზეზები, თუ რატომ ეთქვა უარი დასაქმებაზე.

6. შრომითი ურთიერთობის უკანონო შეწყვეტა

შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4-8 პუნქტები განსაზღვრავს პროცესს, რომლის ფარგლებშიც დასაქმებულს შეუძლია, მოითხოვოს „ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთება;“ დამსაქმებელი ვალდებულია, მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაასაბუთოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. დასაქმებულს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მე-7 ქვეპუნქტი, დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის დასაბუთებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის მასზე გადასვლას:

თუ დამსაქმებელი დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მტკიცების ტვირთის გადასვლა უნდა მიემართებოდეს ყველა სარჩელს, რომლებიც ეხება დასაქმების სფეროში დისკრიმინაციას, და არა მხოლოდ იმ საქმეებს, სადაც დამსაქმებელი დასაბუთებას არ წარადგენს.

³¹ იხ: 38-ე მუხლის მე-7 პუნქტი, შრომის კოდექსი.

³² იხ. მაგ: საბჭოს 1997 წლის 15 დეკემბრის დირექტივა 97/80/EC სქესის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეებში მტკიცების ტვირთის შესახებ.

რეკომენდაცია: შრომის კოდექსის 38-ე მუხლში შევიდეს ცვლილება, რომელიც შრომითი ხელშეკრულების სავარაუდო დისკრიმინაციული ნიშნით შეწყვეტის საქმეებში უზრუნველყოფს მტკიცების ტვირთის გადასვლას დამსაქმებელზე.

გ. დევრეტული შვებულება და ორსულობასთან დაკავშირებული პირობები

1. დევრეტული შვებულება

ევროკავშირის დირექტივები ითვალისწინებს დევრეტული შვებულების უფლებას, რაც ასევე მოიცავს სამუშაოდან თავისუფალი დროის მოთხოვნის უფლებას პრენატალური გამოკვლევების მიზნით. 1992 წლის 19 ოქტომბრის 92/85/EEC დირექტივა „ფეხმძიმე მუშაკებისა და იმ მუშაკების, რომლებსაც ახლახან შეეძინათ შვილი ან არიან მეძუძური დედები, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშემწყობი ზომების დანერგვის შესახებ“ ითვალისწინებს უწყვეტი დევრეტული შვებულების უფლებას, სულ მცირე, 14-კვირიანი ვადით. მე-9 მუხლი ითვალისწინებს ფეხმძიმე მუშაკების უფლებას, „გათავისუფლდნენ სამუშაოდან ისე, რომ არ დაკარგონ ანაზღაურება და ჩაიტარონ წინასამშობიარო გამოკვლევები, თუკი ისინი უნდა ჩატარდეს სამუშაო საათების განმავლობაში“.

ევროკავშირის 2010/18/EU დირექტივა ბავშვის მოვლის შვებულების შესახებ, რომელიც შემუშავდა დევრეტული შვებულების 2009 წლის 18 ივნისის ჩარჩო შეთანხმების იმპლემენტაციისათვის, ყველა მუშაკს, ქალსა და მამაკაცს, იცავს დისკრიმინაციისაგან დევრეტული შვებულების მოთხოვნის ან ამ შვებულებით სარგებლობის საფუძველზე. დირექტივის მიხედვით, „შვებულება უნდა გაიცეს, სულ მცირე, 4 თვის ვადით, ხელს უწყობდეს თანასწორ შესაძლებლობებსა და მოპყრობას ქალებსა და მამაკაცებს შორის და არ იყოს გადაცემით.“³³ დირექტივის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში დამატებით აღნიშნულია, რომ სახელმწიფოებმა და სოციალურმა პარტნიორებმა „უნდა შეაფასონ დევრეტული შვებულების გამოყენებაზე წვდომისა და მისი პირობების მისადაგების აუცილებლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან მძიმედ დაავადებული ბავშვების მშობელთა საჭიროებებთან.“

შრომის კოდექსის 27-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მიხედვით, დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, 730 კალენდარული დღის ოდენობით; აღნიშნული შვებულებიდან ანაზღაურდება 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპების გაჩენის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე. თუმცა, საყურადღებოა, რომ კერძო სექტორში დევრეტული შვებულების მიღების შესაძლებლობა მხოლოდ და მხოლოდ დამსაქმებლის დისკრეციულ გადანყვეტილებაზეა დამოკიდებული და დასაქმებულს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ერთჯერად 1000 ლარიან დახმარებაზე მიუწვდება ხელი.³⁴

შრომის კოდექსი არ მიუთითებს ანტენატალური მოვლისათვის დროის გამოყოფის საკითხზე. გარდა ამისა, ის არ ითვალისწინებს დამატებით დღეებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის დაბადებისა და მოვლისათვის.

აღნიშნულისგან განსხვავებით, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 64-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საჯარო მოხელეს ორსულობის პერიოდში სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების გამო გაცდენილი სამუშაო საათები საპატიოდ ჩაეთვლება, თუკი წარადგენს გამოკვლევების ჩატარების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, და შეუნარჩუნდება შრომითი გასამრჯელო.

³³ საბჭოს დირექტივა 2010/18/EU დევრეტული შვებულების შესახებ, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

³⁴ იხ: პროფკავშირების საკანონდებლო წინადადების განმარტებითი ბარათი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სააგენტოს #231 ბრძანების მე-5 მუხლი

საჯარო სამსახურის შესახებ კანონი არ ითვალისწინებს დამატებით დროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის დაბადებისა და მოვლისათვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 41¹ მუხლის 1-ლი პუნქტი ტყუპების გაჩენის შემთხვევაში 200 დღემდე ანაზღაურებად შვებულებას განსაზღვრავს.

რეკომენდაცია: შრომის კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომელიც უზრუნველყოფს ანაზღაურებად შვებულებას ანტენატალური სამედიცინო გამოკვლევებისათვის და დამატებით შვებულებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დაბადებისა და მათზე ზრუნვისათვის.

რეკომენდაცია: საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შევიდეს ცვლილება, რომელიც გაითვალისწინებს დეკრეტული შვებულების დამატებით დღეებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დაბადებისა და მათზე ზრუნვისათვის.

2. გათავისუფლება დისკრიმინაციული მოტივით

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენცია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, კერძოდ, მისი მე-5 მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტები კრძალავს სამსახურიდან გათავისუფლებას სხვადასხვა საფუძვლით, მათ შორის, ორსულობისა და დეკრეტული შვებულების გამო. ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 33-ე მუხლი კრძალავს ხელშეკრულების შეწყვეტას ორსულობის, დეკრეტული შვებულებისა და ბავშვის აყვანის საფუძვლით.

საბჭოს 1992 წლის 19 ოქტომბრის 92/85/EEC დირექტივა და 2010/18/EU დირექტივა ბავშვის მოვლის შვებულების შესახებ ასევე კრძალავს დისკრიმინაციულ ქმედებას ორსულ მუშაკთა და დეკრეტული შვებულებით მოსარგებლე პირთა მიმართ. 2010/18/EU დირექტივა ყველა მუშაკს, ქალსა და მამაკაცს, იცავს დისკრიმინაციისაგან დეკრეტული შვებულების მოთხოვნის ან ამ შვებულებით სარგებლობის საფუძველზე. დირექტივა სახელმწიფოებსა და სოციალურ პარტნიორებს უკრძალავს, წინამდებარე შეთანხმების სფეროდან გამორიცხონ ნახევარ განაკვეთზე ან ვადიანი ხელშეკრულებით დასაქმებულნი, ასევე პირები, რომლებსაც შრომითი ხელშეკრულება ან ურთიერთობა დროებით სააგენტოსთან აქვთ.³⁵

2010/18/EU და 2002/73/EC დირექტივები უზრუნველყოფს, რომ დეკრეტული შვებულებიდან გამოსვლისას მშობლებს ჰქონდეთ უფლება, დაუბრუნდნენ იმავე, მის ექვივალენტურ ან მსგავს სამუშაოს, თავიანთი შრომითი ხელშეკრულებისა და ურთიერთობის შესაბამისად.³⁶ ამ უკანასკნელ დირექტივაში აღნიშნულია, რომ „ნაკლებხელსაყრელი მოპყრობა ქალებისადმი, რომელიც უკავშირდება ორსულობას ან დეკრეტულ შვებულებას ... წინამდებარე დირექტივის მნიშვნელობის ფარგლებში, დისკრიმინაციაა“.³⁷

92/85/EEC დირექტივის მიხედვით, დაუშვებელია ქალების სამსახურიდან გათავისუფლება იმ საფუძვლებით, რომლებიც უკავშირდება მათ მდგომარეობას ორსულობის დასაწყისიდან დეკრეტული შვებულების დასრულებამდე.³⁸ სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, დამსაქმებელმა „წერილობით უნდა დაადასტუროს სათანადოდ დასაბუთებული საფუძვლების არსებობა“.³⁹ გარდა ამისა,

³⁵ საბჭოს დირექტივა 2010/18/EU დეკრეტული შვებულების შესახებ, 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁶ საბჭოს დირექტივა 2010/18/EU დეკრეტული შვებულების შესახებ, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი; საბჭოს დირექტივა 2002/73/EC დასაქმებაზე წვდომის, პროფესიული მომზადების, დანიშნულებისა და სამუშაო პირობების კუთხით მამაკაცთა და ქალებს მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპის განხორციელების შესახებ, მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი.

³⁷ საბჭოს დირექტივა 2002/73/EC, მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი.

³⁸ საბჭოს 1992 წლის 19 ოქტომბრის დირექტივა 92/85/ფეხმძიმე მუშაკების და იმ მუშაკების, რომლებსაც ახლახან შეეძინათ შვილი ან არიან მეძუძური დედები, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშემწყობი ზომების დანერგვის შესახებ, მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი

³⁹ საბჭოს დირექტივა 92/85/EEC, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

დირექტივის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა შესაბამისი ზომები მიიღონ უკანონო გათავისუფლების შედეგებისაგან დასაცავად.

კვლევებით დასტურდება, რომ საქართველოში „ხშირია სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევები ორსულობის, დეკრეტული შვებულების, ოჯახური მდგომარეობისა თუ გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზების გამო“ და ბევრი ქალი დეკრეტულ შვებულებაზე უარს ამბობს, რადგან დაბრუნების შემდეგ სამსახურიდან გათავისუფლების ემინია.⁴⁰ დამსაქმებლები ხშირად იყენებენ მოკლევადიან ხელშეკრულებებს, რომელთა გახანგრძლივებაზე უარის თქმა დასაბუთებას არ საჭიროებს.⁴¹ თუმცა, ორსულობის ნიადაგზე სამსახურიდან გათავისუფლების სტატისტიკა ხელმისაწვდომი არ არის.

შრომის კოდექსი კრძალავს დეკრეტული შვებულების დროს სამსახურიდან გათავისუფლებას, თუმცა არ განსაზღვრავს პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ეს აკრძალვა ვრცელდება. კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით: „დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დასაქმებული ქალის მიერ თავისი ორსულობის შესახებ დამსაქმებლისთვის შეტყობინებიდან ამ კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში“, ანუ ორსულობის, მშობირობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებისას, გარდა კონკრეტულად ჩამოთვლილი საფუძვლებისა, რომლებიც ამას არ უკავშირდება.

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს სამსახურიდან გათავისუფლებას „ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო“. ეს დებულება ეხება მხოლოდ მუშაკთა იმ კატეგორიას, რომლებიც „საჯარო მოხელეებად“ ითვლებიან და არა შტატგარეშე ან დამხმარე მოსამსახურეებსა და „სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს“.⁴² დებულება პირდაპირ დისკრიმინაციულია, რადგან მხოლოდ ერთი კატეგორიის პირების დაცვას ითვალისწინებს.

რეკომენდაცია: შრომის კოდექსის დებულებებში დეკრეტული შვებულების შესახებ შევიდეს ცვლილებები, რომლებიც ასეთი შვებულების შემდეგ დაბრუნებულ ყველა მშობელს დაიცავს სამსახურიდან გათავისუფლებისაგან და დაქვეითებისაგან - როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში - და განსაზღვრავს დაცვის პერიოდის ხანგრძლივობას. ეს პერიოდი ჰარმონიზებული უნდა იყოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონში განსაზღვრულ ვადასთან.

რეკომენდაცია: საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შევიდეს ცვლილება, რომლის საფუძველზეც იგი გავრცელდება საჯარო სექტორში დასაქმებულ ყველა პირზე.

3. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო

უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობები ყველა დასაქმებულის უფლებაა. მდგრადი განვითარების მე-8 მიზანი სახელმწიფოებს მოუწოდებს, „დაიცვან შრომის უფლებები და ხელი შეუწყონ ყველა მუშაკისათვის უსაფრთხო და დაცული სამუშაო გარემოს შექმნას“. რეპროდუქციული როლის გათვალისწინებით, ორსული და მეძუძური ქალები დამატებით დაცვას იმსახურებენ. გარდა ამისა, სექსუალური შევიწროების გამო, ქალები სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დამატებითი რისკების წინაშე დგანან. 1992 წლის 19 ოქტომბრის 92/85/EEC დირექტივა „ფეხმძიმე

⁴⁰ იხ. მაგ: USAID, 42-ე მუხლი, გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, 2014, გვ. 68.

⁴¹ კონვენცია შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ (№158), კერძოდ, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლისს მოკლევადიანი კონტრაქტებით დასაქმებული თანამშრომლებისათვის. თუმცა, მე-3 ქვეპუნქტში ნათქვამია: „უნდა შემუშავდეს სათანადო დაცვის ზომები ვადიანი დროებითი შრომითი ხელშეკრულებების წინააღმდეგ, რომლებიც წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დაცვისგან თავის არიდებას ისახავს მიზნად“.

⁴² იხ: საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-5 და მე-6 მუხლები.

მუშაკების და იმ მუშაკების, რომლებსაც ახლახან შეეძინათ შვილი ან არიან მეძუძური დედები, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობი ზომების დანერგვის შესახებ“ ითვალისწინებს ისეთი შრომითი პირობების აკრძალვას, რომლებიც საფრთხეს უქმნის ფეხმძიმე მუშაკების ან მეძუძური დედების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

რეკომენდაცია: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მანდატში შევიდეს ცვლილებები, რომლებითაც ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინსპექცია სავალდებულო ფუნქციად განისაზღვრება, მისი გადაწყვეტილებები კი შესასრულებლად სავალდებულო გახდება, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში აღსრულებადი სანქციების მითითებით. ადამიანური რესურსების დეპარტამენტების მანდატი გაფართოვდეს და მოიცვას სექსუალური შევიწროების ფაქტები, როგორც ეთიკური სტანდარტების დარღვევის შემთხვევები.

დ. შრომის ინსპექცია

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აღიარებს სახალხო დამცველის როლს საჩივრებისა და საქმეების *ex officio* გამოძიების კუთხით, თუმცა აღნიშნავს:

შემაშფოთებელია მთავრობის მინიშნება იმ გარემოებაზე, რომ 2006 წელს შრომის ინსპექციის გაუქმების შემდეგ, ქვეყანაში აღარ არსებობს შრომის ზედამხედველობის ორგანო. მთავრობის ანგარიშზე დაყრდნობით, კომიტეტისათვის ნათელია, რომ ასეთი ორგანო, რომლის ჩამოყალიბებაც იგეგმება, პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის დებულებების აღსრულებაზე. **კომიტეტი მოუწოდებს მთავრობას, წარმოადგინოს ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომელთა შემკვობითაც აღასრულებს ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას დასაქმებისა და შრომის კუთხით და მიუთითოს, რამდენად დაეკისრება შრომის ინსპექტირების ორგანოს პასუხისმგებლობა მსგავსი კანონმდებლობის გამოყენების უზრუნველყოფაზე** (ტექსტი ხაზგასმულია დედანში).⁴³

რეკომენდაცია: შეიქმნას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შრომის ინსპექცია, რომელიც მონიტორინგს გაუწევს დასაქმებულთა უფლებებსა და დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე.

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს, „მიიღოს ზომები ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად და დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე მათი კონცენტრაციის თავიდან ასაცილებლად“.⁴⁴

2013 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია თავის პირდაპირ მოთხოვნაში საქართველოს მიმართ სახელმწიფოს მოუწოდებს, „წარმოადგინოს ინფორმაცია იმ ნაბიჯებზე, რომლებიც გადაიდგა თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების კუთხით, მშრომელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ეთნიკური უმცირესობებისათვის თანასწორი შესაძლებლობებისა და მოპყრობის უზრუნველსაყოფად და შრომისა და დასაქმების პროცესში ეთნიკური დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით“.⁴⁵

⁴³ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, პირდაპირი მოთხოვნა (CEACR), 103-ე ILC სესია, 2014, (ტექსტი ხაზგასმულია დედანში), ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:13100:0::NO::P13100_COMMENT_ID:3146413.

⁴⁴ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, პუნქტი 29(ა).

⁴⁵ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, პირდაპირი მოთხოვნა (CEACR) -დამტკიცებული 2013 წელს, გამოქვეყნდა 103-ე ILC სესიის ფარგლებში (2014), საქართველო.

რეკომენდაცია: ამოქმედდეს დროებითი სპეციალური ზომები, მათ შორის, აფირმატიული პრაქტიკა დასაქმებისა და დანინაურების პროცესში, რათა საჯარო სამსახურის ყველა დონეზე გაიზარდოს ეთნიკური და სხვა უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების სამსახურში აყვანა.

ე. გენდერული თანასწორობა განვითარების, სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებისა და წარმოების სფეროებში

საქართველოს ტერიტორიის 43.4% სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა.⁴⁶ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თვითდასაქმებულია და სოფლის მეურნეობის სფეროში საქმიანობს; ამ მოსახლეობის 63% სოციალურად დაუცველად ითვლება.⁴⁷ სოფლის მეურნეობა ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია, რომელშიც დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 50.89% (რომლის 54.13% ქალია).⁴⁸

მიუხედავად იმისა, რომ ქალებისათვის მიწის საკუთრების დარეგისტრირების სამართლებრივი ბარიერები არ არსებობს, პროდუქტიულ რესურსებზე, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო მიწაზე შეზღუდული წვდომა ქალებისათვის ფინანსური პრობლემების ერთ-ერთი წყაროა.⁴⁹ სოფლებსა და სოფლის მეურნეობის სექტორში გენდერულ სხვაობათა შეფასება აჩვენებს, რომ ქალები მამაკაცებზე მეტად არიან ჩართულნი დაბალშემოსავლიან საქმიანობაში, როგორცაა საარსებო სოფლის მეურნეობა. მამაკაცებთან შედარებით, ქალების მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მცირემასშტაბიანია, ზოგჯერ ისინი მხოლოდ დამხმარე ოჯახის წევრების როლს ასრულებენ.⁵⁰

სასოფლო-სამეურნეო მენარმეობაში არათანასწორი ჩართულობა, ნაწილობრივ, საბაზისო მომსახურებასა და სოციალურ ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული წვდომისა და საკრედიტო ბარიერების შედეგია. ტრადიციული გენდერული შეხედულებების გამო, ქალები ნაკლებად არიან ჩართულნი გადანყვებილების მიღების პროცესებში, რომლებიც მათ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას, ხოლო არაანაზღაურებადი სამუშაო აბრკოლებს მათ გადართვას საარსებო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან აქტიურ, შემოსავლიან მენარმეობაში.⁵¹ გენდერული სტერეოტიპები ქალებს აბრკოლებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე დაგეგმვისა და გადანყვებილების მიღების პროცესებში მონაწილეობის მხრივაც. ისინი ნაკლებად ინფორმირებულნი არიან, ვიდრე მამაკაცები, იშვიათად მონაწილეობენ ადგილობრივი თემების შეკრებებსა და თვითმმართველობის ორგანოების მიერ ორგანიზებულ სწავლებებში, ასევე იშვიათად სარგებლობენ ხელისუფლებისა და განვითარების ორგანიზაციების სერვისებით.⁵²

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა გარკვეულწილად მიმართულია ქალთა საჭიროებებზე, თუმცა ამ სფეროში სახელმწიფო, რეგიონულ თუ სასოფლო დონეებზე ამ დრომდე არ განხორციელებულა მნიშვნელოვანი გენდერული მენარმეოინგი.⁵³

⁴⁶ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, გვ. 12.

⁴⁷ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სერვისებზე ხელმისაწვდომობა ქალებისათვის: არსებული ბარიერები და შესაძლებლობები“ 2013, გვ. 7.

⁴⁸ სოფლის მეურნეობა ქვეყნის სამუშაო ძალის 53%-ს შეადგენს. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, გვ. 17; ასევე იხ: მსოფლიო ბანკი, ხელმისაწვდომია: <https://data.worldbank.org/indicator/SL.AGR.EMPL.FE.ZS?locations=GE&view=chart>.

⁴⁹ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება“ 2016.

⁵⁰ გაეროს განვითარების პროგრამა, „გენდერი და დასაქმება სამხრეთ კავკასიასა და დასავლეთ დსთ-ში“, 2015. გვ. 18.

⁵¹ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება“, 2016, გვ. 5.

⁵² გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება“, 2016.

⁵³ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების

პეკინის სამოქმედო პლატფორმა სახელმწიფოებს მოუწოდებს, უფრო სრულყოფილი ცოდნა განავითარონ შრომისა და დასაქმების ყველა ფორმის შესახებ, მათ შორის ისეთი საშუალებებით, როგორცაა:

- არაანაზღაურებად სამუშაოზე მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესება;
- ადამიანური რესურსების განვითარების უწყვეტი ხელშეწყობის, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიისა და ქალთა მენარმეობის განვითარების მიზნით, მათი ტექნიკური მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის, მცირე მენარმეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებში;
- შემოსავლიანი საქმიანობის ხელშეწყობისა და ეკონომიკურ გადანაცვტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობის მიზნით - განსაკუთრებით, ქალთა ორგანიზაციულ, მენარმეობის, მარკეტინგის, ბიზნესის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროებში ჩასართავად - შესაბამისი ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და მარკეტინგული სწავლების ჩატარება;
- გენდერულ საკითხებს, გარემოს დაცვასა და განვითარებას შორის სტრუქტურული კავშირების გაანალიზება სახელმწიფოს მიერ და ზოგიერთ სექტორზე, მათ შორის, სოფლის მეურნეობაზე ყურადღების გამახვილება.

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კერძოდ, მე-14 მუხლი სახელმწიფოებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ სოფლად მცხოვრები ქალების განსაკუთრებული პრობლემები და უზრუნველყონ მათი მონაწილეობა და სარგებელი სოფლის მეურნეობისა და განვითარების პროცესებში. კერძოდ, სახელმწიფოების ძალისხმევით, სოფლად მცხოვრებ ქალებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი უფლებები:

- განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
- ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;
- სოციალური დაცვის პროგრამებით სარგებლობა;
- განათლებასა და სწავლებაზე წვდომა;
- თვითორგანიზებულ ჯგუფებსა და კოოპერატივებში ჩართულობა;
- საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა;
- კრედიტზე, ბაზარსა და ტექნოლოგიაზე წვდომა, ასევე, მიწისა და სოფლის მეურნეობის რეფორმის სქემებში თანასწორი მოპყრობა;
- სათანადო საცხოვრებელი პირობებით სარგებლობა - საცხოვრისის, სანიტარიის, ელექტროენერჯის, წყლის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ჩათვლით.

დასკვნით შენიშვნებში საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი საქართველოს მოუწოდებს:

უზრუნველყოს სოფლად მცხოვრები ქალების სათანადო წვდომა სოციალურ, ჯანდაცვისა თუ სხვა ძირითად მომსახურებებსა და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, ისევე, როგორც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თანასწორ შესაძლებლობებზე, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის სექტორთან დაკავშირებული გადანაცვტილებების მიღების კუთხით. კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს, რომ სოფლებში, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის გათვალისწინებული თავშესაფრებისა და სხვა მომსახურებების გარდა, ხელმისაწვდომი იყოს ბაგა-ბაღებიც; ასევე, შემდეგ პერიოდულ ანგარიშში შეიტანოს გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები მიწის საკუთრების შესახებ.⁵⁴

გენდერული შეფასება”, 2016, გვ. 32.

⁵⁴ CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014, 33-ე პუნქტი.

1. გენდერული მენისტრიმინგი სოფლის მეურნეობის პოლიტიკასა და ადგილობრივი განვითარების პროგრამებში

სახელმწიფო, რეგიონულ და სოფლის დონეზე პოლიტიკური გადაწყვეტილებები სათანადოდ არ მოიცავს გენდერული თანასწორობის საკითხებს. ქალების, ვაცების, გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებები, ინტერესები და პერსპექტივები სისტემატურად გაუთვალისწინებელია. სასოფლო-სამეურნეო და რეგიონული განვითარების პოლიტიკა არ არის შეთანხმებული გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან. ერთ-ერთი კვლევა აჩვენებს, რომ გენდერულ თანასწორობასა და მენისტრიმინგზე ცოდნის სიმცირის გამო, რეგიონული, სოფლის მეურნეობისა თუ ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის განვითარების პროცესში არ არის გათვალისწინებული სამართლებრივი დებულებები გენდერული თანასწორობის შესახებ.⁵⁵

ა) სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია აყალიბებს სასოფლო-სამეურნეო განვითარების მიმართულებას შვიდ სხვადასხვა სექტორში. ნათელია, რომ სტრატეგიის გამოქვეყნებამდე მისი გენდერული მენისტრიმინგი არ განხორციელებულა. გენდერი სტრატეგიის შვიდი მიმართულებიდან მხოლოდ ორშია ნახსენები, ისიც ქვეთავებში. სტრატეგიული მიმართულება 3.1. - აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება, კერძოდ, ამოცანა 3.1.6 (სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა), ხაზს უსვამს ქალებისა და სხვა მონყვლადი ჯგუფების კოოპერატივებსა და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობის მნიშვნელობას.⁵⁶ სტრატეგიული მიმართულება 3.2 - ინსტიტუციური განვითარება - მოიცავს ამოცანას 3.2. საბაზრო ინფორმაციული სისტემის შექმნის, მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთათვის ეფექტიანი მიწოდების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია ინფორმაციის მოგროვების აუცილებლობა გენდერულ ჭრილში შემდგომი დეტალური ანალიზის ჩასატარებლად.⁵⁷ სტრატეგიის დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ მისი განხორციელების პროცესშიც შეგროვდება ინფორმაცია ასეთი ანალიზისათვის.⁵⁸

სტრატეგიის მსგავსად, მის თანმხლებ სამოქმედო გეგმაში ორი მითითებაა გენდერზე, მათ შორის, რეკომენდაციები გენდერულად სეგრეგირებულ მონაცემთა შეგროვებაზე –ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარების მიზნით - და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებაში ქალების ჩართულობაზე.

რეკომენდაცია: საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის გენდერული შეფასება/მენისტრიმინგი, რაც მოიცავს გენდერული ბიუჯეტის ანალიზს ქალთა საჭიროებების გასათვალისწინებლად და სოფლის მეურნეობის სფეროში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მხრივ არსებულ პრობლემათა გამოვლენას. სტრატეგიაში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები.

ბ) საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია

საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის სამ პრიორიტეტულ სფეროდ განსაზღვრულია: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა; სოციალური პირობები და ცხოვრების დონე; გარემოს

⁵⁵ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება“, 2016.

⁵⁶ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, გვ. 22.

⁵⁷ ამოცანა 3.2.2. მოიცავს წინადადებას: „შეგროვდება ინფორმაცია გენდერულ ჭრილში შემდგომი დეტალური ანალიზის ჩასატარებლად.“ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, გვ. 24.

⁵⁸ იხ. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, გვ. 37.

დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა. ქალთა საჭიროებები ნახსენებია მხოლოდ ერთ პრიორიტეტულ სფეროში, რომელიც სოციალურ პირობებსა და ცხოვრების დონეს ეხება. ამ პრიორიტეტული სფეროს პირველი ამოცანაა: „ცნობიერების ამაღლება ინოვაციებისა და მენარმეობის მიმართულებით; ასევე, თანამშრომლობის ნახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით (განსაკუთრებით, ახალგაზრდებისა და ქალების). მესამე ამოცანა მოიცავს „ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას: სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით, ქალებისა და ახალგაზრდების) მონაწილეობის გაზრდას ადგილობრივ საჭიროებათა იდენტიფიცირებასა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში.“ მიუხედავად იმისა, რომ ქალების ეკონომიკურ გაძლიერებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ინფრასტრუქტურასა და მომსახურებებზე წვდომა (იხ. ქვემოთ), ამ მიზანთან კავშირში ის ნახსენები არ არის.

კონკურენტუნარიანობისა და დივერსიფიკაციის ამოცანების აღწერისას - რაც მოიცავს ისეთ საქმიანობებს, როგორცაა არსებულ საწარმოთა ფინანსური მხარდაჭერა, კოოპერატივების საჭირო ინვენტარით მომარაგება, პროფესიული უნარების სწავლება და მცირე თუ საშუალო საწარმოების შექმნა - სტრატეგიის თანმდევი სამოქმედო გეგმა ქალების საკითხს არ ახსენებს. ქალები არ არიან ნახსენები იმ საქმიანობებთან მიმართებითაც, რომლებიც ჩამოთვლილია ქვეთავებში სოფლის ტურიზმის, წყლის, ტყისა და სხვა რესურსების, ასევე, ნარჩენების მართვისა თუ კლიმატის ცვლილების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ქალები უნარებისა და განვითარების კუთხით ზოგადი სამიზნე ჯგუფია, არც ერთი გათვალისწინებული საქმიანობა არ მიუთითებს მათზე. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ინფრასტრუქტურისა და სერვისების შესახებ ქვეთავში სამოქმედო გეგმა მოიცავს 70 ახალაშენებულ ან გარემონტებულ საბავშვო ბაღს. ქვეთავში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის შესახებ, რომლის ცხადი სამიზნეც ქალები და ახალგაზრდები არიან, ნახსენებია, სულ მცირე, 6 ამოცანა ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით. აშკარაა, რომ გენდერული მენისტრიმინგის შესახებ ცოდნის ნაკლებობას შედეგად მოჰყვება ზოგადი აქტივობების შემუშავება ქალთა უფლებების შესახებ, ამ უფლებებსა და შესაბამის პოლიტიკას შორის კავშირის მკაფიო განმარტების გარეშე. შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც ქალები რაიმე აქტივობის მთავარ სამიზნეს წარმოადგენენ, ის კონკრეტულად არ უკავშირდება ქალების ჩართულობას განვითარების სფეროში.

რეკომენდაცია: შეიცვალოს სოფლის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რათა სავალდებულო გახდეს შიდა პერსონალის სწავლება გენდერული მენისტრიმინგის საკითხებზე, მომდევნო სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში ქალთა საჭიროებებისა და გენდერის ეფექტიანი ინტეგრირების მიზნით.

რეკომენდაცია: სოფლის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დებულებებში აისახოს ქალთა სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები, როგორცაა კოოპერატივებში მათი ჩართულობის გაზრდა და მხარდაჭერა მცირე თუ საშუალო მენარმეობის კუთხით.

გ) შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2013 წლისათვის

საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ ეხება ქალთა მონაწილეობას შრომის ბაზარზე და მიზნად არ ისახავს გენდერულ თანასწორობას შრომით ურთიერთობებში. ის ასევე არ მიუთითებს საშუალო ადგილას გენდერული დისკრიმინაციის საკითხზე.⁵⁹

⁵⁹ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ეროვნული სამოქმედო გეგმების ანალიზი ქალთა დასაქმების ხელშეწყობის პერსპექტივიდან“, 2014.

რეკომენდაცია: შრომის ბაზრის ფორმირების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გენდერული მენსტრიმინგის შეფასების შემდეგ, შევიდეს ცვლილება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ქალთა განსხვავებული კატეგორიების მდგომარეობა ბაზარზე.

დ) ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისათვის

ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა სოფლის მეურნეობის სფეროში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით რამდენიმე ამოცანას მოიცავს. 13.1.4.2-13.1.4.5 ამოცანები მიზნად ისახავს ქალთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ წვდომას აგრობიზნესის პროექტებისათვის საჭირო რესურსებზე და ჩართულობას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებსა და სოფლის განვითარების ადგილობრივ სამუშაო ჯგუფებში.

ე) რეგიონული და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიები და პოლიტიკა

გენდერული თანასწორობის საკითხი და კონკრეტული პრობლემების გენდერული განზომილება რეგიონული განვითარების სტრატეგიებში თითქმის არ არის ნახსენები.⁶⁰ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ „რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო არანაირ კონტროლს არ ახორციელებს ადგილობრივ გეგმებში გენდერული საკითხების გასათვალისწინებლად“.⁶¹ აღსანიშნავია, რომ „ადგილობრივი განვითარების პროგრამები და ბიუჯეტები ხშირად „გენდერულად ბრმა“ არის და არ მოიცავს ქალთა და მამაკაცთა პოტენციურად განსხვავებულ საჭიროებებს“.⁶²

ადგილობრივ დონეზე გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა დაბალია როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს შორის. გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევაში ნახსენებია, რომ „სოფლებსა და მუნიციპალიტეტებში ქალები ნაკლებად მონაწილეობენ გადანყვეტილების მიღების პროცესში“, რაც, ნაწილობრივ, ტრადიციული გენდერული სტერეოტიპების შედეგია.⁶³ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებთან, რომლებმაც ხშირად ქართული ენა არ იციან, ეს საკითხი კიდევ უფრო რთულად დგას.

ადგილობრივ დონეზე პოლიტიკას სხვადასხვა სამინისტროს მიერ განხორციელებული სპეციალური პროგრამები განსაზღვრავს, როგორცაა, მაგალითად: სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო); მცირე მიწის მესაკუთრეთა მხარდაჭერის პროგრამა და „აწარმოე საქართველოში“ (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო); და შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა (სოფლის მეურნეობის სამინისტრო). თუმცა, ქალებსა და ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები ამ დოკუმენტებში გათვალისწინებული არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში შეიქმნა მრჩეველთა ჯგუფები გენდერული თანასწორობის საკითხებთან მიმართებით, ამ პირთა უფლებამოსილებისა და ცოდნის ნაკლებობა აბრკოლებს მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევას. მსგავსად, გენდერული მენსტრიმინგის განხორციელებისათვის, მუნიციპალიტეტთა ინსტიტუციური მექანიზმები აუცილებლად საჭიროებს სათანადო ცოდნას, შესაძლებლობასა და უფლებამოსილებას.

⁶⁰ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება“, 2016, გვ. 12.

⁶¹ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება“, 2016, გვ. 12.

⁶² გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება“, 2016, გვ. 12.

⁶³ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება“, 2016, გვ. 14-15, 17 (დაგეგმვის მეხვედრებში 10%-იანი მონაწილეობის შესახებ).

რეკომენდაცია: კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ და ადამიანის უფლებათა მომდევნო ეროვნული სამოქმედო გეგმა, შიდა პოლიტიკისა და საქმიანობის გენდერული შეფასების/მეინსტრუმენტის, მათ შორის, შესაძლო პრობლემათა გამოვლენის მიზნით, სამინისტროებს უნდა უწესებდეს მოთხოვნას შიდა გენდერული შესაძლებლობების შეფასებაზე. სამინისტროების პერსონალს უნდა მოეთხოვებოდეს გენდერული მეინსტრუმენტის ტრენინგის გავლა.

რეკომენდაცია: ეროვნული სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები ითვალისწინებდეს გენდერული ბიუჯეტის - როგორც გენდერული მეინსტრუმენტის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალების - დანერგვას ყველა სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში, რესურსებზე ქალების წვდომის გასაუმჯობესებლად.

რეკომენდაცია: გენდერული თანასწორობისა და სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმებს დაემატოს მიზანი - ქალი ფერმერების კვალიფიკაციის ამაღლება მათზე მორგებული ტრენინგების, ან საუნივერსიტეტო განათლების და კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებათა ხარისხის გაუმჯობესების თუ ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ასევე მიზნად დაისახოს ქალთა შესაძლებლობების გაზრდა ადვოკატირების უნარის განვითარების მხრივ, ადგილობრივი დაგეგმარებისა და ბიუჯეტირების პროცესზე გავლენის მოსახდენად.

რეკომენდაცია: ეროვნულ სამოქმედო გეგმებს დაემატოს ქალთა კოოპერატივების ხელშეწყობა, რაც მათში მონაწილეობის ზრდას და მათთვის შემოსავლიანი საქმიანობის შესაძლებლობათა მატებას ემსახურება. პოლიტიკის დოკუმენტებში შევიდეს ცვლილება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება უფასო იურიდიული დახმარება სოფლებში მიწის საკუთრებისა და რეგისტრაციის საკითხებზე; ამ კუთხით განსაკუთრებული აქცენტი სოფლად მცხოვრებ ქალებზე უნდა გაკეთდეს.

2. მიწის საკუთრება და კოოპერატივები

მიწის საკუთრების მხრივ, ქალები *de jure* ბარიერებს არ აწყდებიან. თუმცა, ტრადიციულად, ოჯახი სახლსა და მიწას ვაჟს გადასცემს, გოგონები კი ქორწინდებიან და მშობლების სახლს ტოვებენ. ეს ტრადიცია საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული და მას ქალთა და მამაკაცთა უმრავლესობა იზიარებს. ერთ-ერთი კვლევით დგინდება, რომ მამაკაცები საქართველოში მიწის 70%-ს ფლობენ, ქალები კი - 30%-ს.⁶⁴ ერთ-ერთ ანგარიშში ნათქვამია:

მიწასა და სხვა აგრარულ ხარჯებთან წვდომა თეორიულად მამაკაცებსა და ქალებს თანაბრად აქვთ, თუმცა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქალებს უფრო ნაკლები ალბათობით ეძლევათ იმ ქონების კანონიერად დაცვისა და მართვის საშუალება, რომელიც მათ სახელზეა რეგისტრირებული, და ეს განპირობებულია ტრადიციული როლებითა და ძალთა გადანაწილებით.⁶⁵

კვლევებში აღნიშნულია, რომ ქალები, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მცირე ზომის მიწის ნაკვეთებს ფლობენ.⁶⁶ გარდა ამისა, კვლევა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების შესახებ აჩვენებს, რომ ყველა მათგანი აღნიშნავს მიწის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.⁶⁷ ბუნებრივი რესურსების მართვაში სოფლად მცხოვრები ქალების მონაწილეობის კუთხით, ძირითადი ფაქტორებია სოციალური და კულტურული ნორმები და სტერეოტიპები, როგორცაა, ოჯახსა და

⁶⁴ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება“, 2016, გვ. 23.

⁶⁵ სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, „ქვეყნის გენდერული შეფასება: სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება საქართველოში“, 2013, გვ. 43.

⁶⁶ გაეროს განვითარების პროგრამა, „გენდერი და დასაქმება სამხრეთ კავკასიასა და დასავლეთ დსთ-ში“, 2015, გვ. 2.

⁶⁷ „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა საჭიროებების შეფასება“, 2014.

საზოგადოებაში ქალთა როლი ან მათი გარიყვის პრაქტიკა.⁶⁸ მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი ეხება „ქალების წვდომას მიწისა და საკუთრების სხვა ფორმების მფლობელობასა და კონტროლზე“.

რეკომენდაცია: საქართველოს კანონში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ შევიდეს ცვლილება, რომელიც ქალებს მისცემს მიწის კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების უფლებას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ორივე მეუღლე რეგისტრირებული ფორმალურ მესაკუთრედ ან თანამესაკუთრედ.

3. გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები სოფლის მეურნეობისა და განვითარების სფეროებში

ამ დრომდე სამინისტროებს არ აქვთ გენდერულად სენსიტიური სამოქმედო სტრატეგიები და ხშირად არ აგროვებენ გენდერულად სეგრეგირებულ მონაცემებს, რაც საფუძველს შექმნიდა ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული საჭიროებების, ასევე, მათზე პოლიტიკისა და პროგრამების გავლენის გასაანალიზებლად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის დასკვნა მიუთითებს გენდერულად სეგრეგირებულ მონაცემთა შეგროვებაზე. კერძოდ, მასში აღნიშნულია:

სტრატეგიის განხორციელების პროცესში ასევე შეგროვდება ინფორმაცია გენდერულ ჭრილში შემდგომი დეტალური ანალიზის ჩასატარებლად, რაც საჭირო იქნება ისეთი პოლიტიკის შემუშავებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა ჩართულობას სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესში. მომზადდება სპეციალური პროგრამებიც, რომელთა მეშვეობითაც განისაზღვრება გენდერული თანასწორობის, ასევე, უმცირესობების, ხანდაზმულების, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდობის, ნაკლებად განვითარებული რეგიონებისა და მონყვლადი ჯგუფების საჭიროებები.⁶⁹

2014 წლის დასკვნით რეკომენდაციებში, ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს, რომ „შემდეგ პერიოდულ ანგარიშში მიუთითოს გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკა“.⁷⁰

რეკომენდაცია: ეროვნულ სამოქმედო გეგმებში შევიდეს დამატებები, რათა კომპეტენტურ ორგანოებსა და სამინისტროებს დაევალოთ სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეების მონაცემებს სქესის, ასაკის, ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, მათ შორის სოფელში მცხოვრების ქალების რაოდენობას, რომელთაც ერთობლივ საკუთრების უფლება აქვთ, სეგრეგირებული ასაკის, ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.

4. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კერძოდ, მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, ფინანსურ სესხებზე ქალებისათვის უზრუნველყონ მამაკაცთა თანასწორი უფლება. მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი სახელმწიფოებს მოუწოდებს, „გაატარონ რეფორმები, რომლებიც ქალებს, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ეკონომიკურ რესურსებზე ... ფინანსურ მომსახურებაზე, მემკვიდრეობასა და ბუნებრივ რესურსებზე

⁶⁸ სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, „გენდერი და კანონმდებლობა - ქალთა უფლებები სოფლის მეურნეობაში“.

⁶⁹ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, გვ. 37.

⁷⁰ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, 33-ე მუხლი.

თანაბარი წვდომის უფლებას მისცემს“. ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ფარგლებში, მე-8 მიზანი სახელმწიფოებს მოუწოდებს „ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერებისაკენ, რაც გაათავართებს ხელმისაწვდომობას საბანკო თუ ფინანსურ მომსახურებასა და დაზღვევაზე.“

მიუხედავად იმისა, რომ ქალებისათვის სესხის აღებას არავითარი სამართლებრივი ბარიერი არ აბრკოლებს, პრაქტიკაში ამას ქალები ნაკლებად ახერხებენ, რადგან ბევრ მათგანს არ მიუწვდება ხელი მიწასა და ქონებაზე, რომელსაც ფინანსურ უზრუნველყოფად გამოიყენებენ.⁷¹ საქართველოში ქალები უფრო თანამესაკუთრეები არიან, ვიდრე მესაკუთრეები, და ქონება, როგორც წესი, მამაკაცების სახელზეა რეგისტრირებული.⁷² ქალები უფრო ხშირად მიკროსაფინანსო სესხებს იღებენ, რასაც ნაკლები ფინანსური უზრუნველყოფა საჭიროდება, თუმცა, ამგვარი ორგანიზაციები შედარებით უფრო ძვირ კრედიტებს გასცემენ.

სპეციალური შეღავათიანი პროგრამები, რომლებსაც ბანკები, მიკროსაფინანსო და საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ, იშვიათად არის მორგებული ყველაზე დარიბ ქალებსა და მამაკაცებზე ან ახალ ბიზნესზე, ასევე იშვიათად ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო სექტორის სპეციფიკას. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პროდუქტებზე წვდომა განსაკუთრებით შეზღუდულია ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალებისათვის, რაც ენობრივი და კულტურული ბარიერების შედეგია, იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისათვის კი ამ პრობლემას განაპირობებს ფინანსური უზრუნველყოფის ნაკლებობა.⁷³ როგორც გაეროს ქალთა ორგანიზაცია აღნიშნავს, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმრავლესობა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საინფორმაციო კამპანიებს არ მართავს. არცერთ ასეთ ორგანიზაციას არ აქვს სპეციალური შეთავაზება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირებისა და ამ ჯგუფების წარმომადგენელი ქალებისათვის“.⁷⁴

ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის 13.1.4.3. ამოცანა ითვალისწინებს „ქალთა აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობას აგრობიზნესის პროექტებში“, კერძოდ, „ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით“.

რეკომენდაცია: საბანკო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს სპეციალური პროგრამები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდის ქალთა წვდომას ფინანსურ რესურსებზე, იმ პირობებით, ამჟამად არსებულ დაბრკოლებებს რომ მიემართება.

ვ. ქალთა აუნაზღაურებელი სამუშაო და მომსახურებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა

1. ძირითადი მომსახურების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ქალებისათვის

⁷¹ ქალთა საინფორმაციო ცენტრი (WIC), „ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები და გამოწვევები“, 2014; WIC, „ქალთა მცირე და საშუალო სანარმოების დაფინანსების ხელმისაწვდომობა განვითარებად ქვეყნებში“, 2011.

⁷² გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სერვისებზე ხელმისაწვდომობა ქალებისათვის: არსებული ბარიერები და შესაძლებლობები“, 2013, გვ. 15.

⁷³ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სერვისებზე ხელმისაწვდომობის ბარიერები და შესაძლებლობები ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი, იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისათვის“, 2013.

⁷⁴ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სერვისებზე ხელმისაწვდომობა ქალებისათვის: არსებული ბარიერები და შესაძლებლობები“, გვ. 16. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არეგულირებს კანონი #3482-RS, 2006 წლის 18 ივნისი.

სოფლად მცხოვრები ქალების შეზღუდული წვდომა ძირითად სერვისებსა და ინფრასტრუქტურაზე კიდევ უფრო აფერხებს მათ შემოსავლიან საქმიანობას. გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ბოლო კვლევა აჩვენებს, რომ რეგიონების 70% არ არის უზრუნველყოფილი საკანალიზაციო სისტემით, 30% კი - ნაგავსაყრელით.⁷⁵ სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის მე-3 პრიორიტეტული სფერო - გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა - მოიცავს ამოცანებს სოფლებში წყლის რესურსებისა და ნარჩენების მართვის შესახებ, თუმცა, ამ საკითხების გენდერული განზომილება ნახსენები არ არის.

საქართველოში არასათანადო ხელმისაწვდომობა ძირითად სერვისებზე არაპროპორციულად ეხება იმ ქალებს, რომლებიც ბავშვთა მოვლასა და საოჯახო საქმიანობას გაცილებით მეტ დროს უთმობენ. დადგენილია, რომ ქალები ოჯახს, საშუალოდ, 13-ჯერ მეტ დროს ახარჯავენ, ვიდრე მამაკაცები.⁷⁶ გარდა ამისა, გენდერული სტერეოტიპები არ აბრკოლებს ქალების მონაწილეობას საარსებო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ეს დამატებითი ტვირთი მათ უზღუდავს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე დასწრებისა თუ ზოგადი პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობებს. კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება განსაკუთრებით რთულია იმ ქალებისთვის, რომლებიც ბავშვის გაჩენის მიზნით სამუშაოდან გათავისუფლდნენ.⁷⁷

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის ამოცანა, რომელიც გულისხმობს ძირითადი სასოფლო ინფრასტრუქტურისა და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ქალთა სპეციფიკურ საჭიროებებს არ ითვალისწინებს.

დასკვნით შენიშვნებში ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს:

უზრუნველყოს სოფლად მცხოვრები ქალების სათანადო წვდომა სოციალურ, ჯანდაცვის და სხვა ძირითად მომსახურებებზე, ასევე, ეკონომიკურ შესაძლებლობებზე და პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თანასწორ პირობებზე, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო სფეროში გადანაცვლებათა მიღების კუთხით.⁷⁸

ამ მხრივ, მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი მოიცავს „არაანაზღაურებად მოვლასა და საოჯახო საქმიანობას საჯარო მომსახურების, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფით; ასევე, ოჯახში პასუხისმგებლობათა გადანაწილების ხელშეწყობას“.

რეკომენდაცია: სტრატეგიული პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები, მათ შორის, სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიამ მოიცავს კონკრეტული მიზნები სოფლად მცხოვრები ქალებისათვის ძირითად მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რაც მთავარი ნაბიჯია ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისაკენ.

2. საბავშვო ბაღებისა და ბავშვის მოვლის ხელმისაწვდომობა

საქართველოში მზრუნველობის ვალდებულება ძირითადად ქალებს ეკისრებათ და საოჯახო საქმეებსაც მეტწილად ისინი ასრულებენ.⁷⁹ გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევა აჩვენებს, რომ

⁷⁵ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება“, 2016, გვ. 7 (რეგიონების მიხედვით განსხვავებული წვდომის შესახებ).

⁷⁶ USAID, 42-ე მუხლი, „გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში“, 2014, გვ. 60.

⁷⁷ USAID, 42-ე მუხლი, „გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში“, გვ. 64.

⁷⁸ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, 33-ე პუნქტი.

⁷⁹ გაეროს განვითარების პროგრამა, „გენდერი და დასაქმება სამხრეთ კავკასიასა და დასავლეთ დსთ-ში“, გაეროს განვითარების პროგრამა, 2015.

შესწავლილი რეგიონების 30.8%-ის მოსახლეობას არ ჰქონდა წვდომა საბავშვო ბაღებზე.⁸⁰ სოციალურ ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული წვდომა პოტენციურად ზღუდავს ქალთა შესაძლებლობასაც, ჩაერთონ შემოსავლიან საქმიანობაში და ფინანსურად უზრუნველყონ საკუთარი თავი და ოჯახი.

სოფლის განვითარების სტრატეგიის 2017-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა 70 ახალაშენებულ ან გარემონტებულ საბავშვო ბაღს ითვალისწინებს.

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი დასკვნით შენიშვნებში შემოთავაზებს გამოხატავს „ბავშვთა აღზრდის დაწესებულებების ნაკლებობის გამო“ და საქართველოს მოუწოდებს, „ხელი შეუწყოს ქალებისა და მამაკაცების პროფესიული და პირადი ცხოვრების შეთავსებას, მათ შორის, ბავშვთა აღზრდის დაწესებულებების რაოდენობის გაზრდითა და ოჯახურ პასუხისმგებლობებში მამაკაცთა თანასწორი მონაწილეობის წახალისებით“.⁸¹ ამავდროულად, მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი ითვალისწინებს, რომ „ყველა ბიჭსა და გოგონას ჰქონდეს წვდომა ადრეული ასაკის განვითარების, ზრუნვისა და წინასწარი დაწყებითი განათლების ხარისხიან პროგრამებზე, რომლებიც მათ საბაზისო განათლებისთვის მოამზადებს“.

დასკვნით შენიშვნებში ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს, „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის გათვალისწინებული თავშესაფრებისა თუ სხვა მომსახურების გარდა, უზრუნველყოს ბავშვების ხელმისაწვდომობა სოფლებში“.⁸²

რეკომენდაცია: საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავდეს სოფლებში საბავშვო ბაღების მშენებლობასა და გარემონტებას, რაც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებდეს მკაფიოდ განსაზღვრულ ვალდებულებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღების საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფაზე.

⁸⁰ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება“, 2016, გვ. 7.

⁸¹ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, პუნქტები 28 და 29 (გ).

⁸² ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, 33-ე პუნქტი.

VI. გენდერული თანასწორობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მე-9 მუხლი ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურების თანაბარ ხელმისაწვდომობას დისკრიმინაციის გარეშე. ამასთან, კანონის მიხედვით, დისკრიმინაციად არ განიხილება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის, ოჯახის დაგეგმვისა და ქალთა რეპროდუქციული უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული განსაკუთრებული ღონისძიებები, აგრეთვე ორსული ქალისა და დედობის დაცვაზე მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა და გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით გატარებული სხვა ზომები.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამებს ახორციელებს ჯანდაცვის სამინისტრო, და მის ქვეშ არსებული სოციალური მომსახურების სააგენტო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

ეს თავი მოიცავს ჯანდაცვის სფეროში არსებული სამართალდებრივი ნორმებისა და პოლიტიკის საკითხებს, რომელიც ეხება ქალებსა და გოგონებს, როგორცაა რეპროდუქციული ჯანმრთელობა, მათ შორის თანამედროვე კონტრაცეფციისა და უსაფრთხო აბორტზე ხელმისაწვდომობა, დედათა ჯანმრთელობა და სუროგატი დედობა, აგრეთვე მონყვლადი ჯგუფების საჭიროებები. ძირითადი გამოწვევები უკავშირდება ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამების, მათ შორის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული და გენდერულად სენსიტიური მიდგომების არარსებობას.

ა. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობა

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი ითვალისწინებს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის მომსახურების უნივერსალურ ხელმისაწვდომობას, მათ შორის ოჯახის დაგეგმვას, ინფორმაციასა და განათლებას, ასევე რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინტეგრაციას ეროვნულ სტრატეგიებსა და პროგრამებში.⁸³ პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა უზრუნველყოფს ქალთა უფლებების დაცვას, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობას, აღიარებს ქალთა უფლებას დამოუკიდებლად და პასუხისმგებლიანად გადაწყვიტოს მათი სქესობრივი საკითხები, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, იძულების, დისკრიმინაციისა და ძალადობის გარეშე.⁸⁴ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი ავალდებულებს სახელმწიფოებს, მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ჯანდაცვის სფეროში დისკრიმინაციის გარეშე ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის: ოჯახის დაგეგმვა, ორსულობის, მშობიარობისა და პოსტნატალური პერიოდში, აგრეთვე ორსულობისა და ლაქტაციის დროს ადეკვატური კვების და მომსახურების უზრუნველყოფა.⁸⁵

⁸³ მიზანი 3.7, მდგრადი განვითარების მიზნები.

⁸⁴ პეკინის სამოქმედო პლატფორმა, პუნქტ. 89-107.

⁸⁵ მუხლი 12, ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის შესაბამისად, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლება წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის უფლების განუყოფელ ნაწილს. საქართველოს აღნიშნული პაქტის შესაბამისად აქვს სამართლებრივი ვალდებულებები, რომ უზრუნველყოს:

- დისკრიმინაციის გარეშე სამედიცინო მომსახურების ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა;
- ჯანდაცვის ობიექტების, მომსახურების, საქონლისა და პროგრამების ფუნქციონირების ადეკვატური რაოდენობა, მათ შორის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ესენციური მედიკამენტების მოდელურ ნუსხაში განსაზღვრული სავალდებულო მედიკამენტების ოდენობა (მაგ. კონტრაცეფცია და საგანგებო კონტრაცეფცია);
- ჯანდაცვის ობიექტები და მომსახურება ინდივიდუალური პაციენტების მრავალფეროვანი კულტურის, მათ შორის უმცირესობათა, სქესის, და ყველა ასაკობრივი ჯგუფების სხვადასხვა საჭიროებების გათვალისწინებით, აგრეთვე სამედიცინო ეთიკის, კონფიდენციალურობისა და ინფორმირებული თანხმობის უფლების პატივისცემით;
- ხარისხიანი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვა, რომელიც მეცნიერული და სამედიცინო თვალსაზრისით ხარისხიანია, ითვალისწინებს კვალიფიციურ სამედიცინო პერსონალის მომსახურებას; და,
- ვარგისიანი მედიკამენტები და აღჭურვილობა.⁸⁶

საქართველოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საზოგადოებაში ღრმად გამჭვდარი გენდერული სტერეოტიპები ქალთა განსაზღვრულ სოციალურ როლზე, როგორც დიასახლისებსა და დედებზე.⁸⁷ ქალისათვის ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა და ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა საკუთარ სხეულთან მიმართებაში შეზღუდულია რეპროდუქციული ფუნქციის შესახებ ოჯახსა და საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მოსაზრებებით.⁸⁸ გაეროს სახელმძღვანელო ორგანოებმა მოუწოდეს საქართველოს, მიიღოს შესაბამისი ზომები ქალთა და მამაკაცთა სოციალურ როლსა და პასუხისმგებლობებზე არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულების გადალახვის მიზნით.⁸⁹

საქართველოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ არ არსებობს ცალკე სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამა. ამჟამად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურება ინტეგრირებულია ოჯახის დაგეგმვის ცენტრების მეშვეობით ანტენატალური და მშობიარობის შემდგომი მომსახურების უზრუნველსაყოფად.⁹⁰ ოჯახის დაგეგმვის ცენტრები მიზნად ისახავს კონტრაცეფციის, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების და აივ/შიდსის შესახებ კონსულტირებას.⁹¹ აღსანიშნავია, რომ სოფლებში ასეთი სერვისების რაოდენობა არასაკმარისია, რადგან ოჯახის დაგეგმვის ცენტრები სოფლის ამბულატორიულ მომსახურებაში გათვალისწინებული არ არის.⁹²

⁸⁶ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, 22-ე განმარტებითი ბარათი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების შესახებ - 2016, გვ. 5-7.

⁸⁷ გაეროს განვითარების პროგრამა, *საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში*, 2013, გვ. 19&34.

⁸⁸ ე. ადდგომელაშვილი, *ცრუ რწმენებიდან თანასწორობამდე*, 2016, გვ. 236.

⁸⁹ გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობაზე, საქართველოს მისია, 2016. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი.

⁹⁰ სახალხო დამცველის ანგარიში, *ადამიანის უფლებები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და კეთილდღეობის კონტექსტში: ქვეყნის შეფასება (შემდგომში სახალხო დამცველი, რეპროდუქციული ჯანმრთელობა)*, 2017, გვ. 43.

⁹¹ იქვე.

⁹² სახალხო დამცველი, *რეპროდუქციული ჯანმრთელობა*, გვ. 44.

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პოლიტიკის განვითარების მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს 2017-2030 წლის დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგიის მიღება.⁹³ აღნიშნული სტრატეგიის 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის, აგრეთვე რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის კუთხით კონკრეტული ღონისძიებების გატარებას შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- უნივერსალური წვდომა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ჩასახვამდე, ანტენატალურ, სამეანო, ნეონატალურ და მშობიარობის შემდგომ მომსახურებაზე;
- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის ინფორმირებულობა და ცოდნა ჯანსაღი ქცევის, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების სტანდარტებისა და პაციენტთა უფლებების შესახებ.
- ოჯახის დაგეგმვის სერვისების ადვილი ხელმისაწვდომობა ყველა შესაბამისი საჭიროების მქონე პირისათვის;
- ოჯახის დაგეგმვის სერვისების ხარისხი დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.⁹⁴

სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის ეფექტიანად განხორციელებასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე გამოწვევა:

სტრატეგია ითვალისწინებს ჯანდაცვის სამინისტროს უფლებამოსილებას „სტრატეგიის მონიტორინგზე, შეფასებასა და აღსრულებაზე“, ასევე „სხვა პარტნიორებთან ადვოკატირებით, კოორდინირებით, თანამშრომლობითა და მოლაპარაკებით“ დაგეგმილი მიზნების შესრულებას.⁹⁵ თუმცა, სტრატეგია არ განსაზღვრავს ჯანდაცვის რომელი დეპარტამენტი ან სააგენტო იქნება პასუხისმგებელი ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ საქმიანობას. სტრატეგიის შესრულება დამოკიდებულია უწყებათაშორის თანამშრომლობაზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან (მაგ. მედია, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის სფეროში მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები), რისთვისაც საჭიროა კონკრეტული თანამშრომლობის მექანიზმის არსებობა. ფინანსთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ადეკვატური დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

რეკომენდაცია: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ბრძანების საფუძველზე განსაზღვროს 2017-2030 წლების დედათა და ახალშობილთა სტრატეგიისა და მისი სამწლიანი სამოქმედო გეგმის კოორდინაციის, შეფასებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტი ან კონკრეტული პირი.

რეკომენდაცია: დედათა და ახალშობილთა სტრატეგიით გათვალისწინებული „განხორციელებისა და მართვის მექანიზმების“ შესრულების მიზნით შეიქმნას უწყებათაშორისი ხასიათის მექანიზმი.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვა ძირითადად ფინანსდება დონორების მიერ.⁹⁶ სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს ხარჯების კონკრეტულ ფინანსურ გათვლებს დონორების ფინანსური წვლილის გარდა. ამასთან, შესაბამისი ფინანსური ხარჯები არ არ იქნა გათვალისწინებული 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.⁹⁷

⁹³ დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგია 2017-2030 - მთავრობის 2017 წლის დადგენილება #459 (შემდგომში დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგია).

⁹⁴ დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგია, გვ. 1.

⁹⁵ დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგია, გვ. 40-1.

⁹⁶ სახალხო დამცველი, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გვ. 44.

⁹⁷ ინტერვიუ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის სამართლებრივ მრჩეველთან - ქ-ნ ეკატერინე ფესტვენიძესთან, 28 დეკემბერი 2017.

რეკომენდაცია: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გაიანგარიშოს დედათა და ახალშობილთა ჯანდაცვის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხარჯები და უზრუნველყოს ოჯახის დაგეგმვის და რეპროდუქციული მომსახურების ხარჯების ეტაპობრივი დაგეგმარება სამინისტროს ბიუჯეტში. მთავრობამ და ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყონ ჯანდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის გაზრდა.

სათანადო ოჯახის დაგეგმვა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროგრამები საჭიროებს კლინიკური გაიდლაინების და პროტოკოლების შემუშავებას, ჯანდაცვის პროვაიდერების ადეკვატურ გადამზადებას და ხარისხის კონტროლის მექანიზმის არსებობას. სტრატეგია ითვალისწინებს სამინისტროს მიერ „რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის სერვისებისათვის გაიდლაინებისა და პროტოკოლების შემუშავებას/მიღებას.“⁹⁸ ამასთან, არ არსებობს ხარისხის შემოწმების შიდა ან გარე მექანიზმი.⁹⁹ როგორც წესი, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო პასუხისმგებელია სამედიცინო მომსახურების ხარისხის (მათ შორის სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში გაწეული მომსახურებების) კონტროლზე.¹⁰⁰

რეკომენდაცია: სტრატეგიის მეორე მიზნის მისაღწევად შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ უზრუნველყოს ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ტრენინგის მოდულის, პროტოკოლებისა და სტანდარტული საოპერაციო პროცედურების მიღება სამედიცინო პერსონალისთვის. სამინისტრომ ეტაპობრივად გადაამზადოს სამედიცინო პერსონალი. ტრენინგის მოდულები, პროტოკოლები და სტანდარტული საოპერაციო პროცედურები უნდა იყოს გენდერულად სენსიტიური და ითვალისწინებდეს პაციენტის პირადი ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალურობის უფლებას.

რეკომენდაცია: შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ განსაზღვროს ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმი, მათ შორის, კერძო ჯანდაცვის დაწესებულებებთან მიმართებაში.

1. თანამედროვე კონტრაცეფციის შესახებ ინფორმაციის და მომსახურების ხელმისაწვდომობა

საქართველოს ადამიანის უფლებათა ვალდებულებების თანახმად, კონტრაცეფციის შესახებ ინფორმაცია და კარგი ხარისხის მომსახურება უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ხელმისაწვდომი და მისაღები ქალებისთვის.¹⁰¹ ჯანმრთელობის უფლება მოიცავს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ესენციური მედიკამენტების ნუსხის შესაბამის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობას, ჰორმონალური და საგანგებო კონტრაცეფციის ჩათვლით.¹⁰²

საქართველოში კონტრაცეპტივები გაიცემა რეცეპტის საფუძველზე.¹⁰³ აღნიშული მომსახურება არ არის სუბსიდირებული სახელმწიფო ჯანმრთელობის პროგრამით, მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. ბოლო წლებში საერთაშორისო დონორები, როგორცაა გაეროს

⁹⁸ დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგია, გვ. 34;

⁹⁹ დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგია, გვ. 19.

¹⁰⁰ ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება #01-64/6.

¹⁰¹ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, 22-ე განმარტებითი ბარათი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების შესახებ - 2016, გვ. 4, 11 & 14.

¹⁰² იქვე.

¹⁰³ სახალხო დამცველი, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გვ. 48.

მოსახლეობის ფონდი და აშშ-ს განვითარების სააგენტო, იყვნენ უფასო თანამედროვე კონტრაცეფციის უზრუნველყოფის ერთადერთი წყარო.¹⁰⁴

მიუხედავად იმისა, რომ 1999-2010 წლებში კონტრაცეფციის გამოყენება გაიზარდა 41% -დან 54% -მდე, აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში კვლავაც თანამედროვე კონტრაცეფციის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დონეა.¹⁰⁵ 2010 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები ქალების მხოლოდ 35% და ქალთა სრული რაოდენობის მხოლოდ 20.9% იყენებს კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებს, როგორცაა კონდომები ან სპირალი.¹⁰⁶ კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების გამოყენების მაჩვენებელი ქალაქებში 42%, ხოლო სოფლად - 28%-ია¹⁰⁷

კონტრაცეფციის გამოყენების ძირითადი დაბრკოლებებია:

- კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, ასევე უარყოფითი გვერდითი მოვლენების შესახებ გავრცელებული მითები, მათ შორის რელიგიური მრწამსით გამყარებული;¹⁰⁸
- კონტრაცეფციის ფასი და ხელმისაწვდომობა მონყვლადი ჯგუფებისათვის, როგორცაა მოზარდები, დაბალი შემოსავლის მქონე და სოფლად მცხოვრები ქალები;¹⁰⁹
- მონყვლადი ჯგუფებისთვის ესენციური მედიკამენტების ნუსხაში კონტრაცეფციის საშუალებების გაუთვალისწინებლობა;
- დაბალი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა მთიან რეგიონებში და სოფლად მცხოვრებ ქალთათვის, ინფორმაციის ნაკლებობასთან ერთად. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა ეთნიკური უმცირესობებისათვის, რომლებიც განიცდიან დამატებით კულტურულ და ენობრივ ბარიერებს.¹¹⁰

როგორც ზემოთ აღინიშნა, დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგიით და მისი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები არ არის ასახული ბიუჯეტში.¹¹¹ კერძოდ, რეპროდუქციული ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის კუთხით:

- ოჯახის დაგეგმვის კონსულტაცია, კონტრაცეფციის საშუალებების დანიშნულება და შემოწმება არ არის გათვალისწინებული საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში;¹¹²
- ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდების უფასო მიწოდება არ არის გათვალისწინებული მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ბენეფიციარებისთვის და სხვა მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის, როგორცაა 21 წლამდე ასაკის ქალები.¹¹³

¹⁰⁴ სახალხო დამცველი, *რეპროდუქციული ჯანმრთელობა*, გვ. 52.

¹⁰⁵ კონტრაცეფციის მოხმარება მსოფლიოში 2011, გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი, გვ.1 - ხელმისაწვდომია http://www.un.org/esa/population/publications/contraceptive2011/wallchart_front.pdf

¹⁰⁶ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, ჯანდაცვის სამინისტრო და საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ოფისი, 2010 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა, 2012, გვ. 156 (შემდგომში *2010 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა*).

¹⁰⁷ იქვე.

¹⁰⁸ *2010 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა*, გვ. 157.

¹⁰⁹ CEDAW/C/GEO/CO/4-5, პუნქტი. 31.

¹¹⁰ სახალხო დამცველი, *რეპროდუქციული ჯანმრთელობა*, გვ. 48-50.

¹¹¹ *დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმა*.

¹¹² *დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმა*.

¹¹³ *დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმა*.

ამის გათვალისწინებით მთავრობამ უნდა გამოეყოს შესაბამისი დაფინანსება და მოახდინოს იმ მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება, ვისთვისაც მომსახურება და კონტრაქცეფცია უფასო იქნება.

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა საქართველოს მოუწოდა:

„კომიტეტის მიერ მიღებული 24-ე ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად გააუმჯობესოს ქალთა ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის მაღალი ხარისხის მომსახურებაზე ა) ოჯახის დაგეგმვისა და ფინანსურად ხელმისაწვდომი კონტრაქცეფციის მეთოდებზე, მათ შორის კონტრაქცეფციის თანამედროვე ფორმებზე, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ქალებისთვის.“¹¹⁴

რეკომენდაცია: მთავრობამ განსაზღვროს პირველადი ჯანდაცვის პროგრამებში ოჯახის დაგეგმვის მომსახურების ინტეგრაცია, რაც ამასთანავე მოიცავს მოწყვლადი ქალების, მოზარდების და ახალგაზრდების, აგრეთვე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ქალებისთვის ოჯახის დაგეგმვის კონსულტაციის და კონტრაქცეფციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. მარგინალიზებული ქალებისთვის რეალურად ხელმისაწვდომი გახდეს თანამედროვე კონტრაქცეფციის გრძელვადიანი და მუდმივი მეთოდების ოპტიმალური რაოდენობა საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. რეპროდუქციული ჯანმრთელობის ამ საბაზისო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, მთავრობამ და ფინანსთა სამინისტრომ გამოეყოს ადეკვატური ფინანსები.

რეკომენდაცია: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებმა შეიმუშაონ და განახორციელონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული კამპანიები და საგანმანათლებლო პროგრამები ოჯახის დაგეგმვის და თანამედროვე კონტრაქცეფციის მნიშვნელობაზე, დედათა და ახალშობილთა სტრატეგიის შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სოფლად მცხოვრები ქალების და ეთნიკური უმცირესობის ქალების ინფორმირებას, ენობრივი ბარიერების და კულტურული მგრძობელობის გათვალისწინებით.

რეკომენდაცია: სოციალურად დაუცველი ქალებისთვის ამ მომსახურების უფასოდ უზრუნველყოფის მიზნით, ჯანდაცვის სამინისტრომ ესენციური მედიკამენტების ნუსხაში გაითვალისწინოს თანამედროვე კონტრაქცეფციის მეთოდები, მათ შორის, საგანგებო კონტრაქცეფცია.

2. ორსულობის უსაფრთხო შეწყვეტის სერვისის ხელმისაწვდომობა

რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა, ორსულობის უსაფრთხო შეწყვეტის (აბორტის) ჩათვლით, წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებას. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი მიიჩნევს, რომ აბორტის ამკრძალავი ნორმები არის დისკრიმინაციული.¹¹⁵ გარდა ამისა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ აღიარა ორსულობის შეწყვეტისას სავალდებულო ლოდილის პერიოდის უარყოფითი ზეგავლენა, რაც საფრთხეს უქმნის უსაფრთხო და ლეგალური აბორტის ხელმისაწვდომობას.¹¹⁶ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ასევე განმარტავს, რომ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტამდე ქალისათვის განეული კონსულტაცია უნდა იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, არ შეიცავდეს იძულების ან ძალდატანების ფაქტორს.¹¹⁷ ორსულობის ხელოვნურად

¹¹⁴ CEDAW/C/GEO/CO/4-5, პუნქტი. 31.

¹¹⁵ გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია 24, 1999, პუნქტი 31. ზოგადი რეკომენდაცია 35, 2017, პუნქტი 18

¹¹⁶ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, უსაფრთხო აბორტი: სამედიცინო პერსონალის გაიდლაინები, 2012, გვ. 96-7.

¹¹⁷ იქვე გვ. 36, 68 & 98.

შენწყვეტის შემდგომ ქალმა უნდა ისარგებლოს კონფიდენციალური და ადეკვატური პოსტ-აბორტული მომსახურებით.¹¹⁸

საქართველოში ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის 2014 წლის მონაცემების თანახმად, ყოველ 1000 ქალზე აბორტის მაჩვენებელი 56-ს უტოლდება (15-44 წლამდე ასაკობრივი ზღვარი), რაც ორჯერ აღემატება (26 აბორტი 1000 ქალზე) სამხრეთ ევროპის ქვეყნების მაჩვენებელს.¹¹⁹ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მაჩვენებელი უფრო მაღალია მარგინალიზებულ ქალებში, როგორცაა სოფლად მცხოვრები და ნაკლებად განათლებული ქალები, ასევე აზერბაიჯანული წარმოშობის ქალებში.¹²⁰ სავარაუდოდ, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მაჩვენებელი სრულყოფილი არ არის დაფარული აბორტების გამო.

ჯანმრთელობის შესახებ კანონით ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია, თუკი ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება 12 კვირას.¹²¹ ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა 12-დან 22-ე კვირამდე დასაშვებია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების საუძველზე, მათ შორის, თუ ორსულობა არის გაუპატიურების შედეგი ან პაციენტი 15 წელს მიუღწეველი გოგონა ან 49 წელს გადაცილებული ქალია.¹²²

კანონის თანახმად, გაუპატიურება დგინდება სასამართლოს მიერ. კერძოდ, ქალი უნდა სარგებლობდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული დაზარალებულის სტატუსით და სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნას გამამტყუნებელი განაჩენი. სასამართლოში საქმის წარმოება შესაძლოა თვეების განმავლობაში გაგრძელდეს, რამაც განაპირობოს აღნიშნული პირობის არაპრაქტიკულობა ორსულობის უსაფრთხო და დროული შეწყვეტის კუთხით. გაუპატიურების შემთხვევაში პირის პასუხისგებაში მიცემის მთავარი საფუძველია დაზარალებულის ჩვენება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ორსულობის უსაფრთხო შეწყვეტა არ უნდა საჭიროებდეს მსვერპლის მონაწილეობას ისეთ სამართალწარმოებაში, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს მის სტიგმატიზაციას. ეს გამონწვევა ასევე დაკავშირებულია გაუპატიურების შემთხვევაში სისხლის სამართალწარმოების პროცესში სამედიცინო ექსპერტიზის გამოყენების არასათანადო სტანდარტებთან.

ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა 22-ე კვირის შემდეგ დასაშვებია სამედიცინო პირობების გამო კომისიური გადაწყვეტილების საფუძველზე¹²³. აკრძალულია 22-ე კვირის შემდეგ ორსულობის შეწყვეტა არასამედიცინო მიზეზების გამო.¹²⁴

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის №01-74/6 ბრძანება განსაზღვრავს ორსულობის პირველი 12 კვირის განმავლობაში აბორტის წინა კონსულტაციის/წინასწარი გასაუბრების ხუთდღიან წესს.¹²⁵ ბრძანება ითვალისწინებს 5-დღიანი ლოდინის წესიდან გამონაკლისს, თუ ამ პერიოდში ორსულობის ხანგრძლივობა 12 კვირას გადააჭარბებს.¹²⁶ №01-74/6 ბრძანების მიხედვით, აბორტის წინა კონსულტაციის მიზანია დააბალანსოს ორი ინტერესი: ნაყოფის სიცოცხლის უფლების დაცვა და ქალის არჩევანის უფლების უზრუნველყოფა.

¹¹⁸ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, 22-ე განმარტებითი ბარათი, გვ. 7 & 11.

¹¹⁹ გ. სედგი, ჯ. ბიარაკი, ს. სინგჰი და სხვა., *აბორტის ინციდენტები 1990-დან 2014 წლის მდგომარეობით: გლობალური, რეგიონალური და სუბ-რეგიონალური მიდგომები*, 2016, გვ. 259-260 - ხელმისაწვდომია [http://dx.doi.org/10.1016/S0140-6736\(16\)30380-4](http://dx.doi.org/10.1016/S0140-6736(16)30380-4).

¹²⁰ *2010 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა*, გვ. 9.

¹²¹ მუხლი 139.2, კანონი ჯანმრთელობის შესახებ.

¹²² მუხლი 140, კანონი ჯანმრთელობის შესახებ; ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება #01-746, 2014, დანართი 1.

¹²³ მუხლი 1, დანართი 4, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება #01-746, 2014.

¹²⁴ დანართი 6, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება #01-746, 2014.

¹²⁵ მუხლი 139.2, კანონი ჯანმრთელობის შესახებ.

¹²⁶ მუხლი 3, დანართი 1, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება #01-746, 2014.

არსებობს რამოდენიმე გამომწვევა კანონმდებლობაში არსებულ ფორმულირებებსა და მისი პრაქტიკაში განხორციელებასთან:

- 5 დღიანი ლოდინის პერიოდი მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს მარგინალიზებულ ჯგუფებზე. ის განსაკუთრებულად მძიმეა სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, რომლებსაც უწევთ გადაადგილებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გამოყოფა და დროის მონახვა;¹²⁷
- ექიმების მხრიდან პაციენტის მიერ ორსულობის შეწყვეტის გადათქმის ხელშეწყობის პრაქტიკა არღვევს კონსულტაციის მიუკერძოებლობის სტანდარტს;¹²⁸
- კლინიკები დისკრიმინაციულ შეზღუდვებს აწესებენ ქალთა გარკვეული ჯგუფების მიმართ მათი ასაკის ან/და სამედიცინო მდგომარეობის გამო (სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადების შემთხვევაში), მათ შორის სექს-მუშაკის მიმართ;¹²⁹
- პირველი 12 კვირის შემდგომი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის პირობები არღვევს ქალის ავტონომიის უფლებას;
- გაუპატიურების შემთხვევებში სასამართლო წესით პირველი 12 კვირის შემდგომი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა ხელს უშლის მსვერპლის მიერ აბორტის დროულ ხელმისაწვდომობას და ზრდის პოტენციური სოციალური სტიგმატიზაციის შესაძლებლობას.¹³⁰

რეკომენდაცია: ჯანმრთელობის შესახებ კანონში და ჯანდაცვის მინისტრის #01-74N ბრძანებაში შევიდეს ცვლილება 5 დღიანი ლოდინის პერიოდის გაუქმების მიზნით, რაც უზრუნველყოფს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის დარღვევის თავიდან აცილებას.

რეკომენდაცია: გადაიხედოს ორსულობის უსაფრთხო შეწყვეტის და აბორტის პროცედურის შესახებ პროტოკოლები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მტკიცებულებებზე დაფუძნებული კონსულტირების სტანდარტების დამკვიდრების მიზნით.

რეკომენდაცია: გაუქმდეს ჯანმრთელობის შესახებ კანონში არსებული მოთხოვნა 12 კვირის ვადის გასვლის შემდეგ გაუპატიურების ფაქტის სასამართლოს მიერ დადგენის წესი.

3. დედათა სიკვდილიანობა

დედათა და ახალშობილთა სტრატეგია მიზნად ისახავს დედათა სიკვდილიანობის შემცირებას 100,000 ცოცხლადშობილზე 32-დან (2015) 25-მდე 2025 წლისთვის და 12-მდე 2030 წლისთვის.¹³¹

საქართველოში დედათა სიკვდილიანობის ძირითად მიზეზებს წარმოადგენს: ა) ანტენატალური და პერინატალური მომსახურების დაბალი ხარისხი; ბ) არასრულყოფილი სატრანსპორტო მომსახურება; გ) სუსტი მარეგულირებელი და მონიტორინგის სისტემა; დ) დედათა ჯანდაცვის რგოლში რეფერალური მექანიზმების დეფიციტი; ე) სამშობიარო სახლებში და საკონსულტაციო ცენტრებში, განსაკუთრებით რეგიონებში, პროფესიონალი პერსონალის ნაკლებობა.¹³²

¹²⁷ ჰერა XXI-ს, ალტერნატიული ანგარიში გაეროს უნივერსალური პერიოდული მექანიზმის წინაშე წარსადგენად, 23-ე სამუშაო სესია, 2015, გვ. 5.

¹²⁸ ჰერა XXI & სოციალურ მეცნიერებათა და ანალიზის ინსტიტუტი, აბორტის სერვისების ხელმისაწვდომობის და მზაობის შეფასება, 2015, გვ. 32.

¹²⁹ იქვე გვ. 55-56.

¹³⁰ სახალხო დამცველი, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გვ. 66.

¹³¹ სამიზნე 1.5., დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგია.

¹³² სახალხო დამცველი, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გვ. 74.

მიუხედავად იმისა, რომ შემცირებულია დედათა სიკვდილიანობა, ის კვლავ აღემატება ევროკავშირისა და დსთ-ს ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მაჩვენებელს.¹³³ გაეროს დედათა სიკვდილიანობის შეფასების უწყებათაშორისი ჯგუფის მიხედვით, ამ მხრივ სიკვდილიანობის აღრიცხვის სრულყოფილი სისტემის არარსებობის გამო, საქართველო „ბ“ კატეგორიის ქვეყნებს შორისაა.¹³⁴ ეროვნული სტატისტიკის აღრიცხვის სტანდარტის შეუსაბამობამ საერთაშორისო მოთხოვნებთან განაპირობა ჯანდაცვის მინისტრის 2013 წლის #01-30/6 ბრძანების გამოცემა „დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის/ მკვდრადშობადობის შემთხვევათა სავალდებულო შეტყობინების ფორმისა და წესის შესახებ“.¹³⁵ ჯანდაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრი ორსულობის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომი აბორტის, მათ შორის დედათა სიკვდილს, მშობიარობებს და ადრეული ახალშობილთა სიკვდილიანობას აღრიცხავენ დედისა და ახალშობილთა ჯანდაცვის მეთვალყურეობის ახალი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. თუმცა, მონაცემთა სრულყოფილად შეგროვების მიზნით საჭიროა გამართული და მომხარებელზე ორიენტირებული ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემის შექმნა.¹³⁶

რეკომენდაცია: ჯანდაცვის სამინისტრომ გააუმჯობესოს დედათა ჯანდაცვის მომსახურების ფართო სპექტრის ხელმისაწვდომობა საყოველთაო ჯანდაცვის და სოფლად მცხოვრები ქალებისთვის განკუთვნილი ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში. კერძოდ, სამინისტრომ უზრუნველყოს, რომ პერინატალური ჯანდაცვის ცენტრები ადეკვატურად იყოს აღჭურვილი და დაკომპლექტებული მაღალი დონის მომსახურეობის გამწევი სამედიცინო პერსონალით. აღნიშნული საჭიროება განსაკუთრებით მწვავეა სოფლად მცხოვრები ქალების შემთხვევაში, გადაუდებელი დახმარებისას და პაციენტის ცენტრალურ დონეზე რეფერირების/გადამისამართების უზრუნველყოფისას.

4. მოზარდთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და განათლების ხელმისაწვდომობა

გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტმა საქართველოს დასკვნით რეკომენდაციებში მოუწოდა „რომ რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ სტრატეგიაში გათვალისწინებულ იქნას მოზარდთა ჯანმრთელობის საკითხი და ხელისუფლება გააქტიურდეს მსგავსი სტრატეგიის მიღების კუთხით“.¹³⁷ გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტმა საქართველოს მოსთხოვა „მოზარდი გოგონების და ახალგაზრდა ქალებისთვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ცრუ რწმენების აღმოფხვრის, სამედიცინო პერსონალის მომზადების და სამედიცინო მომსახურეობის ობიექტების და მათი აღჭურვილობის რაოდენობის გაზრდის გზით“.¹³⁸ ამასთანავე, საქართველოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებები ითვალისწინებს ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისი სქესობრივი განათლების უზრუნველყოფას სკოლის სისტემის მეშვეობით.¹³⁹

პაციენტის უფლებების შესახებ კანონის თანახმად, მოზარდ პაციენტებს (14-18 წლის) უფლება აქვთ, ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე მიიღონ ინფორმაცია/გაიარონ კონსულტაცია არა-

¹³³ სახალხო დამცველის ანგარიში, *გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები*, 2015, გვ. 19.

¹³⁴ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, იუნესკო, გაეროს მოსახლეობის ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა, მსოფლიო ბანკი, დედათა სიკვდილიანობის ტენდენციები, 1990-2015, ხელმისაწვდომია: <http://www.who.int/reproductivehealth/publications/monitoring/maternal-mortality-2015/en/>.

¹³⁵ სახალხო დამცველი, *გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები*, 2015, გვ. 18.

¹³⁶ *დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგია*, გვ. 21.

¹³⁷ CRC/C/GEO/CO/3, პუნქტი 33.

¹³⁸ CEDAW/C/GEO/CO/4-5, პუნქტი 31.

¹³⁹ გაეროს ბავშვთა დაცვის კომიტეტი, მე-15 ზოგადი განმარტება, 2013. გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 24-ე ზოგადი რეკომენდაცია, 1999, პუნქტი 18.

სრულწლოვანთა კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ მშობლის შეტყობინების გარეშე.¹⁴⁰ საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა აღიარებს ახალგაზრდების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ამ უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების მნიშვნელობას.¹⁴¹ თუმცა, სქესობრივი განათლება არ წარმოადგენს 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილს.¹⁴² სასკოლო ეტაპზე რამოდენიმე სასწავლო დისციპლინა შეიცავს რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ზოგად მითითებებს, როგორცაა სამოქალაქო განათლება და ბიოლოგიის კლასები, მაგრამ პედაგოგები არსებული მონაცემების თანახმად. თავს არიდებენ აღნიშნული საკითხის გავლას.¹⁴³ დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ახალი სტრატეგია ითვალისწინებს სკოლის ჯანსაღი ცხოვრების წესის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, პილოტირებასა და განხორციელებას.¹⁴⁴ მიუხედავად ამისა, საქართველოს არ აქვს მოზარდის საჭიროებებზე ორიენტირებული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურება, მათ შორის ოჯახის დაგეგმვის საკითხთან მიმართებაში.¹⁴⁵

რეკომენდაცია: ჯანდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს მოზარდის საჭიროებებზე ორიენტირებული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების ინტეგრირება ჯანდაცვის სისტემაში, სასურველია პირველადი ჯანდაცვის დონეზე.

რეკომენდაცია: განათლების და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს ასაკის შესაბამისი ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლების განვითარება და ეფექტიანი განხორციელება ეროვნული სასწავლო გეგმის 2018-2024 შესწორებით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს იმ პედაგოგთა შესაბამისი გადამზადება, ვინც წარმართავს სქესობრივი განათლების შესახებ გაკვეთილებს.

ბ. ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მონყვლად ჯგუფებში

1. ჯანდაცვის პროგრამების ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობების ქალთათვის

საქართველოში ყველაზე დიდი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებია: აზერბაიჯანელები (6,3%), სომხები (4,5%), რუსები, ოსები, იეზიდები, უკრაინელები, ჩეჩნები და ბერძნები.¹⁴⁶ პრაქტიკაში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები და ქართული ენის ადეკვატური არ ცოდნის შემთხვევაში, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ხვდებიან შემდეგ წინააღობებს:

- ადეკვატური, დროული და კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობის სიმწირე, ვინაიდან მსხვილი სამედიცინო ცენტრები განთავსებულია ცენტრებში.
- რეპროდუქციული ჯანდაცვისა და ოჯახის დაგეგმვის შესახებ ცოდნის ნაკლებობა, რის შედეგადაც იზრდება არასასურველი ორსულობისა და აბორტის მაჩვენებლები.¹⁴⁷

¹⁴⁰ მუხლი 41, კანონი პაციენტის უფლებების შესახებ.

¹⁴¹ საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა, მთავრობის ბრძანება #553, 2014.

¹⁴² განათლების მინისტრის ბრძანება #40/ნ, 2016.

¹⁴³ ე. კეტინგი, *მოზარდის საჭიროებებზე ორიენტირებული სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების განვითარების შესაძლებლობა საქართველოში: სიტუაციური ანალიზი*, 2015, გვ. 22.

¹⁴⁴ დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგია.

¹⁴⁵ სახალხო დამცველი, *რეპროდუქციული ჯანმრთელობა*, გვ. 54.

¹⁴⁶ საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ოფისი, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა - ძირითადი მიგნებები, 2016, გვ. 8 - ხელმისაწვდომია http://geostat.ge/cms/site_images/_files/english/population/Census_release_ENG_2016.pdf.

¹⁴⁷ სახალხო დამცველი, *რეპროდუქციული ჯანმრთელობა*, გვ. 78-79.

რეკომენდაცია: დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგიასა და მის სამოქმედო გეგმაში აისახოს მოწყვლადი ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევები და დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების შემთხვევაში არსებული ფიზიკური ხელმისაწვდომობის, ენისა და სხვა სახის ბარიერები.

2. ჯანდაცვის პროგრამების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთათვის

მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს საქართველო მიუერთდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ გაეროს კონვენციას, ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების უმრავლესობა არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ქალების და გოგონების, როგორც დამოუკიდებელი სამიზნე ჯგუფის განსაკუთრებულ საჭიროებებს.¹⁴⁸

კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის» იუწყება, რომ გარკვეული ფიზიკური შეზღუდვების შემთხვევაში ქალები ვერ იღებენ გინეკოლოგიურ მომსახურებას, რადგან გინეკოლოგიური პალატები არ არის ადაპტირებული ეტლის მომხარებელზე¹⁴⁹. შეზღუდულია შშმ ქალების ხელმისაწვდომობა რეპროდუქციული ჯანმრთელობაზე ინფორმაციის მიღების კუთხით.¹⁵⁰ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ექიმები შშმ ქალებს ურჩევენ, არ იყოლიონ ბავშვები, რადგან ისინი არ არიან ორსულობისთვის მზად ფიზიკური თვალსაზრისით, რაც ექიმის მხრიდან პაციენტის დისკრიმინაციაა.¹⁵¹

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა გამოკითხვის გზით მხოლოდ სოციალური საჭიროებების იდენტიფიცირებას (მათ შორის ქალებისა და ბავშვების კონკრეტული საჭიროებების) და პრიორიტეტების დასახვას.¹⁵² აგრეთვე, შშმ პირთა შორის ცნობიერების ამაღლებას რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე, მათ შორის, ცხოვრებისეული უნარების განვითარებას ტრენინგების მეშვეობით.¹⁵³ 2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით არსებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული საქმიანობა არ განხორციელებულა.¹⁵⁴

რეკომენდაცია: ჯანდაცვის სამინისტრომ ოჯახის დაგეგმვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების შემცველ პროგრამებში გაითვალისწინოს შშმ ქალების საჭიროებები, მათ შორის, გინეკოლოგიური პალატების ადაპტირება ეტლის მომხარებელი ქალებისთვის. ჯანდაცვის სამინისტრომ სამეციდინო პერსონალის ტრენინგ მოდულების და პროტოკოლების შემუშავებისას გაითვალისწინოს შშმ ქალების მიმართ სენსიტიურობა, მათ შორის, სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ გაეროს კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

¹⁴⁸ სახალხო დამცველის ანგარიში, *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები*, 2016, გვ. 117-8.

¹⁴⁹ ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ადვოკატთან - ქ-ნ ქეთევან ხომერიკთან, 1 აგვისტო 2017 წელი *ხელმისაწვდომია* სახალხო დამცველი, *რეპროდუქციული ჯანმრთელობა*, გვ. 118.

¹⁵⁰ *სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის კომიტეტის წინაშე*, 2017.

¹⁵¹ ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ადვოკატთან - ქ-ნ ქეთევან ხომერიკთან, 1 აგვისტო 2017 წელი *ხელმისაწვდომია* სახალხო დამცველი, *რეპროდუქციული ჯანმრთელობა*, გვ. 118.

¹⁵² შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა, მთავრობის ბრძანება #76.

¹⁵³ იქვე მე-7 თავი.

¹⁵⁴ ჯანდაცვის სამინისტროს 2017 წლის 11 სექტემბრის წერილი *ხელმისაწვდომია* სახალხო დამცველი, *რეპროდუქციული ჯანმრთელობა*, გვ. 119.

3. წამალდამოკიდებული ქალები

წამალდამოკიდებულ ქალთა ეფექტიან მკურნალობას რამდენიმე ფაქტორი აბრკოლებს. იმის გამო, რომ არ არსებობს სპეციალური სამკურნალო ცენტრები ქალებისათვის, განცალკევებული შესასვლელით ან მათთვის გამოყოფილი სამუშაო საათებით, ისინი ხშირად განიცდიან მამაკაცთა მხრიდან ძალადობასა და დამამცირებელ მოპყრობას ისევე, როგორც ირღვევა მათი კონფიდენციალურობის უფლება სამედიცინო პერსონალის მიერ. უპატივცემულობა შესამჩნევია სამედიცინო პერსონალის მხრიდანაც. ამგვარი დამოკიდებულება, როგორც წესი, ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი ქალებისადმი არსებულ სტიგმას უკავშირდება, რომელიც კიდევ უფრო მძაფრია სექსუალური შეხებების შემთხვევაში. არ არსებობს რეფერირების სისტემა ნარკოლოგიურ ცენტრებსა და მომსახურების მიმწოდებელ სხვა კლინიკებს შორის, ასევე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებულ მომსახურებასა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრებს შორის.

„ქალებისათვის გენდერულად სენსიტიური, ხელმისაწვდომი და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ნარკოლოგიური პროგრამების არარსებობის“¹⁵⁵ საპასუხოდ, დასკვნით შენიშვნებში საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშის შესახებ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი საქართველოს მოუწოდებს: ჩაატაროს „კვლევა ეროვნულ დონეზე, რომელიც შეისწავლის ნარკომომხმარებელი ქალების, მათ შორის, ორსულების რაოდენობას, რაც სტრატეგიული დაგეგმარებისათვის მნიშვნელოვანია“; ასევე, უზრუნველყოს „გენდერულად სენსიტიური და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ნარკოლოგიური მომსახურება, რომელიც ნარკომომხმარებელი ქალებისათვის მიყენებულ ზიანს შეამცირებს; ზიანის შემცირების პროგრამები უნდა შემუშავდეს პატიმრობაში მყოფი ქალებისთვისაც“.¹⁵⁶

რეკომენდაცია: ქალთა მიმართ ძალადობის რეფერირების მექანიზმი, რომელიც ჯანდაცვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროვაიდერებს მოიცავს, უნდა ითვალისწინებდეს ნარკოლოგიურ ცენტრებთან მიმართვიანობას.

რეკომენდაცია: ჯანდაცვის სამინისტრომ და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საბჭოსთან თანამშრომლობით განახორციელონ კვლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით, წამალდამოკიდებული ქალების ოდენობის იდენტიფიცირების და მათზე მიმართული გენდერულად სენსიტიური და მტკიცებულებაზე დამოკიდებული მკურნალობის დაგეგმარების მიზნით.

4. ლბტ ქალები

ლბტ პირთა ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებები ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი სახელმწიფო დონეზე. ჯანდაცვის სფეროში არსებული სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები არ ითვალისწინებს მათ მოთხოვნებსა და ინტერესებს.¹⁵⁷ ტრანსგენდერებთან მომუშავე სამედიცინო პერსონალისთვის არ არსებობს კლინიკური გაიდლაინები დიაგნოსტიკური და გარდამავალი პროცედურების შესახებ.¹⁵⁸ არასამთავრობო ორგანიზაციის ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ჯანდაცვის მუშაკთა შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ადეკვატური ცოდნის, ასევე ლგბტ პირების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა.¹⁵⁹

¹⁵⁵ CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, პუნქტი 30.

¹⁵⁶ CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, პუნქტები 30.

¹⁵⁷ ე. ადდგომელაშვილი, *ცრუ რწმენებიდან თანასწორობამდე*, 2016, გვ. 170.

¹⁵⁸ ე. ადდგომელაშვილი, ნ. ღვინიაშვილი, თ. თოდუა და თ. რატიანი, *ჯანდაცვის სფეროში ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები საქართველოში*, 2015, გვ. 20.

¹⁵⁹ ნ. ღვინიაშვილი, *ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში*, 2014, გვ. 19-20.

რეკომენდაცია: ჯანდაცვის სამინისტრომ ჯანმრთელობის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისას გაითვალისწინოს ლესბოსელი, ბი-სექსის და ტრანსგენდერი ქალების, როგორც მიზნობრივი/მონყვლადი ჯგუფის, საჭიროებები და თავისებურებები. ჯანდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ჯანდაცვის პროვაიდერების ინფორმირება და გადამზადება ლგბტ პირების საჭიროებათა და სენსიტიურობის გათვალისწინებით.

რეკომენდაციები: ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კლინიკური გაიდლაინები სქესის შეცვლის/გარდამავალი პროცედურების შესახებ ტრანსგენდერი ქალების ჯანმრთელობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

5. სექს-მუშაკები

2014 წლის შეფასებით საქართველოში 6,785 ქალი სექს-მუშაკი იყო.¹⁶⁰ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით, სექს-მუშაკები ერთ-ერთი ყველაზე მონყვლადი ჯგუფია სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების სამკურნალო მეთოდების შესახებ ინფორმირაციის ნაკლებობის გამო. კერძოდ, ზემოაღნიშნული სექს-მუშაკების:

- მხოლოდ 27% იყო ინფორმირებული სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ (სგდდ);¹⁶¹
- 40% გადის სგდდ-ს შემონმებას 3 თვეში ერთხელ და 49% - 6 თვეში ერთხელ;
- დაახლოებით 77%-ს არასოდეს გაუკეთებია პაპ ტესტი (საშვილოსნოს ყელის სკრინინგი) და 78%-ს არასოდეს გაუკეთებია პაპილომა ვირუსის ვაქცინაცია;¹⁶²

რეკომენდაცია: ჯანდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს სექს-მუშაკებზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანია სგდდ-ს მკურნალობის მეთოდების და რეგულარული შემონმების საჭიროების შესახებ.

6. ქალები სასჯელალსრულების დაწესებულებებში

ბანგკოკის წესები ავალდებულებს სახელმწიფოებს, გაითვალისწინონ ქალ პატიმართა განსაკუთრებული საჭიროებები გენდერული დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად.¹⁶³

საქართველოს სასჯელალსრულების და პრობაციისა მინისტრის 2016 წლის #63 და 2014 წლის #55 ბრძანებებით რეგულირდება ბრალდებულისა და მსჯავრდებულთა გადაყვანა საერთო პროფილის საავადმყოფოებში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში.¹⁶⁴ #63 ბრძანების თანახმად, ბრალდებულის / მსჯავრდებულის სამედიცინო დაწესებულებებში გადაყვანა ხდება რიგითობის წესის მიხედვით, გეოგრაფიული არეალის, სამედიცინო გამოკვლევისა და ინდივიდუალური საჭიროებების

¹⁶⁰ საერთაშორისო ფონდი კურაცი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრი - თანადგომა, *ქალი სექს-მუშაკების სავარაუდო რაოდენობის შეფასება თბილისსა და ბათუმში*, 2014, გვ. 23 - ხელმისაწვდომია <http://new.tanadgomaweb.ge/upfiles/dfltcontent/1/150.pdf>

¹⁶¹ ჰერა XXI, სექს-მუშაკების საჭიროებების და დისკრიმინაციის განმაპირობებელი მიზეზების კვლევა, 2014, გვ. 15 - ხელმისაწვდომია <http://en.calameo.com/read/004110021894c3ad2d39d>

¹⁶² იქვე გვ. 15-17.

¹⁶³ გაეროს სახელმძღვანელო წესები ქალი პატიმრების მიმართ მოპყრობის სტანდარტების და არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიებების შესახებ, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2010/16, 45 სესია, 2010.

¹⁶⁴ საქართველოს სასჯელალსრულების და პრობაციისა მინისტრის 2016 წლის #63 და 2014 წლის #55 ბრძანებები ბრალდებულისა და მსჯავრდებულთა გადაყვანა საერთო პროფილის საავადმყოფოებში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში.

გათვალისწინებით.¹⁶⁵ ამდენად, #63-ე ბრძანება არ ითვალისწინებს ქალ პატიმართა განსაკუთრებულ საჭიროებებს, მათ შორის, ქალთა კონკრეტული დაავადებების პროგრესულ ხასიათის და ქალთა განსაკუთრებულ პირობებს. ამ ფაქტორების გამო ქალები ავტომატურად კარგავენ რიგით ნომერს, რაც თავისთავად იწვევს მკურნალობის გადადებას¹⁶⁶. აღსანიშნავია, რომ ციხეში მყოფი ქალების რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მამაკაცების,¹⁶⁷ რაც თავისთავად ზრდის მოლოდინის პერიოდს. ქალების გათვალისწინება მთელი ციხის მოსახლეობის რიგებში, საგრძნობლად აგრძელებს მათი ლოდინის პერიოდს.

რეკომენდაცია: ცვლილება შევიდეს სასჯელაღსრულების მინისტრის #63 ბრძანებაში ბრალდებული / მსჯავრდებული ქალების მიმართ სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის რიგითობის განსაზღვრისას გენდერული სენსიტიურობის გათვალისწინების მიზნით.

გ. სუროგატი დედების საკითხი

საქართველოში სუროგატი დედების საკითხი რეგულირდება სამი კანონით:

- ჯანმრთელობის შესახებ კანონი განსაზღვრავს ექსტრაკორპორული განაყოფიერების პროცესს;
- სამოქალაქო აქტების შესახებ კანონი ითვალისწინებს ექსტრაკორპორალური განაყოფიერების შედეგად დაბადებულ ბავშვის რეგისტრაციას; და
- სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ კანონი ადგენს ბავშვის დაბადების რეგისტრაციის პროცედურებს.

საქართველოში სუროგატული დედობა უკანონო არ არის, თუმცა რეგულირებულია. უწყებათაშორისი ბრძანების მიხედვით, მონაცემთა ბაზაში ბავშვსა და მშობლებზე ინფორმაციის შეტანა და სასაზღვრო შემოწმება აუცილებელია.¹⁶⁸ არცერთი რეგულაცია არ ითვალისწინებს მშობლებზე ინფორმაციის გადამოწმებას, როგორც ეს ბავშვის აყვანის შემთხვევაში ხდება და მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობას ბავშვის განთავსებისა და ზრუნვის საკითხებზე.

რეგულაციების ნაკლებობა და ექსპლუატაციის პოტენციური გაეროს მანდატის მფლობელთა და სახელშეკრულებო ორგანოთა შემფოთებას იწვევს. ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ ანგარიშში ნათქვამია:

„სპეციალური მომხსენებლისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციით, სხვადასხვა საერთაშორისო სააგენტომ რეკლამა გაუწია სუროგატული დედობის ხელშეკრულებებს და ისინი ახალგაზრდა ქალებს შესთავაზეს; მისთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ ხელოვნური ჩასახვის პროცედურა კანონმდებლობით რეგულირებული არ არის, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ძალადობა და ექსპლუატაცია იმ ქალთა მიმართ, რომლებიც აფორმებენ კანონმდებლობით დაურეგულირებელ ხელშეკრულებებს.“¹⁶⁹

ბავშვებით ვაჭრობის, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი აცხადებს, რომ:

„შემფოთებულია კომერციული სუროგატული შეთანხმებების დაურეგულირებლობით. სუროგატული დედობა საქართველოში დაქორწინებული ჰეტეროსექსუალი წყვილებისათვის ნებადართულია. ერთადერთი დებულება, რომელიც ამ საკითხს არეგულირებს, არის ჯანმრთელობის

¹⁶⁵ მუხლი 1, სასჯელაღსრულების მინისტრის ბრძანება #63.

¹⁶⁶ ადამიანის უფლებათა ცენტრი, ქალთა, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებები, 2017, გვ. 11.

¹⁶⁷ იქვე გვ. 12.

¹⁶⁸ იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება #133-#144, 2016.

¹⁶⁹ A/HRC/32/42/Add.3, პუნქტი 33.

დაცვის კანონის 143-ე მუხლი, რომელიც ინვიტრო განაყოფიერებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, აღნიშნული დებულების მიხედვით, ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი მიიჩნევა მშობლებად, შესაბამისი პასუხისმგებლობითა და უფლებამოსილებით; დონორს ან სუროგატ დედას არა აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება. ამგვარად, ეს დებულება მშობლების სასარგებლოდ მოქმედებს, რაც არღვევს ბავშვის უფლებებს - მათ შორის, პიროვნების, ჯანმრთელობისა და მოქალაქეობის უფლებას - ასევე, მას უქმნის საფრთხეს, მოექცეს ისეთ გადაწყვეტილებათა ზემოქმედების ქვეშ, რომლებიც უცილობლად არ შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესებს და ექსპლუატაციის რისკის წინაშე აყენებს. გარდა ამისა, დებულებით მეორეხარისხოვანი ხდება სუროგატი დედების უფლებაც, რადგან მათ ბავშვზე სამართლებრივი უფლება აღარ გააჩნიათ და ასევე ემუქრებათ ექსპლუატაციის საფრთხე.¹⁷⁰

2016 წლის აპრილში იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა შეიმუშავეს ერთობლივი ბრძანება №133-144, რომელიც არეგულირებს სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვთა საქართველოდან გაყვანის პროცედურას, ბავშვთა ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით. თუმცა, მისი მოქმედება შეზღუდულია და მოიცავს იუსტიციის სამინისტროს მიერ მონაცემთა ბაზის შექმნას სუროგაციით დაბადებული ბავშვების რეგისტრირებისათვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წვდომას ამ ბაზაზე. თუ ქვეყნის დატოვებისას ბავშვი და მისი ორივე მშობელი მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული არ არის, შინაგანსაქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს შეუძლიათ არ მისცენ ბავშვის საზღვარზე გადაყვანის უფლება.¹⁷¹

ბავშვებით ვაჭრობის, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ:

„მეტად შემოფოთებულია საერთაშორისო კომერციული სუროგაციის შეთანხმებებით, რომლებიც საქართველოში ბოლო წლების მანძილზე მომრავლდა და რომელთა რიცხვიც მუდმივად იზრდება. 2012 წლიდან საერთაშორისო კომერციული სუროგაციის გზით 581 ბავშვი დაიბადა, მათ შორის 171 - 2016 წლის პირველ ნახევარში. გესტაციული სუროგაცია საქართველოში ნებადართულია და ქვეყნის კანონმდებლობა ასეთი გზით გაჩენილ ბავშვებს პროცედურის შემკვეთი მშობლების კანონიერ შვილებად ცნობს. საქართველო ერთ-ერთია იმ რამდენიმე ქვეყანას შორის, რომლებშიც ნებადართულია სუროგაციული შეთანხმებები უცხო ქვეყნის მოქალაქე მშობლებთან (თუმცა, არა ერთსქესიან წყვილებთან), მაგრამ არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც დაიცავს ასეთი შეთანხმებებით გაჩენილი ბავშვების უფლებებსა და საუკეთესო ინტერესებს, ასევე, სუროგატი დედების უფლებებს.

არასრულყოფილი რეგულირება იწვევს ეგრეთ წოდებულ „ბავშვთა ტურიზმს“, რომელსაც ხელს უწყობენ საქართველოში არსებული, უცხოურ კლინიკებთან შეთანხმებული დაწესებულებების სარეკლამო კამპანიები.“¹⁷²

უცხო ქვეყნების საკონსულო წარმომადგენლები საქართველოში აღიარებენ, რომ დაურეგულირებელი საერთაშორისო კომერციული სუროგაცია შემამოფოთებელია, რასაც განაპირობებს საქართველოსა და ამ ქვეყნების იურისდიქციაში მოქმედი კანონმდებლობის შეუთავსებლობა და წინააღმდეგობრიობა, რამაც შესაძლოა სამართლებრივ ჩიხში შეიყვანოს კონკრეტულ ბავშვთან დაკავშირებით არსებული საქმე.¹⁷³

¹⁷⁰ A/HRC/34/55/Add.1, პუნქტი 40.

¹⁷¹ A/HRC/34/55/Add.1, პუნქტები 40 და 41.

¹⁷² A/HRC/34/55/Add.1, პუნქტი 3.

¹⁷³ A/HRC/34/55/Add.1, პუნქტები 15-17.

ბავშვებით ვაჭრობის, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი საქართველოს მოუწოდებს:

„კომერციული სუროგაციის პრაქტიკაზე შეიმუშაოს სრულყოფილი კანონმდებლობა, რომელიც გაითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან დაიცავს როგორც მათ, ისე სუროგატ დედებს. სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს სისტემა, რომელიც დაარეგულირებს კლინიკების მუშაობას, სუროგაციასა და მასთან დაკავშირებულ პრაქტიკას და უზრუნველყოფს სუროგაციის შეთანხმებათა ფარგლებში განხორციელებული ყველა ქმედების შესაბამისობას ბავშვის უფლებებსა და საუკეთესო ინტერესებთან.“¹⁷⁴

2014 წელს იუსტიციის სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკოორდინაციო საბჭოს შორის გაიმართა კონსულტაციები საქართველოში სუროგატი დედობის მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების მიზნით.¹⁷⁵ კერძოდ, რეგულირებას საჭიროებს ინ-ვიტრო განაყოფიერების ლიცენზიის მქონე კლინიკების საქმიანობა და სუროგაციის შეთანხმების/ხელშეკრულებების კრიტერიუმები, სუროგატი დედისა და ბავშვის უფლებების დასაცავად.¹⁷⁶ დღემდე არ არსებობს კონკრეტული კანონი ან მთავრობის დადგენილება, რომელიც აღნიშნულ საკითხებს შეეხებოდა.

რეკომენდაცია: ამოქმედდეს სუროგაციის მარეგულირებელი მექანიზმი იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულებების მონიტორინგისა და სუროგატი დედისა და ბავშვის ექსპლუატაციისგან დასაცავად. მექანიზმის მიერ უნდა გადამოწმდეს პერსპექტიული მშობლების შესახებ ინფორმაცია და განისაზღვროს მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის საკითხი ბავშვის მათთან გაყვანის შემთხვევაში. კანონი არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ერთსქესიან წყვილებთან მიმართებაში. მექანიზმის მთავარ მიზანს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა უნდა წარმოადგენდეს.

¹⁷⁴ A/HRC/34/55/Add.1, პუნქტი 82.

¹⁷⁵ ბ. დიკენსი, დაკვირვება საქართველოს სუროგაციის შესახებ არსებულ სამართლებრივ ჩარჩოზე, 2014.

¹⁷⁶ სახალხო დამცველი, *რეპროდუქციული ჯანმრთელობა*, გვ. 106.

VII. საზიანო პრაქტიკა (გენდერული ნიშნით ძალადობა)

ეს თავი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ა) ბავშვთა, ადრეული და იძულებითი ქორწინება; ბ) ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება; და გ) გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა / ვაჟიშვილის ყოლისათვის უპირატესობის მინიჭება. აღნიშნული პრაქტიკა გენდერული ძალადობის გამოვლინებაა და წარმოადგენს „საზიანო პრაქტიკა“-ს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. საზიანო პრაქტიკა ქალებისა და გოგონების მიმართ ხორციელდება დამკვიდრებული ტრადიციების ან კულტურული მიდგომების საფუძველზე, ინდივიდების, ოჯახებისა და თემების მიერ.

გენდერული ნიშნით საზიანო პრაქტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსხვერპლებზე, იწვევს მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზიანს და უზღუდავს როგორც საზოგადოებაში სრულად მონაწილეობის შესაძლებლობას, ასევე თავისი სრული პოტენციალის განვითარებასა და მიღწევას. მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი მოუწოდებს სახელმწიფოებს, მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის შესაბამისად¹⁷⁷ აღმოფხვრან ყველა საზიანო პრაქტიკა, როგორცაა ბავშვთა, ადრეული და იძულებითი ქორწინება და ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება. აღსანიშნავია, რომ ქალთა გენიტალიების დასახიჩრება, როგორც ძალადობის ერთ-ერთი ფორმა, ასევე მიმოხილულია წინამდებარე კვლევის *გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები*, I ნაწილში.

ა. იძულებით, ადრეული და ბავშვთა ქორწინება

გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია ცალსახად განმარტავს, რომ „ბავშვის ნიშნობას ან ქორწინებას იურიდიული ძალა არა აქვს“,“¹⁷⁸ ხოლო გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტი ქორწინების მინიმალურ ასაკად ქალისთვისაც და მამაკაცისთვისაც განიხილავს 18 წელს.¹⁷⁹ ამავდროულად, საერთაშორისო პაქტები სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა, და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, ისევე როგორც სტამბოლის კონვენცია კრძალავს იძულებით ქორწინებას¹⁸⁰.

ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში ბავშვთა ქორწინების პრობლემის აღიარება საქართველოში სახალხო დამცველის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების შედეგია.¹⁸¹ კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ბავშვთა ქორწინება

¹⁷⁷ მდგრადი განვითარების მიზნების 5.3 ამოცანა.

¹⁷⁸ მუხლი 16, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია.

¹⁷⁹ გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისა და ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტის გაერთიანებული ზოგადი კომენტარი N31 საზიანო პრაქტიკის შესახებ, 2014, პუნქტი 31.

¹⁸⁰ მუხლი 23, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი; მუხლი 10, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი; მუხლები 32 & 37, სტამბოლის კონვენცია.

¹⁸¹ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ადრეულ ასაკში ქორწინება: გამონწვევები და გადაჭრის გზები,

არ არის იშვიათი შემთხვევა საქართველოში და სხვა ფაქტორებთან ერთად უშუალო კავშირშია გენდერული უთანასწორობის საკითხთან.¹⁸²

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა საქართველოს მოუწოდა, შეიმუშაოს სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნება გენდერული თანასწორობის დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრისკენ, მათ შორისაა პატრიარქალური დამოკიდებულებები, გენდერული სტერეოტიპები, ადრეული ქორწინების ფაქტები და სელექციური აბორტი.¹⁸³ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი საქართველოს შესახებ ანგარიშში აღნიშნავს, რომ იმ ფაქტორებს შორის, რამაც შესაძლოა გაზარდოს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის რისკი არის დისკრიმინაციული გენდერული სტერეოტიპები და პატრიარქალური დამოკიდებულებები, ქალთა დაბალი ცნობიერება მათი უფლებების შესახებ, აგრეთვე ბავშვთა და იძულებითი ქორწინების სიხშირე.¹⁸⁴

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს რეგისტრირებულ იქნა 611 ბავშვის ქორწინება. 2016 წელს იყო მხოლოდ 5 შემთხვევა. რაც შეეხება არასრულწლოვან მშობლებს, რომლებიც შვილის დაბადების რეგისტრაციის მომენტისთვის კვლავ არასრულწლოვანები იყვნენ, მათი რაოდენობა 2015 წელს 1449 შეადგენდა, ხოლო 2016 წელს 1278-მდე შემცირდა. როგორც ვხედავთ, არასრულწლოვანი მშობლების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ადრეულ ქორწინებაში მყოფი ბავშვების რიცხვს, რაც აშკარად მიუთითებს ბავშვთა ქორწინების პრაქტიკის სამოქალაქო წესით რეგისტრაციის მიღმა არსებობაზე.¹⁸⁵ აღსანიშნავია, რომ ქორწინებების სამოქალაქო წესით რეგისტრაციის უქონლობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საკუთრების უფლებისა და ბავშვის მეურვეობის საკითხზე მშობლების დაშორების ან განქორწინების შემთხვევაში, რაც დამატებით გავლენას ახდენს ქალის უფლებებზე.

ქორწინების იურიდიული ასაკი არის 18 წელი.¹⁸⁶ შესაბამისად, ქორწინება აღნიშნულ ასაკამდე ბათილია და აკრძალულია. იძულებითი ქორწინება, მათ შორის დაურეგისტრირებელი, წარმოადგენს დანაშაულს, ხოლო არასრულწლოვანის იძულება ქორწინებაზე არის დამამძიმებელი გარემოება.¹⁸⁷ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გავრცელდეს როგორც მამაკაცზე და მისი ოჯახის წევრებზე, ასევე არასრულწლოვანი გოგონას მშობლებზე.

მთავრობის #437 დადგენილება არეგულირებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში რეფერირებს პროცედურებს, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებას (სკოლებს) უფლებამოსილებას ანიჭებს, ინფორმაცია მიანოდოს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს.¹⁸⁸

თუმცა, როგორც სახალხო დამცველის ოფისმა აღნიშნა, რეფერირების სისტემა არ მუშაობს, რადგან შესაბამისი უწყებები უბრალოდ ვერ ახდენენ შემთხვევების შესახებ შეტყობინებას და საქმის რეფერირებას.¹⁸⁹

2016. გაეროს მოსახლეობის ფონდის ანგარიში ბავშვთა ქორწინება საქართველოში, 2014.

¹⁸² სახალხო დამცველის ანგარიში ადრეულ ასაკში ქორწინება, 2016, გვ. 10; სახალხო დამცველის ანგარიში რეპროდუქციული ჯანმრთელობა, 2017 გვ. 96.

¹⁸³ CCPR/C/GEO/CO/4, გვ. 4.

¹⁸⁴ A/HRC/32/42/Add.3, პარაგრაფები 24-25.

¹⁸⁵ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ, 2016, გვ. 35.

¹⁸⁶ მუხლი 1108, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

¹⁸⁷ მუხლი 150¹, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

¹⁸⁸ მუხლი 5.10, მთავრობის დადგენილება #437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ, 2016.

¹⁸⁹ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: ადრეულ ასაკში ქორწინება: გამონწვევები და გადაჭრის გზები, 2016, გვ. 17.

რეკომენდაცია: მთავრობის დადგენილებას #437 დაემატოს ცვლილება, რომელიც მკაფიოდ სავალდებულოს გახდის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეფერალს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისათვის ბავშვის ძალადობის, მათ შორის, ადრეული და იძულებითი ქორწინების შემთხვევებში. #437 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები, ასევე უნდა უზრუნველყოფდეს იმ პირის კონფიდენციალობის დაცვას, ვინც გააკეთა შეტყობინება.

რეკომენდაცია: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ სამოქმედო გეგმას გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისმა კომისიამ დაამატოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელიც გამოიყენება ბავშვთა ქორწინების შემთხვევაში. ასევე რეგიონის სპეციფიკურობის გათვალისწინებით შეიმუშაოს მიდგომა ბავშვთა ქორწინების შემთხვევაში დაკავების, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების შესახებ, მათ შორის, სამართალდამცავებისა და ბავშვის რეფერალში ჩაბმული სერვისის მიმწოდებლების მიერ კოორდინირებული რეაგირების უზრუნველსაყოფად.

2015 წელს ადრეული ქორწინების საკითხებზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ოპერირებს გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისო კომისიის ქვეშ და უფლებამოსილია, შეიმუშაოს პოლიტიკის რეკომენდაციები, მოახდინოს მათი განხორციელებისათვის აუცილებელი ჩარევებისა და საქმიანობების იდენტიფიცირება, ასევე გააუმჯობესოს ბავშვის რეფერირების პროცედურების გამოყენება. 2017 წელს სამუშაო ჯგუფის მანდატი გაიზარდა და დაემატა ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების საკითხი, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დაკვეთით და გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით 2017 წელს ჩატარდა თვისობრივი კვლევა ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა ქორწინების საკითხზე. კვლევის წინასწარი დასკვნები იძლევა საზოგადოებაში არსებული იმ მიდგომების, სოციალური ნორმების და მრავალფეროვანი პრაქტიკის იდენტიფიცირების საშუალებას, რომლებიც უკავშირდება ბავშვთა ქორწინებას.¹⁹⁰ კერძოდ, კვლევამ დაადასტურა ტრადიციული გენდერული სტერეოტიპებისა და სექსუალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული სოციალური ნორმების გავლენის მნიშვნელობა ბავშვთა ქორწინებაზე.¹⁹¹

სამუშაო ჯგუფმა დაადგინა, რომ საჭიროა: ა) საზიანო პრაქტიკის პრევენციასა და აღმოფხვრაზე ორიენტირებული პოლიტიკის გაძლიერება; ბ) უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება კონკრეტული საქმიანობების განხორციელებაში; და გ) საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საზიანო პრაქტიკის შესახებ არსებული სოციალური ნორმების და დამოკიდებულებების გარდაქმნის მიზნით.

რეკომენდაცია: გარდა სისხლის სამართლის სანქციებისა და შეტყობინების ვალდებულებისა, გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშაოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანია ბავშვთა/ადრეული/იძულებითი ქორწინების საზიანო შედეგების შესახებ, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგი სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლებას: ა) მშობლები; ბ) გავლენის მქონე თემი და რელიგიური ლიდერები, ისევე როგორც გ) თავად გოგონები მსგავსი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით. განათლების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ბავშვთა უფლებების, ისევე როგორც ქალთა უფლებების შესახებ სწავლების გათვალისწინება 2018-2024 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

¹⁹⁰ საქართველოში ადრეული/ბავშვთა ქორწინების კვლევა: თვისობრივი კვლევის წინასწარი შედეგები, დაფინანსებული გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ გენდერული თანასწორობის გაეროს ერთობლივ პროგრამასა და გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად, წინასწარი შედეგები - 2017 წლის 6 დეკემბერი;

¹⁹¹ საქართველოში ადრეული/ბავშვთა ქორწინების კვლევა: თვისობრივი კვლევის წინასწარი შედეგები, დაფინანსებული გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ გენდერული თანასწორობის გაეროს ერთობლივ პროგრამასა და გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად, წინასწარი შედეგები - 2017 წლის 6 დეკემბერი.

რეკომენდაცია: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ქორწინებაში მყოფი არასრულწლოვანი გოგონების მხარდაჭერა ნაადრევ ორსულობის თავიდან აცილების, ხოლო ორსულობის შემთხვევაში, აგრეთვე მშობიარობისა და პოსტნატალურ პერიოდში (მათ შორის, ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე) უფასო სერვისების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობით. ამასთან, დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში აღნიშნული არასრულწლოვანი გოგონები ჩაითვალოს ერთ-ერთი მონაცვლად ჯგუფად.

რეკომენდაცია: პარლამენტმა გადასინჯოს „უფასო იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რათა იძულებითი და ბავშვთა ქორწინების მსხვერპლ გოგონებს გაენიოთ უფასო იურიდიული დახმარება.

ბ. ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება

ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების (FGM) პრაქტიკა მოიცავს ქალის გენიტალიების შეცვლას ან დაზიანებას არასამედიცინო მიზეზით, და წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებების დარღვევას.¹⁹² 2012 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების წინააღმდეგ მიმართული რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდა ყველას ძალისხმევას გაძლიერებისკენ, რათა აღმოეფხვრას მსგავსი პრაქტიკა.¹⁹³ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია და სტამბოლის კონვენცია - ორივე კრძალავს ქალთა სასქესო ორგანოების ნებისმიერი ფორმით დასახიჩრებას.¹⁹⁴ ქალთა გენიტალიების დასახიჩრებამ შეიძლება გამოიწვიოს მოკლე და გრძელვადიანი ჯანმრთელობის გართულებები, მათ შორის, ქრონიკული ტკივილი, ინფექციები, და ყველაზე მძიმე შემთხვევაში, სიკვდილი.

2016 წლის ნოემბერში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების პრაქტიკას ადგილი ჰქონდა კახეთის რეგიონში - ავარის თემში.¹⁹⁵ საქართველოს პროკურატურამ დაადასტურა, რომ ქალთა გენიტალიების დასახიჩრებას ადგილი აქვს კახეთის რეგიონში, ყვარელში მცხოვრებ ავარის თემში.¹⁹⁶ თუმცა, არ არსებობს ერთიანი სტატისტიკური მონაცემები აღნიშნული პრაქტიკის ირგვლივ.¹⁹⁷ მართალია ტივის, სარუსოსა და ჩანთლისყურის სოფლის ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს, რომ ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების პრაქტიკას ადგილი აღარ აქვს, სანდო წყაროები იუწყებიან, რომ ადგილობრივი მაცხოვრებლები მაღავენ ინფორმაციას ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების ფაქტების შესახებ, საზოგადოებისა და მედიის მხრიდან გაზრდილი ინტერესის გამო.¹⁹⁸

2017 წლის მაისის ცვლილებებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი მუხლი 133¹, რომელიც კრძალავს ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრებას ნებისმიერი საფუძვლით, მათ შორის, როგორც იძულებით ასევე ქალის თანხმობის საფუძველზე განხორციელებულ

¹⁹² OHCHR, UNAIDS, UNDP, UNECA, UNESCO, UNFPA, UNHCR, UNICEF, UNIFEM და WHO, *ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების აღმოფხვრა* - 2008 წლის უწყებათაშორისი განცხადება, გვ. 8.

¹⁹³ გაეროს გენერალური ასამბლეის 67/146 რეზოლუცია.

¹⁹⁴ გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 1999 წლის N24 ზოგადი რეკომენდაცია, პუნქტები 12-18. მუხლი 38, სტამბოლის კონვენცია.

¹⁹⁵ ომისა და მშვიდობის ინსტიტუტი, *ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების გამოვლენა საქართველოში*, 2016, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე <https://iwpr.net/global-voices/fgm-uncovered-georgia>.

¹⁹⁶ საქართველოს პროკურატურის წერილი N08-2/504 მითითებულია სახალხო დამცველის ანგარიშში *რეპროდუქციული ჯანმრთელობა*, 2017, გვ. 117.

¹⁹⁷ იგივე.

¹⁹⁸ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/4252, მითითებულია სახალხო დამცველის ანგარიშში *რეპროდუქციული ჯანმრთელობა*, 2017, გვ. 117.

ქმედებას. მუხლი აწესებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას როგორც იმ პირისთვის, ვინც განახორციელა მოკვება, ასევე იმ პირებისათვის, ვინც გოგონა/ქალი წააქეზა ან აიძულა, მათ შორის გოგონას ოჯახის წევრებიც.

2017 წელს მთავრობამ აღიარა აღნიშნული პრობლემის არსებობა ბავშვთა/ადრეული ქორწინების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მანდატის გაზრდით, რითაც მოიცვა ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების საკითხი.

რეკომენდაცია: გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისმა კომისიამ მოახდინოს ისეთი თემების იდენტიფიცირება, სადაც ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება კვლავ წარმოადგენს ჩვეულ პრაქტიკას, შეაგროვოს ინფორმაცია და შეიმუშაოს ინდივიდუალური ინტერვენციის/ჩარევის პოლიტიკა ქალთა მიმართ ძალადობის სამომავლო სამოქმედო გეგმაში. შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვროს ძირეული მიზეზები, ასევე კულტურულ ტრადიციებსა ან რელიგიურ შეხედულებებთან პოტენციური კავშირი, რათა შემუშავდეს პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ინდივიდუალური მიდგომა. ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს ადგილობრივი საზოგადოებისა და რელიგიური ლიდერების, მისაბაძი პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების და სხვა მსგავსი პირების კოორდინაციას, რაც ხელს შეუწყობს ცვლილების თემის შიგნიდან ინიცირებას და წარმართვას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2018-2024 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაითვალისწინოს ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების საზიანო შედეგების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

გ. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკა/ვაჟიშვილის ყოლისათვის უპირატესობის მინიჭება

საქართველომ ცოტა ხნის წინ აღიარა სელექციური აბორტის პრობლემა, რომელსაც 25 წელზე მეტი ხნის ისტორია გააჩნია.¹⁹⁹ 2015 წლის მონაცემებით, 4 წლამდე ასაკის ბავშვთა სქესობრივი თანაფარდობის მაჩვენებლის მიხედვით ყოველ 100 გოგონაზე საშუალოდ 108.5 ბიჭი იყო.²⁰⁰ უახლესი კვლევა, რომელიც იძლევა საქართველოში ახალშობილთა სქესობრივი თანაფარდობის ანალიზს, განხორციელდა გაეროს მოსახლეობის ფონდის დაკვეთით და ეყრდნობა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების შედარებას სამოქალაქო რეესტრის მიერ მიწოდებული 2016 წელს დაბადებულთა რეგისტრაციის მონაცემებთან. 2016 წლის ინფორმაციის თანახმად, 56,569 რეგისტრირებულ დაბადებულთა შორის იყო 28,887 მამრობითი სქესის და 27,682 მდედრობითი სქესის ახალშობილი - განაწილება შეესაბამება ახალშობილთა სქესობრივი თანაფარდობის ნორმას ყოველ 100 გოგონაზე 105 ბიჭს.²⁰¹ მიუხედავად ამ დადებითი შეფასებისა, ამავე კვლევის ანალიზმა გამოავლინა გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება გენდერულად მიკერძოებული ნაყოფიერების ქცევაზე.²⁰² კერძოდ ის მიუთითებს:

- ვაჟის ყოლის მიზნით მრავალჯერადი ორსულობის ფაქტებზე. მამრობითი სქესის მნიშვნელოვანი წილი პირველ (25%) და მეორე მშობიარობაზე (14%) იბადება, რაც ნიშნავს იმას, რომ 2010-2014 წლებში მშობლები სქესის შერჩევას ახორციელებდნენ პირველი და მეორე ორსულობის დროს;
- მამრობითი სქესის ახალშობილის შედარებით მაღალი მაჩვენებელია სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთი, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი), განსაკუთრებით შობადობის კოეფიციენტი მაღალია აზერბაიჯანულ და სომხურ ოჯახებში.

¹⁹⁹ ჩ. გვილმოტო და ს. ტაფურო, სქესობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში: *მიმოხილვა მოსახლეობის აღწერის 2014 წლის მონაცემების მიხედვით*, 2017 წელი (სქესობრივი თანაფარდობის ტენდენციები 2017 წელი).

²⁰⁰ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის მონაცემები.

²⁰¹ *სქესობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში*, გვ. 28.

²⁰² *სქესობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში*, გვ. 59.

- ახალშობილთა მისაღები სქესობრივი თანაფარდობა შეიმჩნევა ქალაქებში, შედარებით მაღალი შემოსავლის და უმაღლესი განათლების მქონე ოჯახებში, კერძოდ თბილისში.

ჯანდაცვის მინისტრის 2014 წლის #01-746 ბრძანებით გათვალისწინებული სელექციური აბორტის აკრძალვა დეკლარაციული ხასიათისა. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 13.1.5.1 საქმიანობა ითვალისწინებს გენდერული ნიშნით ნაყოფის სქესის სელექციის პრევენციის მიზნით საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას პირველადი ჯანდაცვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიმწოდებლებისთვის.

გენდერული ნიშნის სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკამ გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებისა და სპეციალური მანდატის მფლობელთა ყურადღება მიიქცია. გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ მიესალმა:

2014 წლის N01-74/6 ბრძანების მიღებას, რომელიც არეგულირებს ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას და პირველი დანართის მე-14 პარაგრაფით კრძალავს სქესის შერჩევის მიზნით ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას. ამ პოზიტიური ნაბიჯის აღიარებისას ის სინანულს გამოთქვამს, რომ არ მუშავდება ოფიციალური სტატისტიკა სელექციური აბორტების შესახებ და ინტერესით აღნიშნავს მთავრობის სურვილს, შეიმუშაოს რეგულაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.²⁰³

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მის დასკვნით შეფასებებში საქართველოს მოუწოდა „გააძლიეროს ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას:

სელექციური აბორტის პრაქტიკასთან ბრძოლით, მათ შორის, ამ ფენომენის მასშტაბების მონიტორინგის გზით, ძირეული მიზეზების გამოკვლევითა და საზოგადოებაში გრძელვადიან პერსპექტივაში ზემოქმედების შესწავლით, ოჯახის დაგეგმვის სერვისების გაფართოებითა და გაუმჯობესებით და სელექციური აბორტის საზიანო შედეგებისა და გოგონებისა და ბიჭების თანაბარი ღირებულების შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების აქტივობების გატარებით.“²⁰⁴

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა მის დასკვნით შეფასებებში საქართველოს მოუწოდა „აღმოფხვრას პრენეტალური სქესის დისკრეციის შედეგად წარმოშობილი სელექციური აბორტების პრაქტიკა.“²⁰⁵

რეკომენდაცია: გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ახალი სამოქმედო გეგმები ითვალისწინებდეს სოციალური და დემოგრაფიული კვლევის ჩატარებას ოჯახებში ვაჟიშვილის ყოლისათვის უპირატესობის მინიჭების მიმართ დამოკიდებულების შესწავლის მიზნით, რათა: ა) გამოკვლეული იქნას გამომწვევი მიზეზები და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ თემებში სელექციური აბორტის დანერგვაზე; და ბ) შემუშავდეს პრობლემაზე მორგებული საგანმანათლებლო კამპანიები, რომლებიც ფოკუსირებული იქნება იმ რეგიონებსა და თემებზე, სადაც სქესის შერჩევის პრაქტიკა ჯერ კიდევ შეიმჩნევა.

რეკომენდაცია: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მოითხოვოს სქესის დადგენის ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენება, შესაბამისი სამედიცინო პროფესიული ასოციაციების ჩართულობით, ისევე როგორც სამედიცინო პერსონალისათვის სახელმძღვანელოს შემუშავებით, მათ შორის, პროფესიული სანქციების დანერგვით.

²⁰³ A/HRC/32/42/Add.3, პარაგრაფი 60.

²⁰⁴ ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2014 წლის დასკვნითი შეფასებები საქართველოს მეოთხე პერიოდულ ანგარიშზე, პუნქტი 7.

²⁰⁵ CEDAW/C/GEO/CO/4-5, პუნქტი. 31.

VIII. გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში

ქართულ კულტურაში განათლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დანყებით და საშუალო სკოლებში მაღალია როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის სტუდენტების რაოდენობა. განათლების ძლიერი ტრადიციის შედეგად - რასაც თან ერთვის სავალდებულო დანყებითი განათლება - საბაზისო დონეზე ჩარიცხვა თითქმის უნივერსალურია. ზრდასრულთა შორის წიგნიერების დონე საქართველოში სტაბილურად მაღალია.²⁰⁶ მიუხედავად ამისა, პატრიარქალური ნორმები კვლავ ინარჩუნებს გავლენას; რამდენიმე კვლევით დადგინდა, რომ როდესაც მშობლები ყველა შვილის განათლებას ვერ უზრუნველყოფენ, უმაღლესი განათლების მიცემას ხშირად ვაჟებისათვის ამჯობინებენ.²⁰⁷

1997 და 2001 წლების განათლების რეფორმის მიუხედავად, საქართველოს ბევრ სკოლაში ჯერ კიდევ პრობლემად რჩება ინფრასტრუქტურის დაბალი დონე და, ზოგადად, განათლების ხარისხი, ასევე, მისი სტანდარტების მზარდი სხვაობა სოფლებსა და ქალაქებს შორის. დაბალშემოსავლიანი ოჯახების შვილებისათვის განათლების საფასური ზოგჯერ ხელმისაწვდომობას ზღუდავს და ზრდის მომდევნო ეტაპებზე სწავლის მიტოვების ალბათობას, განსაკუთრებით, სოფლებში.

უმაღლეს საგანმანათლებლო დანყებულებებში ქალები შედარებით მეტად არიან წარმოდგენილნი, ვიდრე მამაკაცები.²⁰⁸ ეს მცირე განსხვავება, სავარაუდოდ, იმის შედეგია, რომ საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ მამაკაცები უფრო მარტივად პოულობენ სამსახურს.²⁰⁹

გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კერძოდ, მისი მე-10 მუხლი სახელმწიფოებს მოუწოდებს, „მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღსაკვეთად, რათა ისინი უზრუნველყონ მამაკაცთა თანასწორი უფლებებით განათლების დარგში“. განათლებაზე თანაბარი წვდომის ამ ფართო უფლებას ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი განმარტავს, როგორც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტის ერთობლიობას: „კარიერული და პროფესიული სწავლების თანასწორი პირობები, ერთი და იგივე სასწავლო პროგრამა, გამოცდა, სასწავლო პერსონალი, რომელსაც ერთი და იმავე სტანდარტის კვალიფიკაცია აქვს, ასევე, ერთნაირი ხარისხის შენობები და ინვენტარი“, ქალთა და მამაკაცთა როლებთან მიმართებით დისკრიმინაციის აღმოფხვრა „სასკოლო სახელმძღვანელოებისა თუ პროგრამების გადახედვისა და სასწავლო მეთოდების მორგების გზით“, სწავლის გაგრძელების

²⁰⁶ მსოფლიო ბანკი, გენდერულ მონაცემთა პორტალი, ხელმისაწვდომია: <http://datatopics.worldbank.org/gender/country/georgia>, (სადაც ჩანს, რომ დანყებით სკოლას გოგონებისა და ბიჭების 100% ამთავრებს, საშუალოს კი - გოგონათა 95.6% და ბიჭების 95%).

²⁰⁷ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო, „სოციალური და გენდერული ინტეგრაციის გეგმა“, 2014, გვ. 6.

²⁰⁸ ჩარიცხული სტუდენტების 55% ქალია, 45% - მამაკაცი. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო, „სოციალური და გენდერული ინტეგრაციის გეგმა“, 2014, გვ. 6.

²⁰⁹ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო, „სოციალური და გენდერული ინტეგრაციის გეგმა“, 2014, გვ. 6.

თანასწორი შესაძლებლობები, ქალებში სწავლის მიტოვების მაჩვენებლის შემცირება და მათთვის სპეციალური პროგრამების შემუშავება, „სპორტსა და ფიზიკურ აღზრდაში მონაწილეობის თანასწორი შესაძლებლობები“ და ხელმისაწვდომობა ოჯახური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მათ შორის, ოჯახის დაგეგმვის ინფორმაციასა და განათლებაზე.²¹⁰

მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი განათლების შესახებ ამ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის რამდენიმე ამოცანას მოიცავს. მათ შორის, 2030 წლისათვის:

- ყველა ქალისა და მამაკაცის თანაბარი წვდომა ხარისხიან ტექნიკურ, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე, მათ შორის საუნივერსიტეტო დონეზე;
- განათლების სფეროში გენდერული სხვაობის აღმოფხვრა და განათლების, ისევე, როგორც პროფესიული მომზადების ყველა დონეზე, თანაბარი წვდომა სოციალურად დაუცველთათვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა ... და მონყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისათვის;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების განახლება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობებისა და გენდერის ფაქტორები.

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს „ქალისა და მამაკაცისათვის განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობასა და განათლების თავისუფალ არჩევანს სწავლების ყველა ეტაპზე“. მე-7 მუხლი კი ეხება უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ხარისხს. კერძოდ, ამ მუხლის მიხედვით:

1. ყველას აქვს საკუთარი შესაძლებლობის გათვალისწინებით პროფესიისა და სპეციალობის თავისუფლად არჩევის უფლება. ამ თანასწორობის უზრუნველყოფა ხდება ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობით, დისკრიმინაციის გარეშე.
2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის მიერ ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებაში თანასწორი პირობების შექმნას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში მონაწილეობის ჩათვლით.

მე-7 მუხლისადმი მიმართული რეკომენდაციები გულისხმობს მის გაფართოებას დეკლარაციული განაცხადის მიღმა, რათა ეს მუხლი მოიცავდეს გენდერული თანასწორობის კანონის ზემოთ მოცემულ დებულებათა შესაბამის ფართო სფეროს.

ა. სექსუალური და სხვა სახის შევიწროება განათლების სფეროში

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მე-6 მუხლი კრძალავს სექსუალურ თუ სხვა სახის შევიწროებას შრომით ურთიერთობებში. თეორიულად, ეს მუხლი ვრცელდება განათლების სექტორის შრომით ურთიერთობებზეც, თუმცა, არ მოიცავს სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობასა და სკოლის სხვა თანამშრომლების, მათ შორის, მმართველი, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური რგოლების ან ნებისმიერი მესამე მხარის მიერ მოსწავლეებისა თუ სტუდენტების შევიწროებას საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე. გარდა ამისა, იგი არ ითვალისწინებს ეფექტიან აღსრულების მექანიზმსაც.

ანტიდისკრიმინაციული კანონი კრძალავს შევიწროებას, თუმცა არა ექსპლიციტურად სექსუალურ შევიწროებას. განათლების კანონში სექსუალური ან სხვა სახის შევიწროება საერთოდ არ არის ნახსენები. ამ კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, „მოსწავლეს უფლება აქვს, დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან“, რაც, თეორიულად,

²¹⁰ მე-10 მუხლის (ა)-(თ) პუნქტები, კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

შესაძლოა მოიცავდეს სექსუალურ თუ სხვა სახის შევიწროებას, თუმცა, აუცილებელი სამართლებრივი დაზუსტების გარეშე.

რაც შეეხება საჩივრის შეტანის მექანიზმს, მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით: „მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთ უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება“. მე-13 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას, თუმცა, არ განმარტავს დისკრიმინაციის ფორმებს. მისი ქვეპუნქტების მიხედვით:

4. დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია.
5. ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისი ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია და ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

ამ კრიტიკული პრობლემის შესახებ საუბრობს გაეროს სპეციალური მომხსენებელიც ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე:

მისასალმებელია გენდერული თანასწორობის კანონის მიღება, რომელიც განმარტავს შევიწროებას. თუმცა, სპეციალური მომხსენებელი შეშფოთებულია იმით, რომ კანონი არ მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამუშაო ადგილებზე სექსუალური შევიწროების საკითხს.²¹¹

რეკომენდაცია: სექსუალური და სხვა სახის შევიწროება განათლების სფეროში აიკრძალოს ცვლილებების შეტანით განათლების, ანტიდისკრიმინაციულ და გენდერული თანასწორობის კანონებში. სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შიდა გასაჩივრების მექანიზმები და საჩივრის შეტანის სამართლებრივი საფუძვლები, ასევე, ნათლად განისაზღვროს პასუხისმგებლობა.

ბ. გენდერული დისბალანსი აკადემიურ პერსონალს შორის და მმართველ და ადმინისტრაციულ პოზიციებზე

საქართველოში მასწავლებელთა უდიდესი ნაწილი ქალია.²¹² ამ პროფესიის ფემინიზაციას იწვევს დაბალი ანაზღაურება და პროფესიული და კარიერული წინსვლის საშუალებათა ნაკლებობა, მაშინ, როდესაც მამაკაცებს, როგორც წესი, ქალებთან შედარებით, უფრო მაღალანაზღაურებადი კარიერული შესაძლებლობები აქვთ. ზოგიერთი ექსპერტი მამაკაც მასწავლებელთა ნაკლებობას პრობლემად მიიჩნევს, რადგან, შედეგად, მცირდება მამრობითი სქესის მისაბაძი მაგალითები სტუდენტებისათვის.²¹³ აკადემიური პერსონალისაგან განსხვავებით, სკოლის დირექტორთა უმრავლესობა მამაკაცია, რაც ამ სექტორში ე.წ. „შუშის ჭერის“ არსებობაზე მიუთითებს.

²¹¹ A/HRC/32/42/Add.3, 58-ე პუნქტი, მისია საქართველოში (2016 წლის 15-19 თებერვალი), რომელშიც ციტირებულია საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში“, 2014, გვ. 419.

²¹² საერთაშორისო და საჯარო ურთიერთობების სკოლა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, „გენდერული მენისტრინიგი საქართველოს განათლების სისტემაში“, 2011, გვ.25.

²¹³ საერთაშორისო და საჯარო ურთიერთობების სკოლა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, „გენდერული მენისტრინიგი საქართველოს განათლების სისტემაში“, 2011, გვ.26.

დასკვნით შენიშვნებში საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს „სასწავლო პერსონალს შორის გენდერული დისბალანსის გამო, რომლის ფარგლებშიც, დაბალი ხელფასების შედეგად, მასწავლებელთა უმრავლესობა ქალია, სკოლის მაღალი ადმინისტრაციული პოზიციები კი მამაკაცებს უკავიათ“.²¹⁴ კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს:

შესაბამისი ნახალისების, ასევე, კარიერული მობილობის გზით, მიიღოს ზომები აკადემიურ პერსონალს შორის გენდერული ბალანსის უზრუნველსაყოფად - როგორც მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციულ დონეზე.²¹⁵

რეკომენდაცია: სახელმწიფომ მიიღოს დროებითი სპეციალური ზომები, მათ შორის, დაამკვიდროს აფირმატიული პრაქტიკა (დროებითი სპეციალური დონისძიებები) დასაქმებისა და დანიშნულების პროცესში, ან კვოტები, რათა განათლების სფეროს ყველა დონეზე უზრუნველყოს გენდერული ბალანსი მასწავლებლებსა თუ ადმინისტრატორებს შორის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა შექმნას პროფესიული მობილობის დამატებითი შესაძლებლობები, რომლებიც „შუშის ჭერის“ პრობლემას მოაგვარებს.

გ. არადისკრიმინაციული სახელმძღვანელოები და სწავლებისადმი მიდგომა ეროვნულ საგანმანათლებლო პროგრამებში

ანგარიშში „სოციალური და გენდერული ინტეგრაცია საქართველოში“ აღნიშნულია:

ისტორიისა და სამოქალაქო განათლების ათი სახელმძღვანელოს კვლევის მიხედვით, რომელიც 2012 წელს ჩატარდა, მამაკაცები უკეთ არიან წარმოდგენილნი სახელმძღვანელოებში, რაც რაოდენობრივად გამოიხატება მეტი სურათითა და პერსონაჟით, ხარისხობრივად კი - უფრო დადებითი მსჯელობითა და მამაკაცთა საქმიანობის უკეთ წარმოჩენით. გარდა ამისა, სახელმძღვანელოთა უმეტესობა გენდერული როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ სტერეოტიპულ მიდგომებს შეიცავს.²¹⁶

გენდერისა და განათლების სფეროს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეროვნულ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში ქალთა მიღწევებს ნაკლები ყურადღება ეთმობა, მაშინ, როდესაც ცნობილ მამაკაცებსა და მათ წარმატებებზე არაერთი ისტორია მოგვითხრობს. ქალების შესახებ ამბების ნაკლებობა, ასევე ის, რომ ქალები სათანადოდ არ ჩანან სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში, შესაძლოა გოგონათა დაბალი თვითშეფასებისა და ნაკლები თავდაჯერებულობის მიზეზი გახდეს.²¹⁷ გარდა ამისა, ექსპერტები აღნიშნავენ საკლასო ოთახებში ქალთა ფოტოებისა თუ ილუსტრაციების სიმცირესაც და მიიჩნევენ, რომ აუცილებელია სასკოლო რესურსებში ქალთა მრავალი მიღწევისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის უკეთ წარმოჩენა.²¹⁸

²¹⁴ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, 26(დ) მუხლი.

²¹⁵ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, მუხლი 27(დ).

²¹⁶ ათასწლეულის გამონვევის ფონდი - საქართველო, „სოციალური და გენდერული ინტეგრაციის გეგმა“, 2014, გვ. 7, ხელმისაწვდომია: <http://www.mccgeorgia.ge/cms/kcfinder/upload/files/Social%20and%20Gender%20Integration%20Plan%20Aug%2027%2C%202014.pdf>, სადაც ციტირებულია ი.ხომერიკი, მ. ჯავახიშვილი და თ. აბრამიშვილი. „გენდერული თანასწორობა სოციალურ მეცნიერებათა შესწავლაში: სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი“, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ინტერეთნიკურ ურთიერთობათა ცენტრი (2012).

²¹⁷ საერთაშორისო და საჯარო ურთიერთობების სკოლა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, „გენდერული მეინსტრიმინგი საქართველოს განათლების სისტემაში“, 2011, გვ. 31.

²¹⁸ საერთაშორისო და საჯარო ურთიერთობების სკოლა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, „გენდერული მეინსტრიმინგი საქართველოს განათლების სისტემაში“, 2011, გვ. 42.

კვლევის შედეგები ასევე მიუთითებს ცოდნის ნაკლებობაზე სექსუალური უმცირესობების შესახებ და სტუდენტებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების ფაქტებზე.²¹⁹ მასწავლებელთა უმრავლესობა ფორმალურად უარყოფს ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაციას,²²⁰ თუმცა აღიარებს, რომ საკლასო ინტერაქციის გენდერულ ჭრილში დანახვა შესაბამისი ტრენინგების გავლამდე არ უცდიათ.²²¹

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნების სწავლება იყოს აკადემიური, ობიექტური, ნეიტრალური და პლურალისტური“.

რეკომენდაცია: შეიცვალოს ზოგადი განათლების შესახებ კანონი, საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, რითაც სავალდებულო გახდება გენდერული მენისტრინგის გათვალისწინება ეროვნულ სასწავლო პროგრამაში.²²²

გარდა ამისა, ექსპერტები საჭიროდ მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო განათლების პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს გენდერულ თანასწორობაზე.²²³ სასკოლო პროგრამებში სამოქალაქო განათლების შეტანა ევროპის საბჭოს ერთ-ერთი ამოცანაა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის ინფორმაციის მიწოდებას დემოკრატიული ღირებულებებისა და კარგი მოქალაქეობის შესახებ.²²⁴ საქართველოში სამოქალაქო განათლება მხოლოდ რამდენიმე კლასის დონეზე ისწავლება და, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს ადამიანის უფლებებსაც, გენდერული თანასწორობის მხოლოდ რამდენიმე ასპექტის ჩათვლით. სამოქალაქო განათლების გზით გენდერული თანასწორობის პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს გენდერული ცნობიერების ამაღლებას ადრეული ასაკიდანვე.

რეკომენდაცია: გაიზარდოს სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმისაწვდომობა და არსებულ სამოქალაქო საგანმანათლებლო პროგრამებს დაემატოს გენდერული თანასწორობის მოდული.

ამასთან, საქართველოს განათლების სფეროში გენდერულ თანასწორობაზე ჩატარებული რამდენიმე კვლევიდან ჩანს, რომ მასწავლებელთა ტრადიციული შეხედულებები გაუცნობიერებლად ამყარებს გენდერულ სტერეოტიპებს საკლასო ოთახში. ასევე თვალსაჩინოა, რომ თანამედროვე სტანდარტებით განსაზღვრული გენდერული თანასწორობის პრინციპები მასწავლებლებისათვის სრულად გასაგები არ არის. მართალია, კვლევების თანახმად, სკოლაში ბიჭებისა და გოგონებისადმი მოპყრობისა თუ მათთან დაკავშირებული მოლოდინების კუთხით მასწავლებლები და დირექტორები განსხვავებას ვერ ამჩნევენ, მაგრამ გენდერისა და განათლების ექსპერტები მათ მიდგომებს შორის მკაფიო სხვაობაზე საუბრობენ. მაგალითად, მოსწავლე გოგონების თქმით, მასწავლებლები მათ უფრო სუსტებად

²¹⁹ ქალთა ფონდი საქართველოში, „გენდერული თანასწორობის საკითხების მიმართ მასწავლებელთა დამოკიდებულების კვლევა“, 2014, 30.

²²⁰ ქალთა ფონდი საქართველოში, „გენდერული თანასწორობის საკითხების მიმართ მასწავლებელთა დამოკიდებულების კვლევა“, 2014, 32.

²²¹ საერთაშორისო და საჯარო ურთიერთობების სკოლა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, „გენდერული მენისტრინგი საქართველოს განათლების სისტემაში“, 2011, 27.

²²² იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს ამ სფეროში მრავალი სახელმძღვანელო დოკუმენტი აქვთ შემუშავებული.

²²³ საერთაშორისო და საჯარო ურთიერთობების სკოლა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, „გენდერული მენისტრინგი საქართველოს განათლების სისტემაში“, 2011, გვ. 30.

²²⁴ „ზოგადად, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების არსებითი ელემენტია სოციალური ერთობისა და კულტურათმშობის დიალოგის ხელშეწყობა, აგრეთვე, მრავალფეროვნებისა და თანასწორუფლებიანობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობის დაფასება,“ მე-5 მუხლი, ევროპის საბჭოს ქართია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ, 2010.

და ემოციურებად მიიჩნევენ, ვიდრე ბიჭებს, რომლებიც ჭკვიანებად და ძლიერებად ითვლებიან. აღსანიშნავია, რომ გოგონებს, რომლებიც გონებამახვილობით გამოირჩევიან, შესაქებად ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „მამაკაცური ტვინის“ მქონეს.²²⁵

გენდერული სენსიტიურობის არარსებობა დიდ გავლენას ახდენს სტუდენტების ადრეულ საგანმანათლებლო ორიენტაციასა და საშუალო განათლების შემდგომ პროფესიული განათლების შერჩევაზე. კერძოდ, მასწავლებლები მეტ ყურადღებას ამახვილებენ ბიჭების პროფესიულ განვითარებაზე, მათ მომავალში ძირითად მარჩენალებად მიიჩნევენ, ვისი წარმატებული კარიერაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გოგონების.²²⁶ ამგვარი სტერეოტიპების ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ გოგონებმა შესაძლოა სტერეოტიპულად „კაცური“ პროფესიებისკენ სწრაფვა გადაიფიქრონ, რაც სამეცნიერო და საინჟინრო სფეროებში ქალების რაოდენობის შემცირებას იწვევს. ერთ-ერთი კვლევა აჩვენებს, რომ:

საშუალო სკოლის მაღალ კლასებში გოგონებისა და ბიჭების აკადემიური მოსწრება თანაბარია, გოგონების შედეგები მცირედ აღემატება ბიჭებისას და სკოლის დამთავრების შემდეგ, მეცნიერებისა და ინჟინერიის კუთხით განათლებისათვის გოგონები და ბიჭები თანაბრად არიან მზად. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით პროფესიულ განათლებას უფრო მეტი მამაკაცი აგრძელებს, ვიდრე ქალი. მეტი ბიჭი გამოთქვამს სურვილს, მიიღოს განათლება მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის სფეროებში. ამასთან, ფარულ სტერეოტიპებს, რომელთა მიხედვითაც ეს სფეროები ბიჭებისთვის უფრო შესაფერისია, ხშირად აძლიერებენ როგორც მასწავლებლები და მშობლები, ისე სახელმძღვანელოები.²²⁷

რეკომენდაცია: პროფესიულ სტანდარტებს დაემატოს მოთხოვნა, რომელიც მასწავლებლებისა და სხვა აკადემიური პერსონალის ტრენინგებში გენდერული სენსიტიურობის მოდულის დამატებას გაითვალისწინებს.

დ. გოგონათა დასწრება და ადრეული ქორწინების გამო სწავლის მიტოვება

საქართველოში ადრეული ქორწინება სიღარიბესა და დაბალ სოციალურ სტატუსს უკავშირდება. ადრეული ქორწინება სასურველად ითვლება გოგონებისთვის, რომელთა ოჯახებიც ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდიან. ამასთან, ისინი შესაძლოა ქორწინებას ოჯახური სირთულეებისაგან თავდაღწევის საშუალებადაც მიიჩნევენ.²²⁸ ადრეული ქორწინება განსაკუთრებით ხშირია ზოგიერთ ეთნიკურ და რელიგიურ თემში, თუმცა, ეს პრაქტიკა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გვხვდება. 2015 წელს ქორწინების გამო საშუალო განათლება 13-დან 17 წლამდე ასაკის 408 ადამიანმა შეწყვიტა; 168 პირმა სწავლა 18 წლის ასაკში მიატოვა.²²⁹ გაეროს მოსახლეობის ფონდის ანგარიშში აღნიშნულია:

²²⁵ საერთაშორისო და საჯარო ურთიერთობების სკოლა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, „გენდერული მენისტრ-მინგი საქართველოს განათლების სისტემაში“, 2011, გვ. 26.

²²⁶ ქალთა ფონდი საქართველოში, „გენდერული თანასწორობის საკითხების მიმართ მასწავლებელთა დამოკიდებულების კვლევა“, 2014, გვ. 11, 15.

²²⁷ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო, „სოციალური და გენდერული ინტეგრაციის გეგმა“, 2014, გვ. 7, ხელმისაწვდომია: <http://www.mcageorgia.ge/cms/kcfinder/upload/files/Social%20and%20Gender%20Integration%20Plan%20Aug%202027%2C%202014.pdf>

²²⁸ გაეროს მოსახლეობის ფონდი, „ბავშვთა ქორწინება საქართველოში“, გვ. 6, ხელმისაწვდომია: <http://www.girlsnotbrides.org/wp-content/uploads/2015/08/გაეროს-მოსახლეობის-ფონდი-Child-Marriage-in-Georgia-2014.pdf>.

²²⁹ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: „ადრეული ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები“, 2015, გვ. 5, 6.

ბავშვთა ქორწინება ერთ-ერთი მიზეზია, რომელიც გოგონებს განათლების შეწყვეტას აიძულებს. ქორწინებისა თუ ნიშნობის შემდეგ (უმთავრესად ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში), გოგონები სწავლას წყვეტენ.²³⁰

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ბავშვთა ქორწინებასა და სწავლის შეწყვეტას განაპირობებს, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ინფორმაციის ნაკლებობაა. ამგვარი ინფორმაციის არარსებობა გოგონებს შორის ორსულობის ალბათობას ზრდის, რაც ადრეული ქორწინების ერთ-ერთი მიზეზი ხდება. როგორც გაეროს მოსახლეობის ფონდი აღნიშნავს, „ქორწინების ალბათობა მაღალია მოზარდთა ორსულობის შემთხვევაში, რადგან ისინი საკუთარი ფეხმძიმობის „ლეგიტიმაციას“ და საზოგადოებრივი კრიტიკის თავიდან აცილებას ცდილობენ. 2012 წელს საქართველოში დაბადებული ბავშვების 10% 15-დან 19 წლამდე დედებმა გააჩინეს“.²³¹

გარდა ამისა, გაეროს მოსახლეობის ფონდის მიხედვით, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ:

მასწავლებლებსა და, ზოგადად, ადგილობრივ საზოგადოებას, ადრეული ქორწინების უარყოფით ასპექტებზე ცონდა არ გააჩნია. მეტიც, ხშირად ისინი თვითონაც არიან ჩართულნი ერთგვარი გარიგების პროცესში. ამის გამო, განათლების სამინისტრომ კონსტრუქციული ნაბიჯები უნდა გადადგას გოგონების მხრიდან სწავლის მიტოვების პრევენციისათვის.²³²

მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი ითვალისწინებს „ყველა საზიანო პრაქტიკის, მათ შორის, ადრეული და იძულებითი ქორწინების აღმოფხვრას“.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის 1.3.5. ამოცანა ეხება მასწავლებლებს შორის ცნობიერების ამაღლებას ბავშვთა ქორწინებაზე.

სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ბოლო ცვლილებით გაუქმდა ყველა გამონაკლისი, რომლებიც ქორწინების მინიმალურ ასაკად 18 წელს განსაზღვრავდა. ცვლილება შევიდა სისხლის სამართლის კოდექსშიც და, შედეგად, იძულებითი ქორწინება დასჯადი გახდა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლი, „არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობის“ შემთხვევაში, „რაც გამოიხატება არასრულწლოვნის აღზრდის, სწავლების, საცხოვრებლით, საკვებითა და ნორმალური განვითარებისათვის საჭირო სხვა პირობებით უზრუნველყოფის მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობით“, მშობლების დაჯარიმებას ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ასეთი ჯარიმები იშვიათად გამოიყენება. გარდა იმისა, რომ შეტყობინების ვალდებულება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით, ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევათა შეუტყობინებლობას 172⁶ მუხლიც ადამინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევს:

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დანესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მინოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს შესაბამისი ფიზიკური პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 50-იდან 100 ლარამდე ოდენობით და შესაბამისი დანესებულების (იურიდიული პირის) დაჯარიმებას 100-იდან 200 ლარამდე ოდენობით.

²³⁰ გაეროს მოსახლეობის ფონდი, „ბავშვთა ქორწინება საქართველოში“, გვ. 8.

²³¹ გაეროს მოსახლეობის ფონდი, „ბავშვთა ქორწინება საქართველოში“, გვ. 7.

²³² გაეროს მოსახლეობის ფონდი, „ბავშვთა ქორწინება საქართველოში“, გვ. 5.

დაბალი ჯარიმა და პროფესიული სანქციის არარსებობა ამ დებულების შემაკავებელ ეფექტს უკიდურესად ამცირებს. განათლების შესახებ კანონის 30-ე მუხლის „ბ“ პუნქტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს „სკოლაში მოსწავლეთა დასწრების უზრუნველყოფისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მიღების“ ვალდებულებას აკისრებს.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172⁶ მუხლში შევიდეს ცვლილება, რომელიც ბავშვთა ქორწინებისა და მათზე ძალადობის სხვა ფორმების შეტყობინებისა თუ რეფერირების კუთხით, მკაფიოდ გაითვალისწინებს მის გამოყენებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში და, პროფესიულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამის პროფესიულ სანქციებს დააწესებს.

საქართველოს მთავრობის #437 დადგენილების მე-5 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან შესაბამის უწყებებს შეატყობინონ ბავშვზე ძალადობის ფაქტის შესახებ, მათ შორის, ადრეული ქორწინების ფაქტის შესახებაც. აღნიშნული დადგენილებით უნდა განისაზღვროს არამხოლოდ რეფერირების უფლებამოსილება, არამედ ვალდებულება ბავშვზე ძალადობისა და ადრეული ქორწინების შემთხვევებშიც. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმატორის კონფიდენციალობა.

როგორც სახალხო დამცველი აღნიშნავს, საგანმანათლებლო დაწესებულებები სოციალური მომსახურების სააგენტოებს ადრეულ ქორწინებაზე ინფორმაციას არ აწვდიან:

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის განმავლობაში მათ სკოლებიდან ან შინაგან საქმეთა სამინისტროდან ადრეულ ასაკში ქორწინების არცერთ შემთხვევაზე არ მიუღიათ შეტყობინება“.²³³

სათანადო მოთხოვნების არცოდნის გარდა, მასწავლებლები გამოთქვამენ შიშს, რომ, შესაბამისი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, მათი ანონიმურობა დაცული არ იქნება, რის გამოც იზრდება ოჯახების მხრიდან ძალადობისა და მუქარის საფრთხე.²³⁴

რეკომენდაცია: შეიცვალოს საქართველოს მთავრობის #437 დადგენილება, რათა საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაეკისროთ ადრეული და იძულებითი ქორწინების რეფერირების ვალდებულება (ამჟამინდელ რედაქციაში საუბარია უფლებამოსილებაზე), ასევე იმ პირის ვინაობის კონფიდენციალობის დასაცავად, ვინც სახელმწიფო სტრუქტურების ინფორმირებას მოახდენს.

აღნიშნულმა საკითხმა გაეროს საერთაშორისო სახელშეკრულებო ორგანოების ყურადღებაც მიიპყრო. დასკვნით შენიშვნებში საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი შემფოთებას გამოთქვამს:

გავრცელებული ინფორმაციით, ადრეული ქორწინების მიზეზით, გოგონათა მხრიდან სწავლის შეწყვეტის მნიშვნელოვანი მაჩვენებლისა და ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელ გოგონათა საშუალო სკოლებში დასწრების არაპროპორციულად დაბალი დონის გამო.²³⁵

²³³ სახალხო დამცველი, გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები, 2015, გვ. 34; ასევე იხ: სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: ადრეული ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები, გვ. 7, 8, 9 (მასწავლებლების მიერ შესაბამისი ორგანოებისათვის ადრეული ქორწინების შეუტყობინებლობისა და სამართლებრივ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ).

²³⁴ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „ადრეული ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები“, 2015, გვ. 17.

²³⁵ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, პუნქტი 26(ბ).

კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს:

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ გოგონებს შორის პოპულარიზაცია გაუწიოს სკოლაში დასწრებას - განსაკუთრებით, საშუალო სკოლის დონეზე - და მიიღოს ზომები განათლებაზე მათი წვდომის დამაბრკოლებელი ფაქტორების, მათ შორის, ბავშვთა ქორწინების აღმოსაფხვრელად.²³⁶

რეკომენდაცია: შესწორდეს განათლების შესახებ კანონი, რათა საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი იყვნენ, მოახდინონ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება ადრეული ან იძულებითი ქორწინების შესახებ

ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოებს ხშირად არ ჰყავთ თარჯიმნები, რაც ბლუდავს მათ მუშაობას ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან, რომლებიც ქართულ ენას კარგად არ ფლობენ. შედეგად, „ენის ბარიერი საგრძნობლად აფერხებს მუშაობის პროცესს, ასევე, განაპირობებს სერვისების ნაკლებობას.“²³⁷

რეკომენდაცია: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მომდევნო სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს მხარდაჭერას და სააგენტოს მხრიდან თარჯიმანთა ჩართულობას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებში მუშაობისას თარჯიმანთა ჩართვის კუთხით. გარდა ამისა, გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სოციალური მომსახურების სააგენტოებში ისეთი ფსიქოლოგების დასაქმებას, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების ენებს მშობლიური ენის დონეზე ფლობენ.

ე. სოციალურად დაუცველი და მარგინალიზებული ბავშვების დასწრება სკოლებში

მიუხედავად მაღალი ჩარიცხვიანობისა, როგორც დაწყებით, ისე საშუალო სკოლებში, დაბალშემოსავლიან ოჯახთა ბავშვების დასწრების დონე უფრო ნაკლებია - 84%.²³⁸ მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი 2013 წლისათვის ასეთი გახლდათ: „ყველა გოგონამ და ბიჭმა მიიღოს თავისუფალი, თანასწორი და ხარისხიანი დაწყებითი და საშუალო განათლება“ და „ყველა გოგონას და ბიჭს ჰქონდეს წვდომა ხარისხიან ადრეულ განვითარებაზე, ზრუნვასა და წინასწარ განათლებაზე, რათა მზად იყოს დაწყებითი განათლებისათვის“. მე-4 მიზანი ასევე ითვალისწინებს „განათლების სფეროში გენდერული სხვაობის აღმოფხვრასა და განათლებისა თუ პროფესიული მომზადების ყველა დონეზე თანაბარ ხელმისაწვდომობას სოციალურად დაუცველი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა ... და მონაცვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისათვის“. დასკვნით შენიშვნებში ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი მიესალმება გოგონების მაღალ ჩარიცხვიანობას განათლების ყველა დონეზე, თუმცა შემფოთებელია:

სოციალურად დაუცველი და მარგინალიზებულ ჯგუფებს მიკუთვნებული, მათ შორის, ქუჩის ბავშვების, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მინდობით აღზრდასა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი ბავშვების დასწრების დაბალი დონით.²³⁹

²³⁶ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, პუნქტი 27(ბ).

²³⁷ სახალხო დამცველი, „გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები“, 2015, გვ. 35; ასევე იხ: სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „ადრეული ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები“, 2015, გვ. 8 (ენობრივი ბარიერის შედეგად მომსახურების არარსებობის შესახებ).

²³⁸ მსოფლიო ბანკი, გენდერულ მონაცემთა პორტალი ხელმისაწვდომია: <http://datatopics.worldbank.org/gender/country/georgia>.

²³⁹ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, პუნქტი 26(ა).

დასკვნით შენიშვნებში ბავშვის უფლებათა კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს:

გადადგას აუცილებელი ნაბიჯები განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისათვის და ყურადღება გაამახვილოს ისეთი პირობების შექმნაზე, რომლებიც გაზრდის სოციალურად დაუცველი - მათ შორის, სიღარიბეში მცხოვრები - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდა დედების წვდომას განათლებაზე.²⁴⁰

რეკომენდაცია: განათლების შესახებ კანონს დაემატოს პუნქტი, რომელიც გულისხმობს დაქორწინებული და/ან ფეხმძიმე გოგონების სკოლაში დაბრუნების მონიტორინგის პროგრამებს.

ვ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების საგანმანათლებლო წინსვლა

ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, „საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ, მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე“.²⁴¹ გარდა ამისა, კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის სწავლება სავალდებულოა.

უმცირესობათა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ სტუდენტებს, რომელთათვისაც ქართული მშობლიური ენა არ არის და განათლებას თავიანთ ენაზე იღებენ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გასაგრძელებლად ნაკლები შესაძლებლობები აქვთ,²⁴² ვინაიდან ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომელთა ჩაბარებაც აუცილებელია უნივერსიტეტებში მოსახვედრად, მოითხოვს ქართული ენისა და ლიტერატურის მაღალ დონეზე ცოდნას და ამ საგანში სავალდებულო გამოცდის ჩაბარებას. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამ ბარიერის გამო, უმაღლეს განათლებას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხოლოდ მცირე ნაწილი იღებს.²⁴³

2013 წლის პირდაპირ მოთხოვნაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია სახელმწიფოს მოუწოდებს, „გააუმჯობესოს ეთნიკურ უმცირესობათა წვდომა განათლებაზე და მათი ქართული ენის ცოდნის დონე“.²⁴⁴

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-13 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური მდგომარეობის, რელიგიისა და ენის ნიშნით. შესაბამისი ქვეპუნქტები განმარტავს, რომ:

6. სკოლა ვალდებულია, დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.
7. სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობათა წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ საკუთარი კულტურული კუთვნილება.

²⁴⁰ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 პერიოდული ანგარიშის შესახებ, CRC/C/GEO/CO/4, 2017 წლის 19 მარტი, პუნქტი 36(ა).

²⁴¹ ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁴² ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო, „სოციალური და გენდერული ინტეგრაციის გეგმა“, 2014, გვ. 8.

²⁴³ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო, „სოციალური და გენდერული ინტეგრაციის გეგმა“, 2014, გვ. 8.

²⁴⁴ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, პირდაპირი მოთხოვნა (CEACR) - მიღებული 2013 წელს, გამოქვეყნებული 103-ე ILC სესიაზე (2014), საქართველო.

დასკვნით შენიშვნებში რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი საქართველოს მოუწოდებს:

შეიმუშაოს სრულყოფილი მიდგომა ეთნიკურ და ეროვნულ უმცირესობათა წინაშე ენობრივი ბარიერის აღმოსაფხვრელად, მათ შორის, განათლების ყველა დონეზე საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური ორენოვანი მასწავლებლების უზრუნველყოფით.²⁴⁵

რეკომენდაცია: ზოგადი განათლების შესახებ კანონი განათლების ყველა დონეზე ითვალისწინებდეს ორენოვან მასწავლებელთა რაოდენობის გაზრდას.

8. ასაკის შესაბამისი პროგრამები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ

საზოგადოებრივი ცნობიერება და ინფორმირების დონე რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და უფლებების, ასევე, ქვეყანაში ამ მხრივ არსებული პროგრამებისა და მომსახურების შესახებ დაბალია. ფორმალური განათლების კონტექსტში, ინფორმაცია რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე შეზღუდულია, რის გამოც ახალგაზრდებს არ აქვთ ცნობები კონტრაცეფციისა და აბორტის ხელმისაწვდომობის, ასევე, მოქმედი კანონმდებლობისა და ოჯახის დაგეგმვის შესახებ. სახალხო დამცველის განცხადებით:

საქართველოში კვლავ დაბალია საზოგადოების ცნობიერების დონე და ინფორმირებულობა რეპროდუქციულ და სექსუალურ ჯანმრთელობასა და უფლებებზე. არასასურველი ორსულობები, მათი შეწყვეტა და მასთან დაკავშირებული გართულებები მოზარდებში სწორედ ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების შესახებ დაბალი საზოგადოებრივი განათლებისა და გენდერული თანასწორობის მიმართ გავრცელებული უარყოფითი დამოკიდებულების შედეგია.²⁴⁶

გარდა ამისა, ბავშვებისათვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, აივ ინფექციის/შიდსის და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ გაკვეთილების ჩატარებას ბევრი მშობელი არ ეთანხმება.²⁴⁷ ეს თემები ამჟამად სასკოლო პროგრამებში არ შედის.

დასკვნით შენიშვნებში ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი ხაზს უსვამს „სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე ასაკის შესაბამისი განათლების არარსებობას“ და სახელმწიფოს მოუწოდებს, „სწავლების ყველა დონეზე შემოიღოს ასაკის შესაბამისი განათლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, მათ შორის, გონივრული სექსუალური ურთიერთობების შესახებ“.²⁴⁸ მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი ითვალისწინებს „უნივერსალურ ხელმისაწვდომობას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის სერვისზე - ოჯახის დაგეგმვის, ასევე, **ინფორმაციისა და განათლების**“ მიღების მიზნით (ხაზგასმა დამატებულია). როგორც აღინიშნა, ამ საკითხებზე განათლების ნაკლებობა ნაადრევი ორსულობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია და, შესაბამისად, ადრეული ქორწინების არაერთი შემთხვევის განმსაზღვრელიც.

²⁴⁵ რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-6 და მე-8 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CERD/C/GEO/CO/6-8, 2016. პუნქტი 13(ბ).

²⁴⁶ სახალხო დამცველი, „გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები“, 2015, გვ. 17.

²⁴⁷ სახალხო დამცველი, „ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა“, 2015, გვ. 19; ასევე იხ: სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „ადრეული ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები“, 2015, გვ. 16.

²⁴⁸ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, პუნქტები 26(ე) და 27(ე).

რეკომენდაცია: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს სპეციალური კურსი რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე - რომლებიც კულტურულ კონტექსტსა და მოსწავლეთა ასაკს გაითვალისწინებს - და შეიტანოს სასკოლო პროგრამებში. მასწავლებლებისათვის შემუშავდეს სპეციალური სასწავლო პროგრამები. ეს ტრენინგები უნდა მოიცავდეს მოდულებს გენდერული თანასწორობის, ასევე, განათლებისა და ოჯახის დაგეგმვის უფლებათა შესახებ.

თ. გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკა

განათლების სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შესამუშავებლად საჭიროა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება, როგორცაა მაღალი თანამდებობისა და გადანაცვებილებათა მიმღები პირების, ასევე, უმაღლესი განათლების პროფესორების გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები სექტორების მიხედვით.

რეკომენდაცია: სხვადასხვა პროფესიულ სფეროში გენდერული ბალანსის ხელშეწყობი პოლიტიკის შესამუშავებლად, განათლების სექტორში შეგროვდეს გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები.

რეკომენდაცია: სხვადასხვა სფეროში ნაკლებად წარმოდგენილ პირთა კატეგორიების მხარდასაჭერად, ჩამოყალიბდეს სტიპენდიის პროგრამები.

IX. გენდერული თანასწორობა სპორტის სფეროში

ბოლო ათწლეულის მანძილზე სულ უფრო და უფრო მყარდება მოსაზრება, რომ ფიზიკურ აღზრდაზე წვდომა და სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა არა მხოლოდ უფლებას, არამედ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, კერძოდ: დემოკრატიული პრინციპების გატარებით, ლიდერული უნარების ჩამოყალიბებით, პოპულარიზაციით, ტოლერანტობისა და პატივისცემის ნახალისებით, ასევე, შესაძლებლობებსა და სოციალურ ქსელებზე წვდომის გაზრდით. სპორტი გავლენას ახდენს განვითარების ყველა სფეროზე, როგორცაა ჯანმრთელობა, განათლება, დასაქმება, სოციალური ჩართულობა, პოლიტიკური განვითარება, მშვიდობა და უსაფრთხოება.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ იუნესკოს საერთაშორისო ქარტიის მიხედვით:

ადამიანის უფლებებით ეფექტიანი სარგებლობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, ყველას ჰქონდეს თავისუფალი ნება, განავითაროს და შეინარჩუნოს საკუთარი ფიზიკური, გონებრივი თუ მორალური ძალა და თითოეულისთვის გარანტირებული იყოს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტზე წვდომა.²⁴⁹

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-10 მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, ქალებს უნდა ჰქონდეთ „თანასწორი შესაძლებლობები სპორტსა და ფიზიკურ მომზადებაში აქტიური მონაწილეობისათვის“. მე-13 მუხლის „გ“ პუნქტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში გაატარონ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის ზომები და უზრუნველყონ „სპორტთან დაკავშირებულ ღონისძიებებსა და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში მონაწილეობის უფლება“. კომიტეტის 25-ე ზოგადი რეკომენდაცია დროებითი სპეციალური ზომების შესახებ უკავშირდება კონკრეტულად სპორტის სფეროს.²⁵⁰

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ბავშვის განათლება გამიზნული უნდა იყოს მისი პიროვნების, ნიჭისა და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების შეძლებისდაგვარად სრული განვითარებისათვის. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2005 წლის რეკომენდაცია №1701 სპორტის სფეროში ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის შესახებ მოითხოვს ყურადღების გამახვილებას ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ქალთა სპორტისა და სპორტში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა; ქალებისა და გოგონების ფიზიკურ აღზრდაზე ორიენტირება სკოლებში; სპორტის, განათლებისა და ჯანმრთელობის სფეროებში ოფიციალურ პირთა ცნობიერების ამაღლება; სპორტის მაღალ დონეებზე ქალთა მონაწილეობის მხარდაჭერა; ანაზღაურების, საპრიზო თანხებისა და პრემიების კუთხით თანასწორობა; სპორტული ორგანიზაციების მმართველ რგოლებში ქალთა მონაწილეობის ნახალისება; ეროვნული სპორტული პოლიტიკის სიღრმისეული შესწავლა;

²⁴⁹ იუნესკოს დაკვირვებები, ხელმისაწვდომია:

<http://www.unesco.org/new/en/social-and-human-sciences/themes/physical-education-and-sport/women-and-sport/>.

²⁵⁰ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია №25, 38-ე პუნქტი.

გენდერულად სეგრეგირებულ მონაცემთა შეგროვება და სპორტში მონაწილე ქალების სათანადოდ გაშუქება მედიის მიერ.²⁵¹

საქართველოში სპორტის პოლიტიკა არ მოიცავს ინფორმაციასა და ხედვას ამ საკითხების ირგვლივ. ვინაიდან მსგავს თემებზე მონაცემები არ გროვდება, გამიზნული თუ de facto დისკრიმინაციის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. საქართველოს ახალგაზრდობის ეროვნული ფედერაციის მიერ ჩატარებული ერთ-ერთი ბოლოდროინდელი კვლევით - „გენდერული თანასწორობა სპორტსა და ფიზიკურ აქტივობაში“ - გამოვლინდა, რომ გოგონების მონაწილეობას სპორტის ამა თუ იმ სახეობაში დიდწილად განაპირობებს მშობლების გენდერულად სტერეოტიპული შეხედულებები. კვლევიდან ასევე ჩანს, რომ ამ სფეროში გოგონათა ნაკლები მონაწილეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია დაბალხარისხიანი სპორტული ინფრასტრუქტურა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან მისი არარსებობა.²⁵²

ა. ნორმატიული ჩარჩოსა და პოლიტიკის არარსებობა გენდერისა და სპორტის შესახებ

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და პოლიტიკა სპორტის სფეროში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ დებულებებს არ მოიცავს. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დროებით სპეციალურ ზომებს ან სხვა მეთოდებს, რომლებიც სპორტში ქალების თანასწორ მონაწილეობას უწყობს ხელს. კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ სპორტის სფეროს არ მოიცავს, სპორტული პოლიტიკა კი შემუშავებულია გენდერული საკითხების გაუთვალისწინებლად. კერძოდ, გენდერული თანასწორობის კანონი მე-7 მუხლით გათვალისწინებულ განათლების კონტექსტშიც კი არ მოიცავს დებულებებს სპორტზე ქალთა და გოგონათა თანაბარი წვდომის შესახებ.

რეკომენდაცია: გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შევიდეს ცვლილება, რომელიც ქალებისა და გოგონებისათვის სპორტში მონაწილეობის თანასწორ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს, მათ შორის, განათლების კონტექსტშიც.

სპორტის ეროვნული პოლიტიკა 2014-2020 წლებისათვის არ მოიცავს ცალკე ამოცანას აღნიშნულ სფეროში გენდერული თანასწორობის შესახებ. დოკუმენტი არც გენდერულ მეინსტრიმინგს ითვალისწინებს და არც კონკრეტულად მიუთითებს ქალებსა და გოგონებზე. შესაბამისად, სამართლებრივი და პოლიტიკის დოკუმენტები არ ითვალისწინებს ბავშვის უფლებათა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტების მიერ განსაზღვრულ უფლებებს. ისინი არც ევროპის საბჭოს №1701 რეკომენდაციაში განხილულ კრიტიკულ საკითხებს ეხება.

რეკომენდაცია: სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში შევიდეს ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს გენდერულ მეინსტრიმინგს, ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობით. ამ დოკუმენტებს დაემატოს ცალკე ამოცანა სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის შესახებ.

რეკომენდაცია: ცალკე სტრატეგია შემუშავდეს გენდერულ თანასწორობაზე სპორტის სფეროში, რომელიც მოიცავს კონკრეტულ და გაზომვად მიზნებს, როგორ უნდა შეეწყოს ხელი გენდერულ თანასწორობას და ქალთა გაძლიერებას სპორტში და სპორტის საშუალებით. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში დაინიშნოს საკონტაქტო პირი გენდერის სფეროში, რომელიც გაივლის შესაბამის სწავლებას და უხელმძღვანელებს რეკომენდებულ პროცესებსა და შემდგომ ნაბიჯებს.

²⁵¹ ხელმისაწვდომია: <http://www.coe.int/t/dg4/epas/resources/texts/EDOC10755.pdf>.

²⁵² საქართველოს ახალგაზრდობის ეროვნული ფედერაცია, „გენდერული თანასწორობა სპორტსა და ფიზიკურ აქტივობაში“ 2015.

ბ. გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება სპორტის ყველა ასპექტზე

საქართველოში ჯერ კიდევ არ მოიპოვება გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები სპორტში, რაც შეუძლებელს ხდის არსებულ პრობლემათა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზს. კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ ითვალისწინებს გენდერულად სეგრეგირებულ მონაცემთა შეგროვებას „გენდერულ საკითხებზე ოფიციალური სტატისტიკური ანგარიშების მოსამზადებლად“. სპორტის სფეროში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული სტატისტიკის შექმნის პროცედურები და მომდევნო სამიზნე კვლევები უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- არსებობს თუ არა სპორტში გენდერული თანაფარდობა?
- არიან თუ არა საქართველოში ქალები სეგრეგირებულნი სპორტის სხვადასხვა სფეროში?
- ეზღუდებათ თუ არა ქალებს წვდომა მმართველ და გადანყვეტილების მიმღებ პოზიციებზე?
- თანაბრად ღირებულია თუ არა ქალთა და მამაკაცთა სპორტი?
- რამდენად მარგინალიზებულია ქალთა სპორტი მედიაში?
- რომელი გენდერული სტერეოტიპები ახდენს გავლენას სპორტულ აქტივობებში გოგონათა ნაკლებ ჩართულობაზე?

რეკომენდაცია: გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში უნდა შევიდეს ცვლილება, რომელიც დააწესებს მოთხოვნას ოფიციალური მონაცემების გენდერულ სეგრეგირებაზე. ამგვარი მონაცემები საქართველოში სპორტის ყველა ასპექტის შესახებ უნდა შეგროვდეს.

რეკომენდაცია: სპორტის სამინისტრომ ან/და პარლამენტის სპორტის კომიტეტმა ჩაატარონ კონკრეტული კვლევები/შეფასებები გენდერისა და სპორტის სფეროში, უპირველესად კი - საბაზისო კვლევა, რომელიც მიემართება სპორტის სფეროში გენდერულ დისკრიმინაციასთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებს. მაგალითად:

- ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობა სპორტის მართვაში გადანყვეტილების მიმღებ პოზიციებზე;
- ქალებისა და მამაკაცების მიერ დომინირებული სპორტული ფედერაციების წვდომა სახელმწიფო დაფინანსებაზე;
- ქალთა და მამაკაცთა ეროვნული გუნდების წვდომა სახელმწიფო დაფინანსებაზე;
- ქალებისა და მამაკაცების ზოგადი ჩართულობა სპორტსა და ფიზიკურ აქტივობაში;
- ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობა ორგანიზებულ სპორტში (რომელი სპორტით კავდებიან და ვის მიერ);
- ქალთა დაბალი მონაწილეობის მიზეზები (მაგ: დროის ნაკლებობა, ბავშვზე ზრუნვა, უსაფრთხო და ადეკვატური ობიექტების ნაკლებობა, ინფორმაციის სიმწირე და ა.შ.);
- ქალებისა და მამაკაცების დასწრება სპორტულ ღონისძიებებზე;
- ქალთა და მამაკაცთა სპორტის გაშუქება მედიის მიერ.

X. გენდერული თანასწორობა კულტურის სფეროში

ბოლო ათწლეულის მანძილზე სულ უფრო და უფრო მყარდება მოსაზრება კულტურული როლის მნიშვნელობაზე სიღარიბის აღმოფხვრისა და მდგრადი განვითარებისათვის,²⁵³ რაც გულისხმობს ერთდროულად განვითარების ხელშეწყობას და მის წარმართვას, სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლის მიღებასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. განვითარების ისეთი პოლიტიკა, რომელიც კულტურულ კონტექსტს პასუხობს, უმთავრესი ფაქტორია მდგრადი შედეგების მისაღებად.²⁵⁴ კულტურაზე წვდომა და მასში მონაწილეობა ფუნდამენტური უფლებაა, კულტურა და კულტურული მრავალფეროვნება კი - იდეებისა და საზოგადოებების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ელემენტი. კულტურას სოციალური გარდაქმნის დიდი ძალა აქვს, რადგან ის საზოგადოებაზე გავლენას ახდენს შეხედულებათა ცვლილებითა და საზოგადოებრივი დიალოგისათვის სივრცის გახსნით. შესაბამისად, მისი მეშვეობით შესაძლებელია დამკვიდრებული უთანასწორო სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციული სოციალური ნორმების შეცვლა.

იუნესკოს კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ მყარი საფუძველია მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად და კულტურის პოპულარიზაციისათვის.²⁵⁵ კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს:

თავიანთ ტერიტორიაზე შექმნან ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს, შექმნან, აწარმოონ, გაავრცელონ, გაანაწილონ და თავისთვის ხელმისაწვდომი გახადონ კულტურული თვითგამოხატვის ფორმები; ამასთან, სათანადო ყურადღება დაუთმონ ქალების, ასევე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების განსაკუთრებულ პირობებსა და მოთხოვნილებებს, იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც უმცირესობებსა და მკვიდრ ხალხებს განეკუთვნებიან.²⁵⁶

ამასთან, კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს: „წაახალისონ და მხარი დაუჭირონ კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის მნიშვნელობის უკეთეს გაცნობიერებას, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამირებისა და საზოგადოების ინფორმირების გაუმჯობესებით“, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით.²⁵⁷

²⁵³ ტერმინი „კულტურა“ ამ შემთხვევაში გულისხმობს კულტურის სექტორს, რომელიც მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: ძირითად შემოქმედებით სფეროებს, კულტურის ინდუსტრიასა და შემოქმედებით სერვისებს, გადამყვანების მიმღებთა და დაინტერესებულ პირთა ჩათვლით.

²⁵⁴ იუნესკო, „გენდერული თანასწორობა, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა“ 2014; იუნესკო, „ეკონომიკური წვლილი და კულტურული მემკვიდრეობები“, 2012.

²⁵⁵ საქართველოს მიერ იუნესკოს კონვენცია რატიფიცირებულია 2008 წელს.

²⁵⁶ მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ, იუნესკო, 2005.

²⁵⁷ მე-10 მუხლის „ა“ პუნქტი, კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ, იუნესკო, 2005.

კონვენციის განხორციელების შესახებ იუნესკოს წინაშე წარდგენილ 2012-2015 წლების პერიოდულ ანგარიშში საქართველომ რამდენიმე პოლიტიკურ გამოწვევას გაუსვა ხაზი; გენდერული თანასწორობა ამ გამოწვევებს შორის არ დასახელებულა, რაც აღნიშნულ საკითხზე ხედვის ნაკლებობას მიანიშნებს.²⁵⁸ კულტურისა და განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, იუნესკოს შემუშავებული აქვს მრავალი პრაქტიკული მექანიზმი, მათ შორის, გენდერული სენსიტიურობის სახელმძღვანელო განათლების სფეროს მენეჯერთა, სასწავლო პროგრამებსა თუ მასალებზე მომუშავე სპეციალისტთა და მედიის პროფესიონალებთან, ასევე, გენდერული თანასწორობის სახელმძღვანელო მასწავლებელთა გადასამზადებლად.²⁵⁹ იუნესკოს გენდერული თანასწორობის პრიორიტეტული სამოქმედო გეგმა 2014-2021 წლებისათვის მოიცავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სამოქმედო ჩარჩოს.²⁶⁰ ორგანიზაციის ვებსაიტის ერთ-ერთი გვერდი მთლიანად ამ საკითხს ეთმობა და ერთვის ბმულები გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სხვადასხვა მეთოდზე. (<http://www.unesco.org/new/en/unesco/themes/gender-equality/tools/>).

გაეროს გენერალური ასამბლეის №68/223 რეზოლუცია „კულტურისა და მდგრადი განვითარებისათვის“ ასევე ამახვილებს ყურადღებას გენდერული თანასწორობის როლზე კულტურის მეშვეობით მდგრადი განვითარების მიღწევაში.²⁶¹ იუნესკოს ჰანჩუუს დეკლარაცია კულტურის როლს ხაზს უსვამს ინკლუზიური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების, ასევე, ჰარმონიის, გარემოს დაცვის, მშვიდობისა და უსაფრთხოების კუთხითაც.²⁶²

ა. გენდერული თანასწორობა კულტურის კანონმდებლობასა და პოლიტიკაში

საქართველოს კანონი კულტურის შესახებ ქვეყანაში კულტურის შენარჩუნების, დაცვისა და განვითარების სამართლებრივი საფუძველია. კანონის მე-18 მუხლი სახელმწიფოს კომპეტენციად მიიჩნევს „ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას კულტურის სფეროში“. მე-8, მე-11 და მე-12 მუხლებით თითოეული ადამიანისათვის უზრუნველყოფილია „ნებისმიერი სახის შემოქმედებითი მოღვაწეობის უფლება“, ასევე, უფლება „ემიაროს კულტურულ ფასეულობებს“ და „მიიღოს სახელოვნებო განათლება“. მე-4 მუხლის „ე“ პუნქტი კი ითვალისწინებს „კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ხელმისაწვდომობასა და საჯაროობის შეუზღუდველობას“.

ამ მუხლში გათვალისწინებულ პრინციპები არ ეხება გენდერულ თანასწორობას, ინკლუზიურობასა და დისკრიმინაციისაგან დაცვას. მე-6 მუხლში მითითება თანასწორობის შესახებ არ მოიცავს გენდერს. იგი ამბობს: „საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან კულტურულ ცხოვრებაში, განურჩევლად ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა“. კრიტიკულად მნიშვნელოვანია ისიც, რომ 29-ე მუხლში არ არის მითითება თანასწორობაზე კულტურისა და კულტურული მოღვაწეობის დაფინანსების მხრივ, ასევე, დისკრიმინაციისაგან დაცვასა და ინკლუზიაზე.

²⁵⁸ იხ: 2016 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: <http://en.unesco.org/creativity/monitoring-reporting/periodic-reports/georgia-2016-report>.

²⁵⁹ იხ: მაგ. იუნესკო, „გენდერული სენსიტიურობა: ტრენინგების სახელმძღვანელო განათლების მენეჯერთა, სასწავლო პროგრამებსა და მასალებზე მომუშავე სპეციალისტთა და მედიის პროფესიონალებთან, გენდერის საკითხებზე სენსიტიურობის ასამაღლებლად“, 2002, ხელმისაწვდომია: <http://unesdoc.unesco.org/images/0012/001281/128166eb.pdf>; იუნესკო „გენდერული თანასწორობის სახელმძღვანელო მასწავლებელთა სწავლების პოლიტიკასა და პრაქტიკაში“, 2015, ხელმისაწვდომია: <http://unesdoc.unesco.org/images/0023/002316/231646e.pdf>; იუნესკო, „გენდერულად სენსიტიური ინდიკატორები მედიისათვის: მედიის ფუნქციონირებასა და შინაარსში გენდერული სენსიტიურობის მაჩვენებელთა შეფასების სახელმძღვანელო“, 2012, ხელმისაწვდომია: <http://unesdoc.unesco.org/images/0021/002178/217831e.pdf>.

²⁶⁰ იუნესკო, გენდერული თანასწორობის პრიორიტეტული სამოქმედო გეგმა (2014-2021), ხელმისაწვდომია: <http://unesdoc.unesco.org/images/0022/002272/227222e.pdf>

²⁶¹ გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია №68/223, 2013 წლის 20 დეკემბერი.

²⁶² იუნესკო, „ჰანჩუუს დეკლარაცია მდგრადი განვითარების პოლიტიკაში კულტურის როლის შესახებ“, 2013, ხელმისაწვდომია: <http://www.unesco.org/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CLT/images/FinalHangzhouDeclaration20130517.pdf>.

რეკომენდაცია: საქართველოს კანონში კულტურის შესახებ შევიდეს ცვლილება, რომელიც მისი ყველა დებულების გამოყენებისას აღმოფხვრის დისკრიმინაციასა და უთანასწორობას გენდერის/სქესისა თუ სხვა ნიშნებით.

2015 წელს კულტურის სამინისტრომ შეიმუშავა კულტურის ყოვლისმომცველი, გრძელვადიანი სტრატეგია 2025 წლისათვის, რომლის პრინციპებსა და ამოცანებს შორის გენდერული თანასწორობა ნახსენები არ არის. ის გვხვდება მხოლოდ 2.2 მიზნის ფარგლებში გათვალისწინებულ ერთ-ერთ ამოცანაში, რომელიც კულტურულ ცხოვრებაზე წვდომას ეხება. სტრატეგიის 2.2 მიზანი ასეთია: „საზოგადოების ყველა წევრი, მათ შორის, სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირები, ახალგაზრდები და უმცირესობები აქტიურად მონაწილეობენ კულტურულ ცხოვრებაში და მათთვის ხელმისაწვდომია კულტურის ინფრასტრუქტურა და რესურსები“. ამოცანაში კი ვკითხულობთ, რომ საჭიროა: „კულტურის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება და კულტურის პოტენციალის გამოყენება გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის მიზნით“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამოცანა მოუწოდებს გენდერული თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებაზე კულტურის პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში, მისი ხსენება კულტურაზე წვდომისა და მასში ჩართულობის ამოცანაში ვერ ჩაითვლება ამ დოკუმენტის ზოგად პრინციპად.

სამოქმედო გეგმის ამოცანა 2.2 სტრატეგიის შესაბამის მიზანს ასახავს, თუმცა, ზოგადი მიზანი, რომელიც გულისხმობს კულტურის მხრივ ხელმისაწვდომობასა და ჩართულობაში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებას, უფრო დაკონკრეტებულია და მოიცავს საინფორმაციო საქმიანობას 10 საზოგადოებრივ ცენტრში, ასევე, ცნობიერების ამაღლებას ქალთა უფლებებზე. კერძოდ, 2.2.5 აქტივობაში ვკითხულობთ: „საზოგადოებრივ ცენტრებში ქალთა უფლებების, ლეგალური მიგრაციისა და მიგრანტთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება“. შესრულების ინდიკატორი ასეთია: „საზოგადოებრივ ცენტრებში ჩატარდა, სულ მცირე, 10 შეხვედრა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე“, რაც ცალსახად არ მიემართება დასახელებულ მიზანს: კულტურის ხელმისაწვდომობას ან მასში ჩართულობას.

ამდენად, კულტურის სტრატეგიაში გენდერული თანასწორობის გაუთვალისწინებლობა და მისი მხოლოდ ერთ მიზანში მოხსენიება - რაც, საბოლოოდ, საზოგადოებრივ ცენტრებში ქალთა უფლებების შესახებ დაგეგმილ 10 უმნიშვნელოდ დაკავშირებულ აქტივობად ითარგმნება - გენდერული განზომილების გარეშე ტოვებს მრავალ სხვა მიზანსა და საქმიანობას, როგორცაა კულტურის ინტეგრირება განვითარების პოლიტიკის სხვადასხვა სექტორში, ან შემოქმედებითი სფეროების მხარდაჭერა. შესაბამისად, ეს დოკუმენტები კიდევ ერთხელ ადასტურებს გენდერული თანასწორობის შემღუდულ გააზრებას კულტურის სამინისტროს მიერ და კულტურის პოლიტიკაში გენდერული მეინსტრიმინგის არარსებობას. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით: „სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში“, დამატებითი კონკრეტული გარანტიების გარეშე. ზემოხსენებული მოქმედი ანტიდისკრიმინაციული დებულებების გარდა, ეს მუხლი ეხება შრომის უფლებებსაც, კერძოდ: პროფესიის ან სამუშაოს თავისუფალ არჩევას, თანასწორ მოპყრობას მუშაობის ხარისხის შეფასებისას და თანაბარ წვდომას დასაქმების კუთხით.

რეკომენდაცია: კულტურის სტრატეგიაში 2025 წლამდე შევიდეს ცვლილება, რომელიც დოკუმენტში გენდერულ მეინსტრიმინგს უზრუნველყოფს. გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა დოკუმენტის დასაწყისშივე განისაზღვროს მის მთავარ პრინციპად. გენდერული ასპექტები გათვალისწინებული იქნას მთლიან დოკუმენტში და არა მხოლოდ კულტურის ხელმისაწვდომობისა და მასში ჩართულობის კუთხით.

რეკომენდაცია: განხორციელდეს კულტურული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის გენდერული მენისტრიმინგი და შედეგი აისახოს შესწორებულ დოკუმენტში, სადაც გენდერი ინტეგრირებულია დოკუმენტის ყველა მიზანსა და ამოცანაში. აღნიშნული მოთხოვნილი უნდა იქნას გენდერული თანასწორობის შესახებ კანონით.

სამოქმედო გეგმის სპეციალური ზომები შეიძლება მოიცავდეს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა: ტრენინგი გენდერულ სენსიტიურობაზე სამინისტროს თანამშრომლებისა და პოლიტიკის შემუშავებაში ჩართული სხვა პერსონალისათვის; შემოქმედი ქალების ხილვადობის გაზრდა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული გამოფენების, წარმოდგენების, კვლევითი პროექტების, ნაშრომებისა და კონფერენციების მეშვეობით; გენდერული ბალანსის დაცვა კულტურული პროექტების დაფინანსების პროცესში, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, უმცირესობების წარმომადგენელი და ლბტ ქალებისა თუ გოგონებისათვის.

ბ. გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკა კულტურის სფეროში

კულტურის სფეროში გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი უმთავრესი დაბრკოლებაა გენდერის მიხედვით სეგრეგირებული სტატისტიკის არარსებობა სექტორის შესახებ, რაც შეუძლებელს ხდის გენდერული თანასწორობის კონკრეტული ბარიერების გამოვლენასა და გენდერულად სენსიტიური კულტურული პოლიტიკის შემუშავებას. ამ მხრივ სასარგებლო იქნებოდა მიზნობრივი კვლევების ჩატარება და გენდერული ზემოქმედების შეფასება.

რეკომენდაცია: გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები სისტემატურად უნდა შეგროვდეს და გავრცელდეს კულტურის ყველა სექტორთან მიმართებით, რაც გაამყარებს მტკიცებულებას ამ სფეროში გენდერული ხარვეზების არსებობის შესახებ. აღნიშნულ მოთხოვნას გენდერული თანასწორობის კანონში შეტანილი ცვლილებები უნდა აწესებდეს.

რეკომენდაცია: კულტურის სხვადასხვა სფეროში მიზნობრივი კვლევები უნდა ჩატარდეს გენდერის შესახებ. სხვადასხვა პოლიტიკური ინიციატივებისა და პროგრამების გავლენა გენდერულ თანასწორობაზე უნდა გაიზომოს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გამოყენებით, მათ შორის, გენდერული ზემოქმედების შეფასებით.

მონაცემთა შეგროვება და საბაზისო კვლევა უნდა მოიცავდეს:

- ქალთა მონაწილეობას კულტურის პოლიტიკის შემუშავებაში (და დროებითი სპეციალური ზომების საჭიროებას);
- გენდერულ ბალანსს კულტურული გრანტების განაწილების პროცესში.

